...პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№121 (12 191)
25 მაისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

გვიყვარხარ, ლუკა!

დიდი კარიერის ღირსეული დასასრული

გუშინ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომა მოულოდნელად დასრულდა - სახელოვანმა ქართველმა მოჭიდავემ, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა ლუკა კურტანიძემ კარიერის დასრულება გამოაცხადა.

ცოტა ხნის წინათ კურტანიძე უცხოეთში, ათლეტთა კომისიის სხდომაზე იმყოფებოდა და ამ საკითხზე მის მოხსენებას ალმასკომის რეგლამენტი სულ ბოლოს ითვალისწინებდა. მას შემდეგ, რაც კურტანიძემ ევროპულ ვიზიტზე ისაუბრა, საკუთარი განცხადებისთვის ნებართვა ითხოვა და ისეთი რამ თქვა, ყველას ელდა ეცა:

- 27 წელიწადი თქვენ გვერდით ვიყავი ერთ ოჯახში, ამ პერიოდში გაჭირვებაც ბევრი გვინახავს და ლხინიც, ერთმანეთის თანადგომით ბევრი რამეც გადაგვიტანია. ამ პერიოდში სიხარულიც ბევრი ვნახე და გაჭირვებაც, ტიტანური შრომაც გამოვცადე. ამ ქვეყნად ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრულიც. როცა ალექსანდრე ჩივაძე წავიდა დიდი ფეხბურთიდან, მახსოვს, „ლელოში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში ამბობდა, მე ჩემი ტანგო უკვე ვიცეკვეო. მაშინ სულ ახალგაზრდა სპორტსმენმა ვიფიქრე, ჩემი კარიერის დასასრულს მეც თუ ვიტყვი ასე-მეთქი. საბედნიეროდ, ახლა შემიძლია.

მოგეხსენებათ, აფხაზეთიდან ვარ და განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს ზღვასთან. მიმაჩნია, რომ ჩემმა ზღვის ტალღამ გზა ბოლომდე განვლო. ტალღამ, რომელიც ღირსეული იყო და ღირსეულად ჩაიარა. მუხლმოყრილი გევედრებით ყველას - მაპატიეთ, თუ ვინმეს რამე გაწყენინეთ, იმედები გაგიცრუეთ და ვერ მივაღწიე იმას, რასაც ვიმსახურებდი. რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ! მინდა, თითოეულ თქვენგანს მადლობა გადავუხადო და ქედი მოვუხარო. მადლობა ღმერთს, რომ თქვენთან ვარ, თქვენს მაგალითზე გავიზარდე. ღმერთმა იცის, რამდენი რამე მაქვს სათქმელი, თუმცა აჯობებს, გავჩუმდე და უფალს შევთხოვო ჩვენი გამარჯვება საერთო მომავლისათვის.

იმ დროს, როცა ალმასკომის წევრები კარსმომდგარ მსოფლიო ჩემპიონატსა თუ ოლიმპიადაზე მოსალოდნელ წარმატებებზე საუბრობდნენ, ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი სპორტსმენის ასეთმა განცხადებამ მოწმენდილ ცაზე მეხივით დაიგრუხუნა. სახელოვანი ფალავნის მთრთოლვარე ხმამ თანდათან დაიპყრო დარბაზი. ყველა გრძნობდა, დიდი ფალავანი ამ განცხადებით თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზანს - ოლიმპიურ ოქროზე ოცნებასაც ემშვიდობებოდა.

ყელში გაჩხერილ ემოციას პირველმა სეოკ-ის პრეზიდენტმა **ბადრი პატარკაციშვილმა** სძლია და, ლუკა, რატომ აგვატირე ყველაო, უთხრა. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა**, თავადაც უებრო მოჭიდავემ და სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** ერთდროულად მოიწმინდეს თვალზე მომდგარი ცრემლი. სპორტისა და კულტურის მინისტრი **გიორგი გაბაშვილიც** სწრაფად გამოერკვა გაოგნებიდან და კურტანიძეს მიმართა, საბოდიშო არაფერი გჭირს, შენ იმდენი სიხარული გვაჩუქე, იქით გიხდით მადლობასო. ლუკა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **რობერტ შავლაყაძემაც** ანუგეშა, მერე კი, რაკი ალმასკომი ისეც დამთავრებული იყო, ყველაფერი აირია - კურტანიძეს ყოველი მხრიდან შეესივნენ.

გამაგებინეთ, რა ხდება - გაკვირვებით შლიდა ხელებს ნაკრების მწვრთნელი **ზაზა თურმანიძე** და პასუხს კურტანიძისგან ელოდა. *„ლუკა, მეც ხომ არ მოგბაძო?"* - გაიხუმრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ**. მწვრთნელები, სპორტსმენები, სახელოვანი ვეტერანები თუ მოქმედი სპორტსმენები, ალმასკომის წევრები ყველა ელდარს ანუგეშებდა.

კიდევ ერთი დიდი ათლეტი წავიდა აქტიური სპორტიდან. ლუკა კურტანიძე თანამედროვე ეპოქის გამორჩეული ფალავანია, რომელმაც დამოუკიდებელ ქართულ სპორტში მთელი ეპოქა შექმნა...

ლუკა კურტანიძე

თავისუფალი ჭიდაობა

დაიბადა 1972 წლის 16 აპრილს ქვემო ფშაფში, გულრიფში.
ვარჯიშობს 1981 წლიდან
მწვრთნელები: შოთა კიკაბიძე, გია გალდავა, ლერი ხაბელოვი

საერთაშორისო კარიერა

ოლიმპიურ თამაშებზე

2 ბრინჯაო
1996 - 3 (90 კგ)
2000 - 3 (97 კგ)
2004 - 8 (96 კგ)

მსოფლიო ჩემპიონატზე

2 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო
1993 - 2 (90 კგ)
1994 - 10 (90 კგ)
1995 - 8 (90 კგ)
1997 - 3 (97 კგ)
1998 - 6 (97 კგ)
1999 - 6 (97 კგ)
2001 - 5 (97 კგ)
2002 - 1 (96 კგ)
2003 - 1 (96 კგ)
2005 - 2 (96 კგ)
2006 - 10 (120 კგ)

ევროპის ჩემპიონატზე

5 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო
1993 - 2 (90 კგ)
1994 - 6 (90 კგ)
1995 - 2 (90 კგ)
1996 - 1 (90 კგ)
1997 - 1 (97 კგ)
1998 - 1 (97 კგ)
1999 - 3 (97 კგ)
2000 - 9 (97 კგ)
2001 - 1 (96 კგ)
2002 - 2 (96 კგ)
2003 - 5 (96 კგ)
2005 - 1 (96 კგ)
2006 - 3 (120 კგ)

ახალგაზრდებში
1992 - 1 (82 კგ)

ბალავაძის ტურნირზე დაგემშვიდობებით

- ლუკა, იოლი არ იქნებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება.

- ცხადია. ბოლო დღეებში გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი. წუხელაც მთელი ღამე გავათენე, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრულიც. ძალზე რთულია და მტკივნეული, მაგრამ ადამიანი შექმნილ ვითარებაში ღირსეულად უნდა მოიქცეს.

- ესე იგი, წასვლის დრო სწორად შეარჩიეთ?

- რა თქმა უნდა. მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. წლების შემდეგ, როცა განვლილ გზას გავიხსენებ, ვფიქრობ, ამ ნაბიჯს ისე მოვიგონებ, როგორც ღირსეულს. ალბათ, ამ ოლიმპიადაზე გუნდისა და ბიჭებისთვის ასე უფრო მეტს შევძლებ. ჩემს დიდ გამოცდილებას, ჩემს ცოდნას, რომელიც ამ 27-წლიან კარიერაში დამიგროვდა, იმ ბიჭებს გავუზიარებ, რომლებმაც საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე ღირსეულად უნდა წარმოაჩინონ. მოხარული ვიქნები, თუ ამ კუთხითაც გამოვადგები ქვეყანას.

- გადაწყვეტილება ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ასე საიდუმლოდ ინახავდით ამ ამბავს?

- ოჯახმაც არაფერი იცოდა.

- ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა? ქომაგები უახლოეს ხანებში ტურნირებზე ველარ განახავთ?

- მსურს, გამოსათხოვარი შეჯიბრება ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე ვიჭიდაო. მინდა, აქტიური სპორტსმენის რანგში საქართველოს, ჩემს ხალხს იქ გამოვეთხოვო.

- თქვენი სიტყვებიდან ჩანს, რომ მწვრთნელობას დაიწყებთ და ისევ ჭიდაობაში დარჩებით...

- ეს შემოთავაზებაზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, დარჩენა მსურს და დაველოდები მოვლენათა განვითარებას.

ირაკლი თავაძე

სეოკ-ის ალმასკომის სხდომაზე

ევროპა-მსოფლიო-ოლიმპიადა

ლუკა კურტანიძის განცხადებამდე სეოკ-ის ალმასკომმა ნაყოფიერად იმუშავა. ალმასკომის ახალ წევრად დედაქალაქის ვიცე-მერი **გიორგი მელაძე** აირჩიეს და ევროპის პირველობის მედალოსნებს წარმატებები მიულოცეს. მოისმინეს საჭიდაო სახეობების ნაკრებთა მოხსენებები ევროპის პირველობებზე, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ლიცენზიებზე. სამივე ნაკრების - ძიუდოს, ანტიკურისა და თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელებმა განაცხადეს, რომ ისინი პეკინში მოხვედრას სრული გუნდებით იმედოვნებენ. ალმასკომმა სამივე ნაკრების ევროპირველობაზე გამოსვლა დადებითად შეაფასა. მწვრთნელებმა, ასევე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ** მადლობა გადაუხადეს ოლიმპიურ კომიტეტსა და ოლიმპიურ ფონდს ევროპის პირველობებისთვის მზადების პერიოდში თუ, ზოგადად, მათთვის გაწეული დიდი დახმარებისთვის.

ოლიმპიურ სოფელში საქართველოს მისიის ხელმძღვანელად კვლავ **ლერი ხაბელოვი** დაამტკიცეს. უკვე ცნობილია, რომ საქართველოს დელეგაციას იაპონური ფირმა „მიზუნო" შემოსავს. ჯერ განხილვის პროცესშია მოლაპარაკება სამოქალაქო ფორმაზე, ანუ გახსნა-დახურვის ცერემონიალზე გამოსასვლელ ჩაცმულობაზე. ამ თემაზე ძალზე სოლიდურ უცხოურ ფირმებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს, თუმცა, ისე ეტყობა, საბოლოოდ მაინც **ავთანდილ ცქვიტინიძის** მოდელებზე შეჩერდებიან.

ალმასკომზე 21-28 ივლისს, ბელგრადში გასამართ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზთან დაკავშირებითაც მოისმინეს ინფორმაცია. ჩვენები იქ მაგიდისა და დიდ ჩოგბურთში, ძიუდოში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვასა და ველოსპორტში გამოვლენ, სულ 27 სპორტსმენი. წლეულს, ძიუდოს გარდა, ჩოგბურთშიც ელიან ოქროს მედალს და იქვე ამ ფედერაციას მადლობაც გადაუხადეს, რადგან საჩემპიონოდ შეგულებული **ეკა გორგოძე**, თავისზე უფროსებში ევროპაში საუკეთესო რეიტინგის მქონე ის ჩოგბურთელი, სწორედ იმ პერიოდში გასამართ ევროპის პირველობაზე არ გაუშვეს. გუნდური სახეობებიდან კალათბურთში მიგვიწვიეს, მაგრამ ჩვენებმა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა არჩიეს.

იქვე **ემზარ ზენაიშვილმა** ბავშვთა მსოფლიო თამაშების შესახებაც გვამცნო, რაც სოკის პრეზიდენტ **ჟაკ როგის** ახალი ინიციატივაა. ევროპული ფესტივალისგან განსხვავებით, იგი ოთხ წელიწადში ერთხელ, დიდი ოლიმპიადების შემდეგ ჩატარდება - ზაფხულის თამაშების წელს სპორტის საზაფხულო სახეობებში, ზამთრისა კი „თეთრ ოლიმპიადებს" დაემთხვევა.

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება

ნინილებს გაზაფხულზე ითვლიან

ოლიმპმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა

რუსთავმა საქართველოს სპორტული დედაქალაქის ტიტული ერთი წლით მაინც ჩამოართვა თბილისს. ქალაქის საფეხბურთო ("ოლიმპი") და საკალათბურთო ("აზოტი") გუნდებმა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულები პირველად მოიპოვეს.

რუსთავის "ოლიმპი" სულაც გინესის რეკორდების წიგნში შევა. ასეთი სახელწოდების გუნდი უმაღლეს ლიგაში უფრო სწორედ, საფეხბურთო სივრცეში წლეულს გამოჩნდა და პირველივე სეზონში ოქროს მედლებს დაეუფლა. ასეთი რამ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს.

გუშინ რუსთავში გამარჯვებულებს შესაბამისი დახვედრაც მოუწყვეს. კინო "რუსთაველთან" ქალაქის ცენტრალური ქუჩა გადაკეტეს და სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე საზეიმო კონცერტი გაიმართა.

როდესაც გამარჯვებულები სცენაზე იხმეს და ოქროს მედლები ჩამოურიგეს, გამაყრუებელი ყიჟინა ისმოდა. რუსთაველებს უხარიათ და სამართლიანადაც, რომ ერთი წლით მაინც, მათი ქალაქი ქვეყნის სპორტული ცენტრი გახდა.

მერაბ მამულაშვილი



ნუგზარ სეარიძის ფოტოები

სიონი

საგაზაფხულო ფასდაკლება: ევოჩე იაფად

რა ბედი ელით ჩასემსა და ფრიდოლინის?

საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ ბოლნისის "სიონში" გაურკვევლობაა - დამდეგი სეზონისთვის გუნდში ვინ დარჩება და ვინ არა - საკითხი ასე დგას, თუმც ბურუსი მალე გაიფანტება - მთავარი მწვრთნელი **კახი ცხადაძე** დღე-დღეზე შეხვდება კლუბის პრეზიდენტსა და ბოლნისის გამგებელ **გიორგი არევაძეს**. "სიონში" გვითხრეს, ამ შეხვედრაზე ჯერ ის უნდა გაირკვეს, გუნდს ისევ ცხადაძე უხელმძღვანელებს თუ არა და დანარჩენი საკითხები ამის მიხედვით გადაწყდებაო.

მანამდე "სიონმა" ერთი გადაწყვეტილება უკვე მიიღო - კამერუნელი ფორვარდი **გასტონ ევოჩე** ტრანსფერზე დააყენა, ვისაც "სიონთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს. ბოლნისელებმა გვითხრეს, ევოჩეს იაფად გავასხვისებთ, შესაძლოა, გავანათხოვროთ კიდეცო.

"სიონმა" ევოჩე და კიდევ ორი კამერუნელი, **ბოიომო ფრიდოლინი** და **ერიკ რომეო ჩასემი** შარშან აიყვანა, რომელთაგან გუნდი მხოლოდ ევოჩეს გარჯით დარჩა უკმაყოფილო. ფრიდოლინიც და ჩასემიც კიდევ ერთი წლით უნდა იყვნენ "სიონში", თუმც ბოლნისელები არ გამოირცხავენ მათ სარფიანად გაყიდვასაც.

დავით თავართქილაძე

ცხინვალს დაკარგულის დაბრუნებისა ეიმედება

1990 წელს ყოფილი სამხრეთი ოსეთის რეგიონში განვითარებული მოვლენების შემდგომ, რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი გორში დასახლდა. იძულებით გადაადგილებამდე ცხინვალის საფეხბურთო ცხოვრებაში ჩართულმა და აწ უკვე დევნილად ქცეულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს საფეხბურთო კლუბის შექმნა, რომელიც 1993 წელს დაფუძნდა კიდეც და ვითარებიდან გამომდინარე, გორში, „ქართლის" სტადიონზე განთავსდა.

გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის მესამე ლიგაში დაიწყო ასპარეზობა. მართალია, ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასა „ცხინვალის" დაარსება, მაგრამ მხარდაჭერა ფინანსური თვალსაზრისით არ გამოუხატავს, ანუ „ცხინვალის" ხელმძღვანელობა მთლიანად საკუთარი მწირი სახსრებით ინახავდა საფეხბურთო კოლექტივს. ასე გაგრძელდა დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში. 1998 წლიდან ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში „ცხინვალისათვის" საჭირო სახსრებიც გამოინახა, თუმცა ეს დაფინანსებაც არასაკმარისი იყო. 2005 წლიდან ბიუჯეტში უკვე 80 ათასი ლარი გამოიყო მათთვის. არც ეს თანხაა საფეხბურთო კლუბის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკმარისი, ამიტომ, შეიძლება ითქვას, „ცხინვალი" ფინანსურად დალხენილი აქამდე არასოდეს ყოფილა.

გუნდის დაარსებიდანვე ხელმძღვანელობა მას ძირითადად ისეთი მოთამაშეებით აკომპლექტებდა, რომლებიც ე.წ. სამხრეთი ოსეთის საფეხბურთო კლუბებს, ან საფეხბურთო სკოლებს წარმოადგენდნენ. გარდა ქართველებისა „ცხინვალში" თამაშობდნენ შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები ოსები და ის ფეხბურთელებიც, რომლებიც უშუალოდ ცხოვრობდნენ ცხინვალში.

ექვსი წლის განმავლობაში დევნილთა გუნდის კაპიტანი ცხინვალში მცხოვრები ეთნიკური ოსი **სლავა მარგიევი** გახლდათ, რომელიც მანამდე ადგილობრივ საფეხბურთო კლუბში ასპარეზობდა. რასაკვირველია, მის ირგვლივ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც მარგიევის საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობით სულაც არ ყოფილან აღფრთოვანებულნი, სამაგიეროდ თვითონ სლავა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ორი ერის დაახლოებისთვის კარგ პრეცედენტად თვლიდა და ვიდრე ასაკი და ფიზიკური კონდიციები უწყობდა ხელს, „ცხინვალი" არ დაუტოვებია.

ამგვარად, გუნდის ხელმძღვანელობის მიერ არჩეული საკლუბო პოლიტიკის გამო აქ თავი მოიყარეს და ერთმანეთის გვერდით ბურთს აგორებდნენ ქართველი და ოსი ფეხბურთელები და როგორც გუნდის ხელმძღვანელობის, ისე ქვეყნის ხელისუფლებისთვის „ცხინვალის" არსებობის უპირველესი პრინციპი სწორედ აღნიშნული მომენტი გახლდათ.

2005 წლის მაისში სფფ-ის ახალი ხელმძღვანელობის ინიციატივით ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდთა რაოდენობა 10-დან 16-მდე გაიზარდა. ლიგას სპორტული პრინციპთან ერთად პოლიტიკური მოტივის გათვალისწინებით ე. წ. დევნილთა გუნდები — „ცხინვალი" და სოხუმის „დინამო" დაემატნენ.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტობის და მაღალი მიზნებისათვის საბრძოლველად არასაკმარისი ფინანსების გამო, სადებიუტო სეზონში ხელმძღვანელობის მიერ კლუბის მთავარ ამოცანად ელიტაში დარჩენა დაისახა. 2006 წლის დასაწყისამდე კლუბში სპორტული და ფინანსური თვალსაზრისით მდგომარეობა ნორმალური გახლდათ. გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ მომდევნო წლიდან ბიუჯეტი გაიზრდებოდა და შესაბამისად შედეგებსაც უკეთესს მოიმკიდნენ

იმედი არ გამართლდა. „ცხინვალის" დაფინანსება არ გაზრდილა, პირიქით საერთოდ შეწყდა! 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამ გუნდისთვის ერთი თეთრიც აღარ გაუთვალისწინებიათ. კლუბის ხელმძღვანელობამ მაშინ უკვე ვითარების გამოსწორების იმედით განაგრძო მუშაობა. ისინი „ცხინვალს", შეიძლება ითქვას, საკუთარი ფულით აფინანსებდნენ და მართალია გუნდმა სახიფათო ზონას თავი ვერ დააღწია, მაგრამ გადათამაშებაში „გაგრის" დამარცხებით უმაღლეს ლიგაში მაინც დარჩა.

მომდევნო წელს კი უფინანსობის გამო, სფფ-მ „ცხინვალი" ჯერ უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა, შემდეგ კი იმავე მიზეზით პირველი ლიგის მიღმაც დატოვა. ამგვარად კლუბი რამდენიმე დღეში პირდაპირ რეგიონალლიგაში აღმოჩნდა. აქ უკვე სფფ-მ დაქვეითებულთა სტატუსს ანგარიში გაუწია და რეგიონალლიგაში გამოსვლის ნება უფულოდაც დართო.

ზურაბ ნასუაშვილი („ცხინვალის" გენერალური დირექტორი): *„ცხადია ჩვენ მაშინვე ვესაუბრეთ ფედერაციის თავკაცებს, რომლებმაც პირობა მოგვცეს, რომ ვინაიდან „ცხინვალი" მხოლოდ ფინანსური პრობლემების გამო დაქვეითდა, აუცილებელი სახსრების გამოჩენის შემთხვევაში უმაღლეს ლიგაში კუთვნილ ადგილს დაგვიბრუნებდნენ".*

გასული წლის შემოდგომით იმდროისათვის სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა და ამჟამად დროებითი ადმინისტარციის მეთაურმა **დიმიტრი სანაკოევმა** საფეხბურთო კლუბი „ცხინვალი" მოინახულა, ბურთები გადასცა და დახმარებასაც შეჰპირდა. მას შემდეგ აგერ უკვე ნახევარი წელია გასული და „ცხინვალს" ჯერჯერობით რეალურად არავინ დახმარებია. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა მედია საშუალებით რამდენჯერმე გავრცელდა ხმები იმასთან დაკავშირებით, თითქოს სანაკოევმა გადაიფიქრა აღნიშნული კოლექტივის დახმარება. დევნილთა კლუბში კი ბოლომდე იმედი ჰქონდათ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდებოდა და აი, უკანასკნელ დღეებში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სანაკოევის მთავრობა საფუძვლიანად დაინტერესდა „ცხინვალის" მდგომარეობით და უახლოეს ხანს ამ გუნდს თავისი პატრონაჟის ქვეშ აიყვანს. მხარეები ამ ეტაპზე, საბოლოო შეთანხმებამდე, თავს იკავებენ ოფიციალური განცხადებებისგან, თუმცა, როგორც ჩანს ყველაფერი ძალიან მალე გაირკვევა.

სავარაუდოდ, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციას ამ გუნდის უმაღლეს ლიგაში უსახსრობის გამო დაკარგული ადგილის დაბრუნების პერსპექტივა ხიბლავს და ასეთ შემთხვევაში ფინანსურად წელგამართული, ანგარიშგასაწევი გუნდის შექმნა აქვს დაგეგმილი.

თავის მხრივ, კლუბის ხელმძღვანელობაც იმედოვნებს, რომ სფფ-ის ერთი წლის წინანდელი პირობა შესრულდება და დევნილთა გუნდს უმაღლეს ლიგაში ფინანსური და არასპორტული თვალსაზრისით დაკარგული ადგილი დაუბრუნდება.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

სირაძემ მინგეს, მინგემ ტოპმიოლერს

ჰერ კლაუსმა პატაკი ჩაიბარა და დღეს ცენტრი უნდა თქვას

ევროფესარჩევში 2 და 6 ივნისს, შესაბამისად ლიტვასა და საფრანგეთთან მატჩებისთვის **კლაუს ტოპმიოლერმა** ხუთ თავდამსხმელს უხმო - **გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი, ოთარ მარცვალაძე, შოთა არველაძე** და **დავით სირაძე**, მაგრამ ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ხუთეულში ალბათ ცვლილებები მოხდება.

გუშინ სირაძე თბილისში ჩამოსულ **რალფ მინგეს** შეხვდა და ტოპმიოლერის თანაშემწეს თავისი მდგომარეობა გააცნო. სირაძეს აპრილში კოჭი ისე დაუზიანდა, სამი კვირა არ უვარჯიშია და ორი კვირა იქნება, რაც ვარჯიში განაახლა. თანაც დათოს ბოლო ორი თვე "აუეში" თამაში არ უწევდა. ერთი სიტყვით, სირაძე საუკეთესო ფორმაში არ არის და ამის შესახებ მან მინგეს უთხრა, რომელმაც, რა თქმა უნდა, ტოპმიოლერიც ჩააყენა საქმის კურსში.

მოკლედ, სირაძის ლიტვა-საფრანგეთში ნაყვანა კითხვის ნიშანის ქვეშაა. ტოპმიოლერი, ვინც ახლა შოტლანდიაშია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან, ამ საკითხს სავარაუდოდ დღეს გადაწყვეტს, თუმც მთლად მარტივად არ არის საქმე.

ზემოაღნიშნული ხუთი თავდამსხმელიდან ცენტრფორვარდი მხოლოდ ორია - სირაძე და არველაძე და თუ სირაძე ლიტვა-საფრანგეთში ვერ ნავა, დიდი შანსია, საქართველოს ნაკრები ამ მატჩებისთვის ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე დარჩეს - ტრავმიანი და ასაკოვანი არველაძე ნაკრებში თამაშს ისევ ყოყმანობს.

დემეტრაძე და მარცვალაძე გარემარბები არიან, იაშვილი კარგა ხანია უკანდახეულ ფორვარდად თამაშობს "ფრაიბურგში" და რაც საქართველოს ნაკრებს ტოპმიოლერი წვრთნის, ამ სამეულს ცენტრფორვარდად ჯერ არასდროს უთამაშია. შესაძლოა, ტოპმიოლერი ექსპერიმენტზე წავიდეს, მაგრამ თუ ორი მატჩისთვის მას მხოლოდ სამი შემტევი შემორჩება, ალბათ სხვა თავდამსხმელს უხმობს.

შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების შტაბი დინამოელი **სანდრო იაშვილის** გამოძახებაზე სერიოზულად დაფიქრდა. 22 წლის იაშვილი ახლა მართლაც ჩინებულ ფორმაშია. ერთი სიტყვით, დღეს ტოპმიოლერისგან ახალ ამბებს ველით.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

იაშვილი არმინიაში?

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ალექსანდრე იაშვილმა** დასრულა ფრაიბურგული კარიერა, მას კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა და იქ დარჩენას აღარ აპირებს. ქართველ ფორვარდს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა 10 გატანილი გოლით და 15 საგოლე პასით, ამიტომაც მას მთხოვნელები ბევრი ჰყავს, როგორც გერმანიაში, ისე მის გარეთ. დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია, რომ ალექსანდრე იაშვილით დაინტერესებულია ბერძნული "პანიონიოსი", მეორე ბუნდესლიგაში გადასული "ჰოფენჰაიმი", მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი "ალემანია" და ბუნდესლიგის "არმინია". ბუნებრივია, ქართველი გულშემატკივრის სურვილია იაშვილი ბუნდესლიგაში იხილოს, სხვათა შორის, ბილეფელდის "არმინია" საკმაოდ მოწადინებულია ჩვენებურის გადაბირებით.

"ალემანია" ახლახან გავარდა ბუნდესლიგიდან. კლუბის წყაროს მტკიცებით, გუნდი დაინტერესებულია მომავალი სეზონიდან-მის რიგებში ალექსანდრე იაშვილი იხილოს, აახენელთა მტკიცებით, ქართველით ბუნდესლიგის ხუთი კლუბი ყოფილა დაინტერესებული, თუმცა რომლები, წყარო არ აკონკრეტებს. "ალემანიაში" თვლიან, რომ ფორვარდის გადაბირების ნაკლები შანსი აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ იაშვილი გერმანიიდან წასვლას, იქ დარჩენას ამჯობინებს. მათი აზრით, იაშვილი თავად ნაკლებად არის დაინტერესებული "ალმანიაში" გადასვლით.

"არმინიის" დაინტერესების შესახებ "რადიო ბილეფელდმა" გვამცნო: "არმინიას" თავკაცმა **ერნსტ მიდენდორფმა** დაადასტურა, რომ კლუბი იაშვილის შეძენით დაინტერესებულია. მისი თქმით, იაშვილს ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჰქონდა და 3,19 შეფასებით მეორე ბუნდესლიგაში მეორე იყო. მიდენდორფის თქმით, იაშვილი გამოცდილია, ის 29 წლისაა ანუ არცთუ ასაკოვანი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ალექსანდრე იაშვილი



უჩა უგულავა

ამხანაგური მატჩი

უგულავასა და ტეიშეირას შეხვედრა ბევრს გადაწყვეტს

ჩამოვლენ ბრაზილიელი ვარსკვლავები თბილისში?

ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩის თაობაზე ბოლო პერიოდში არაფერი თქმულა და შესაძლოა ვინმეს ეგონოს, რომ საკითხი დაიხურა. ამ თემაზე ბოლოს ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციიდან თბილისში მოსული თანხმობის შესახებ გაცნობეთ. თუმცა იმასაც ვწერდით, რომ საკითხი ამით არ ამოწურულა. ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** თქმით, უცხოურ მხარესთან კიდევ რამდენიმე დეტალია შესათანხმებელი და კონტრაქტი მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდება.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის **ნიკო პატარქალიშვილის** ბრაზილიაში ვიზიტმა ამ საკითხში გარკვეული ნათელი შეიტანა. ყოველივე ამის თაობაზე, პატარქალიშვილმა "ლელოს" თავადვე მოუთხრო:

"ბრაზილიასთან მოლაპარაკებები რამდენიმე თვის წინათ დაიწყო. ორი თვის თავზე საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ რიკარდუ ტეიშეირას გადაწყვეტილებით, რიო დე ჟანეიროში კონფედერაციის დირექტორმა ლუიშ გუსტავო ვიეირა დე კასტრომ და კომპანია "საფორტინგ სპორტის" თავკაცმა პედრო კაბრალმა მიმიწვიეს. სხვათა შორის, სწორედ "საპორტინგ სპორტს" აქვს დავალებული ტეიშეირასგან საქართველო-ბრაზილიის მატჩის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. შეხვედრები მქონდა პედრო კაბრალთან, ლუიშ გუსტავო ვიეირა დე კასტროსთან და კონფედერაციის ნაკრები გუნდების მენეჯერ ამერიგო ფარიასთან. მათთან შეხვედრების შედეგად ამ საკითხის ორგანიზებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ.

11 მაისს ტეიშეირამ საჯაროდ განაცხადა, რომ კონფედერაცია საქართველო-ბრაზილიის ეროვნული მატჩის თბილისში ჩატარების ინიციატივას ეთანხმება და მზადაა თამაშის ორგანიზებაში წვლილი შეიტანოს. ამ შინაარსის წერილი, ჩვენი ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას სახელზე ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციიდანაც მოვიდა".

რამდენიმე ხნის წინათ უცხოურ მხარესთან დაწყებული მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ამისი მიზეზი ის გახლდათ, რომ ქართული მხარისთვის ბრაზილიელთა მიერ შეთავაზებული ფინანსური პირობები მიუღებელი იყო. თუმცა ფასზე შეთანხმება მაინც მოხერხდა და მოლაპარაკებებიც გაგრძელდა. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად მოთხოვნილი თანხა უწინდელის ნახევარზე ოდნავ მეტია.

"ფინანსურ მხარეს ვერ დაგიკონკრეტებთ, რადგან ეს კონფიდენციალურია. თუმცა იმას კი გეტყვით, რომ უცხოელთა მხრიდან თანხის დაკლება რიკარდო ტეიშეირას უშუალო ჩარევამ განაპირობა.

ბრაზილიის ნაკრების ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე ექსკლუზიურ უფლებას ერთ-ერთი ბრიტანული კომპანია ფლობს. ტეიშეირამ საქართველო-ბრაზილიის მატჩის ორგანიზატორ "საფორტინგ სპორტის" თავკაც პედრო კაბრალს ბრიტანელებთან მოლაპარაკებები და თანხმობის მიღწევა დაავალა. ამჟამად, სწორედ კაბრალსა და ბრიტანულ კომპანიას შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები. კაბრალმა უკვე იცის ჩვენი მოთხოვნა და პირობები, რაზეც ბრიტანულ ფირმას ალბათ დაითანხმებს კიდეც. ამის შემდეგ კი ჩვენს ფედერაციასა და იმ ბრიტანულ კომპანიას შორის კონტრაქტი გაფორმდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო-ბრაზილიის ამხანაგური მატჩის ჩატარების საკითხი ამოწურული იქნება", - გვითხრა პატარქალიშვილმა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, ქართული მხარის მოთხოვნაა, რომ იმ მატჩში ბრაზილიელთა ვარსკვლავებმა, **კაკამ, რობინიომ, რონალდიონიომ** მიიღონ მონაწილეობა.

"ამ სამი ვარსკვლავიდან თუ რომელიმე თბილისურ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს, მაშინ თამაშის ჩატარებაზე ხელშეკრულებას ქართული მხარე არ გააფორმებს. ჩვენი ეს მოთხოვნა ბრაზილიურმა მხარემ და ბრიტანულმა კომპანიამაც იციან და მჯერა, პრობლემა არ გვექნება", - იმედოვნებს პატარქალიშვილი.

დაბოლოს, 27 მაისს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში უეფას კონგრესი ჩატარდება. 28-31 მაისს კი ციურიხშივე გაიმართება ფიფას კონგრესი. ჩვენი ინფორმაციით, ფიფას კონგრესის მსვლელობისას უჩა უგულავა რიკარდუ ტეიშეირასა და ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის სხვა ხელმძღვანელებს შეხვდება და ამ საკითხზე მოლაპარაკება კიდევ გაიმართება.

დავით ცაბაძე

19-წლამდელთა ნაკრები. ელიტრაუნდი

მეტოქეს მაგუერი გამოაკლდა

19-წლამდე ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში, საქართველოს ნაკრები შოტლანდიას დღეს ეთამაშება. შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა პორტუგალიელებთან ფრედ 0:0 ითამაშა. თურქეთმა კი მასპინძელი შოტლანდია 2:1 დაამარცხა და ჯგუფში გალიდერდა.

მასპინძლებთან მატჩამდე, უინტერესო არ უნდა იყოს მათი და თურქების მატჩს შევეხოთ.

თურქებმა გადამწყვეტი გოლი ბოლოს გაიტანეს

"ელიტრაუნდის მასპინძელმა შოტლანდიამ მატჩი, 81-ე წუთზე დაშვებული შეცდომის გამო წააგო. "ლივერპულის" ახალგაზრდულ გუნდში მოთამაშე რაიან ფლაინმა ბურთი უკან დაუბრუნა თანაგუნდელებს, რასაც შოტლანდიელ მცველებს შორის გაუგებრობა მოჰყვა, ამით კარგად ისარგებლა თურქთა თავდამსხმელმა კიოშემ, რომლის გოლი თურქებისთვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა", - წერენ შოტლანდიელი მიმომხილველები.

შოტლანდიელ ჭაბუკთა მწვრთნელი **არჩი ნოქსი**, პირველ ტურში წაგებას მთლად ამ ეპიზოდში დაშვებული შეცდომით არ ხსნის.

"მხოლოდ ამ შეცდომის გამო არ წაგვიგია. მარცხის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ამ თამაშში ჩვენს გუნდს აშკარად ეტყობოდა ენერგიის ნაკლებობა. ეს გადაღლა ალბათ უკვე გალეული მძიმე სეზონით აიხსნება. თუმცა გადამღლელი სეზონი წაგების გამართლებად ნამდვილად არ გამოდგება.

მომდევნო მატჩი, პარასკევს, საქართველოს ნაკრებთან გვაქვს. ამ თამაშისთვის შემადგენლობაში გარკვეულ ცვლილებებს მივმართავ. იმ ფეხბურთლებს მივცემ თავის გამოჩენის შანსს, რომელთაც განვლილი სეზონის სიმძიმე იმდენად არ ეტყობათ. მეორე ტურში გამარჯვების მოსაპოვებლად ყველაფერს გავაკეთებთ", - აღნიშნა პრესასთან საუბარში შოტლანიელთა მწვრთნელმა. სხვათა შორის, ნოქსს ადრე თვით სერ **ალექს ფერგიუსონსა** და **უოლტერ სმიტთან** უმუშავია.

ბრიტანული პრესის მტკიცებით, ქართველებთან მატჩში არჩი ნოქსი ერთ ფეხბურთელს მოისაკლისებს. თურქეთთან მატჩში "აბერდინის" ფორვარდი **კრის მაგუერი** დაშავდა და დღეს ჰაინც ტოპმიოლერის გუნდის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

დაბოლოს, დღეს შოტლანდია-საქართველოს მატჩი პერსში, "მაკდერმირ პარკზე", თბილისის დროით 22:45 სთ-ზე დაიწყება. ამავე პერიოდში პორტუგალია თურქეთს დაუპირისპირდება.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ბიჭებო, შეიპარეთ სტადიონზე

გულის მოსაგები პროვოკ-ა(ქ)ცია

ეს ადრე ყოფილა, ჩვენი თაობა ვერ მოესწრო, როცა უბილეთოდ დარჩენილი ბიჭები სტადიონზე მოსახვედრად მესერიდან ხტებოდნენ. საბჭოთა მილიციელების სიმკაცრესაც არ ეპუებოდნენ, ოღონდ, საყვარელი გუნდისთვის ეცქირათ.

ახლა ყალბ დოლარებს ბეჭდავენ, მაშინ - ფეხბურთის ბილეთებს, რადგან დინამოელების მოგებით გული უნდა ეჯერათ.

შემეშალა, ბოლო 15 წელიწადშიც გადამხტარან მესერზე - უელსთან, გერმანიასთან, ინგლისთან, ბულგარეთთან.

ეგაა, გამარჯვებით გული ვეღარ იჯერეს და სტადიონს სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ. იქ აღარ ეგულებოდათ საყვარელი ფეხბურთელები და ტელევიზორს მიაშტერდნენ.

ადრე დინამოელის მაისურა ვინმეს რომ მოერგო, ერთი წელი "მარიაჟობით" გასკდებოდა - დიდი თუ პატარა. ახლა ლილოს ბაზრობაზე მოდაში კაკას, რონალდინიოს და გატუზოს მაისურებია. არის ამაში ლოგიკა.

თუმცა ეს ისეთი გულით ჩაცმული ფორმა არაა, როგორითაც ადრე "მარიაჟობდნენ".

მაყურებელს მოენატრა გმირი, ქართველ ბიჭებს კი - თავისი მაყურებელი. რუსთავში, "ოლიმპი"-"დინამოს" მატჩზე ტრიბუნები რომ გაივსო, ერთ-ერთ დინამოელს, მგონი, სანდრო კობახიძეს უთქვამს, დავიბენიო.

დაიბნეოდა, ამდენი ხალხი სტადიონზე ხომ მხოლოდ "ტელევიზორის ფეხბურთში" უნახავს, საკუთარ თავზე კი მისი ძალა არ უგრძვნია.

ერთი ისღა გვიხარია, რომ მაყურებელი თასის ფინალს მაინც შეეჩვია. ბიჭებმა სტადიონის მესერზე გადახტომაც გაიხსენეს. "დინამო"-"ტორპედო", "ლოკომოტივი"-"ზესტაფონი" და "ამერი"-"ზესტაფონი" ურიგო სანახავი არ აღმოჩნდა და ბიჭებიც მიხვდნენ - ღირდა მისვლა.

შესაძლოა, არც მშობელი გყავდეს საუკეთესო და არც შვილები, მაგრამ მაინც გიყვარს, რადგან შენია, გტკივა და გიხარია. ქართული ფეხბურთიც ასეა - ყველაზე კარგი რა პირით ვუწოდოთ, როდესაც კაკას ბრაზილია, გატუზოს იტალია, შვაინშტაიგერის გერმანია და ზიდანის საფრანგეთი გვინახავს, მაგრამ ქართული ფეხბურთი ჩვენთვის მშობლიური და აქედან მოდის მისი გულშემატკივრობა.

დავით ყიფიანის ფონდის და ჟურნალ "ათიანის" გუშინდელი აქციაც ამ გრძნობის გამოვლენას ჰგავდა. მათ მხარი აუბეს "ყაზბეგმა", ლუკოილმა", ჯამლეთ ხუხაშვილმა, დავით ქლიბაძემ, ხუთი სკოლის (1, 21, 35, 51 და 53 საჯარო სკოლების) დირექტორებმა, გრიგოლ ცაავამ, პროფლიგამ. საერთო ძალებით, 500 ბავშვი 26 მაისის ფინალს უფასოდ დაესწრება.

"ათიანის" რედაქტორი გია გორგოძე იმედიანადაა, ამ ხუთასიდან თავისით მომავალ ფინალს ორმოცდაათი მაინც დაესწრება და სხვებიც დაემატებიან.

მერე უკვე ფეხბურთელები არ დაიბნევიან, იქნებ, ვიღაცა უბილეთოდაც დარჩეს და გაიხსენებენ ფეხბურთელები მთავარს - რომ ისინი ხალხისთვის თამაშობენ.

მერე მოვა პასუხისმგებლობა და კლასიც, რომელიც ბოლო წლებში მესერზე გადავლებულთა რაოდენობასავით იკლებდა.

ვინ იცის, იქნებ, მაშინ მაინც დავიბრუნოთ სიხარული და გმირები. ფეხბურთი ხომ ცალმხრივი მოძრაობა არაა. როცა მოთამაშეებს გამარჯვებას ვთხოვთ, თავსაც უნდა მოვთხოვოთ მათი თანადგომა და ორმხრივი მოძრაობაც აღდგება.

ასე რომ, ყველანი ფინალზე მივდივართ!

მერაბ მამულაშვილი

ნიკოლაშოუ ნიკა ქავთარაძის წინააღმდეგ

ეროვნული სტადიონის დირექცია 26 მაისისთვის ემზადება. "ამერი" და "ზესტაფონი" ზედიზედ მეორედ შეეცილებიან ერთმანეთს დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის" თასს. გუშინ ამასთან დაკავშირებით პროფესიული ფეხბურთის ლიგამ, ფეხბურთის ფედერაციამ და გუნდების მხარდამჭერებმა, ეროვნულის პრესდარბაზში ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც საკმაოდ მხიარულ ნოტაზე წარიმართა.

პაატა ბურჯალიანი (პროფლიგის პრესატაშე):

- მატჩის ორგანიზატორებს ძალიან გვიხარია, რომ ფინალმა ჯერ არნახული აუიოტაჟი გამოიწვია. დიდია ალბათობა იმისა, რომ სტაიდონზე უამრავმა მაყურებელმა მოიყაროს თავი. მას შემდეგ, რაც პროფლიგა თასის ფინალის ორგანიზატორი გახდა, მატჩამდე შოუპროგრამების დადგმა ტრადიციად იქცა. ამ ტრადიციისთვის წლეულსაც არ გვიღალატია. რაც შეეხება მხარდამჭერებს, "ამერს" და "ზესტაფონს" საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები უქომაგებენ. პირველს გიორგი ნიკოლაძე, "ზესტაფონს" კი ნიკა ქავთარაძე. ისინი შეეცდებიან, გულშემატკივრობა ორგანიზებული იყოს.

ამის თქმა იყო და გიორგი ნიკოლაძემ "ამერის" ფორმა გადაიცვა:

- გაუმარჯოს "ამერს". იმიტომ, რომ ამ ერის გულშემატკივრები ვართ. ჩემი დიდი სურვილია, რომ ამ შესანიშნავმა გუნდმა კიდევ ერთხელ მოიპოვოს თასი და თავისი გულშემატკივარი გაახაროს.

ნიკა ქავთარაძე: - ერთი წელია, ამ თამაშისთვის ვემზადებით ზესტაფონელები და თავად გუნდი. დარწმუნებული ვარ, შარშანდელისგან განსხვავებით, ფეხბურთელები წლეულს გამარჯვებას მიაღწევენ. საგანგებოდ ფინალამდე მე და კიდევ ერთმა ზესტაფონელმა დავით ფორჩხიძემ ჩავწერეთ სიმღერა, რომელიც გუნდს ეძღვნება. დარწმუნებული ვარ, იგი "ზესტაფონის" ჰიმნი გახდება. მოვუწოდებ ყველა ზესტაფონელს მოვიდეს სტადიონზე და უქომაგონ საყვარელ გუნდს.

ნიკა ქავთარაძე, პაატა ბურჯალიანი, გიორგი ნიკოლაძე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

გიორგი ნიკოლაძე: - ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, თასი მაინც ამ ერის გუნდს დარჩება.

ნიკა ქავთარაძე: - ამით დაიმშვიდეთ თავი, თასი კი ამ ერს და "ზესტაფონს" დარჩება.

გიორგი ნიკოლაძე: - რა თქმა უნდა, მაგრამ მე მაინც ჩემს საყვარელ გუნდს, "ამერს" ვუგულშემატკივრებ.

ნიკა ქავთარაძე: - თამაში საღამოს რვა საათზე იწყება და მთავარია, მაყურებელი ნახევარი საათით ადრე მაინც მოვიდეს.

როგორც გავარკვიეთ, გიორგი ნიკოლაძე და ნიკა ქავთარაძე თამაშის დაწყებამდე გულშემატკივრებს უმძიმესი ბრძოლისთვის მოთელავენ, რომელშიც ლომის წილის დადება სწორედ უკეთეს მხარდაჭერას შეუძლია.

ასე რომ, მოდით სტადიონზე და დაეხმარეთ საყვარელ გუნდს გამარჯვებაში.

მერაბ მამულაშვილი

ოქროს ფრთა ტყუპ არველაძეებს

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი 5 წლისაა. ფონდის მიერ დაწესებული ჯილდო "ოქროს ფრთით" სხვადასხვა სფეროში გამორჩეულ პიროვნებებს აჯილდოებენ. გუშინ, 16 საათზე "თბილისი მერიოტში" უკვე მერვედ დააჯილდოვეს ფავორიტები. საზეიმო საღამოს რამდენიმე ათეული ადამიანი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულებს სპეციალურად ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ავლენენ. "ოქროს ფრთა" შარშან პირველად ერგო სპორტის წარმომადგენელს - საქართველოს ნაკრების კაპიტანსა და "მილანის" მცველ **კახა კალაძეს**. გუშინ კი "ოქროს ფრთის" ნომინანტებს შორის სპორტი ისევ ფეხბურთმა წარმოადგინა. ამჯერად ტყუპები, **შოთა** და **არჩილ არველაძეები** დააჯილდოვეს. ჰოლანდიაში ფლეი ოფის მატჩები გრძელდება. ბუნებრივია, შოთა არველაძე "ალკმაართან" ერთად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად იბრძვის, სამშობლოში არაა და გუშინ "ოქროს ფრთაც" მისმა ტყუპისცალმა ჩაიბარა.

"მე და შოთას უცხოეთში არაერთი ჯილდო მიგვიღია. თუმცა სამშობლოში მიღებული ჯილდო ჩვენთვის განსაკუთრებით ფასობს. მადლობელი ვარ ამ აღიარებისთვის", - განაცხადა არჩილ არველაძემ.

"ოქროს ფრთის" წლევანდელი ნომინანტების სრული ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

არჩილ გოგელია, იური როსტი, დავით გურგენიძე, გიორგი სვანიძე, ანზორ ერქომაიშვილი, ჯიმშერ ბედიანაშვილი, ლევან ვასაძე, დარეჯან კუხიანიძე, ზაზა სიორიძე, ანზორ ქოქოლაძე, მაია კვეზერელი-კოპაძე, შოთა არველაძე, არჩილ არველაძე, თეიმურაზ ქორიძე, მარინე ვაშაყმაძე, ლელა მარგიანი, გოდერძი შარაშია.

დავით ცაბაძე



www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

HTB-ფუტბოლის ინტერვიუ კახა კალაძესთან

დავფიქრდები, თუ მოურინიო მიხმობს

გუშინდელ „ლელოში“ კახა კალაძის ფინალისშემდგომი ინტერვიუ შემოგთავაზეთ. ჩემპიონთა ლიგის მეორედ მომგებ ქართველს ათენში „HTB ფუტბოლის“ ჟურნალისტი ალექსეი ანდრონოვიც გაესაუბრა. მისი და საქართველოს ნაკრების კაპიტნის დიალოგი საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

- „მილანისთვის“ იღბლიანი ფეხბურთელი ხართ. ლიგის სამი ფინალიდან ორში ითამაშეთ და ორივე მოიგეთ...

- დიახ, ნიშანდობლივი ფაქტია (იცინის). ძალიან ბედნიერი ვარ, რომ უდიდეს საკლუბო ჯილდოს მეორედ დავეუფლე, ბევრ ბრწყინვალე ფეხბურთელს ხომ კარიერა ისე დაუსრულებია, ჩემპიონთა თასის მოგება ერთხელაც არ ღირსებია. დიდი მადლობა ყველას, ვინც ფინალში მქომაგობდა – მშობლებს, ნათესავებს, მთელ საქართველოს, ასევე რუს და უკრაინელ გულშემატკივრებს.

- თავიდანვე იცოდით, რომ მატჩს სათადარიგოთა სკამზე დაიწყებდით?

- არა, დიდი იმედი მქონდა, რომ ძირითადში მოვხვდებოდი, ანჩელოტის გადაწყვეტილება ბოლო მომენტში შევიტყვე. ბუნებრივია, ეს ამბავი არ მესიამოვნა, მაგრამ მთავარი გუნდის ინტერესებია. ვფიქრობ, „მილანის“ გამარჯვებაში საკუთარი წვლილი მეც შევიტანე. სიხარულს ის ფაქტი მიათმაგებს, რომ „ლივერპულს“ შარშანწინდელი წყენისთვის სამაგიერო გადავუხადეთ.

- ალბათ, იცით, რომ პირველი პოსტსაბჭოელი ხართ, ვინც ჩემპიონთა ლიგა ორჯერ მოიგო.

- დიახ, და ეს ძალიან მეამაყება. ჯერ ახალგაზრდა ვარ და იმედია, ორზე არ შევჩერდები.

- როგორ ფიქრობთ, დღეს „მილანმა“ უკეთ ითამაშა, ვიდრე 2005 წლის ფინალში?

- არა, შარშანწინდელი ფინალი გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მაგრამ მაშინ საოცრად არ გაგვიმართლა. ვაღიარებ, დღეს არცთუ დამაჯერებლად ვითამაშეთ, მაგრამ სეზონი მხოლოდ ფინალით ხომ არ იზომება. სამაგიეროდ, „ბაიერნთან“ და „მანჩესტერთან“ ჩავატარეთ ბრწყინვალე მატჩები.

- „მილანის“ დღევანდელმა გამარჯვებამ „ინტერის“ მიერ მოპოვებული სკუდეტო დაჩრდილა?

- „ინტერი“ იტალიის ჩემპიონია, „მილანი“ კი ევროპისა. თავად განსაჯეთ, რომელი უფრო დიდი მიღწევაა. საერთოდ, დღეს მოპოვებულ ტიტულს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ფასი აქვს, სერია A ხომ დაკლებული ქულებით დავინყეთ, ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის ნება კი ბოლო მომენტში დაგვრთეს.

- საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?

- მოედანზე დიდი დრო არ გამიტარებია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ამ ხნის განმავლობაში შეცდომა არ დამიშვია.

- რონალდო ალბათ, გულნატკენია, ჩემპიონთა თასის მფლობელთა შორის რომ არ მოიხსენიება.

- იგი ჩვენთან ერთად ზეიმობს, მაგრამ ბუნებრივია, ეს რონალდოს სრულფასოვანი გამარჯვება არაა. არა უშავს, ეს შესანიშნავი ფეხბურთელი ჩვენთან რჩება და პირველ ჩემპიონთა თასს „მილანშივე“ მოიგებს. აი, თუნდაც გაისად, ფინალი მოსკოვშია და იმედი მაქვს, იქაც ვიზეიმებთ.

- მალდინი რას აპირებს, აგრძელებს კარიერას?

- ერთადერთი ის ვიცი, რომ პაოლოს სკამზე ჯდომა არ სურს. ზეიმს მოვრჩებით და მალდინი თავის გადაწყვეტილებას გვამცნობს. ვფიქრობ, ლიგის მოგების შემდეგ, მისი წასვლის შანსი ერთიორად გაიზარდა. ყველა ფეხბურთელის სურვილია, დიდი ფეხბურთიდან გამარჯვებული წავიდეს.

- შევჩენკოსა და მის ცოლს „მილანში“ დაბრუნება სურთ...

- ისევ შევჩენკოს ცოლი (იცინის)... მერე, ამ ამბავთან მე რა შუაში ვარ?

- ალბათ, იცით, რომ თქვენს გაცვლაზეა საუბარი.

- ჰო, ამ ინფორმაციას პრესის საშუალებით გავეცანი, მაგრამ არა მგონია, რეალური იყოს.

- ისე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „ჩელსიში“ გადახვიდოდით?

- „ჩელსისთან“ მოლაპარაკებას შარშანწინ ვაწარმოებდი, მაგრამ მაშინ ლონდონელები ცუდად მომექცნენ, პირი მიტეხეს. ამის მიუხედავად, თუ რეალური შემოთავაზება მივიღე, დავფიქრდები. ოღონდ, ჩემი წაყვანა, პირველ რიგში, მოურინიომ უნდა მოისურვოს. თორემ შევჩენკოს ტრანსფერის ინიციატორი აბრამოვიჩი იყო და ამით ანდრეიმ ვერაფერი მოიგო, მოურინიოს მისი შეძენა არ უნდოდა და შევჩენკოს ტრანსფერით აღფრთოვანებული ნამდვილად არ დარჩენილა.

- რას ეტყოდით ქართველ გულშემატკივრებს?

- დიდი მადლობა ჩემს თანამემამულეებს, ვიცი, დღეს ჩემს სიხარულს მთელი საქართველო იზიარებს. ჩემი ცხოვრების უმძიმესი ეტაპი უპირველეს ყოვლისა, ქართველების თანადგომით გადავლახე.

- თეთრ-წითელი ბუცები საქართველოს დროშის ფერების მიხედვით გაცვიათ?

- დიახ, ამას გარდა, როგორც ხედავთ, ხელზე სახვევი მიკეთია, რომელზეც ჩემი ქვეყნის ხუთჯვრიანი დროშაა გამოსახული. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ქართველი ვარ და ჩემი სამშობლოთი ვამაყობ. ეს სახვევი ჩემთვის თილისმასავითაა, სულ თან დამაქვს. ყველას ვეუბნები, რომ ულამაზესი ქვეყნის შვილი ვარ, საქართველო ნელ-ნელა შენდება, უახლოეს მომავალში ჩემი ხალხი გაჭირვებაში აღარ იცხოვრებს.

- თქვენი აზრით, უახლოეს პერიოდში მიეცემათ აღმოსავლეთევროპულ კლუბებს ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი?

- არა მგონია, უახლოეს წლებში ეს მოხდეს, შემდგომ კი არაფერია გამორიცხული. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, საუკეთესო შანსი რუსულ გუნდებს აქვთ, ვიცი, რომ თქვენი პრემიერლიგა ძლიერი ტურნირია და უცხოელები მრავლად თამაშობენ. თუ ამ პოლიტიკას გააგრძელებთ და კიდევ უფრო ცნობილ ვარსკვლავებს გადაიბირებთ, ჩემპიონთა თასის დაუფლება რეალური გახდება.

- რაზე ოცნებობს ფეხბურთელი კახა კალაძე?

- საკლუბო დონეზე უკვე ყველაფერი მოვიგე, გულს მხოლოდ საქართველოს ნაკრების წარუმატებლობები მწყვეტს. ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში, ჩემი უპირველესი ოცნებაა. კლაუს ტოპმიოლერი ჩვენს ეროვნულ გუნდში საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს. კაცი იმედით ცოცხლობს და იმედი მაქვს, ქართველ გულშემატკივრებს ის მაინც აუხდენს ოცნებას.

P.S. **აძვე კალაძეზე ერთ მეტად საინტერესო ინფორმაციასაც მოგანვდით. რამდენიმე უცხოურმა გამოცემამ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ გამოაქვეყნა სურათი, რომელზეც ჩანს, რომ "მილანის" ლიდერი ჯენარო გატუზო სკამით კახა კალაძეზე ინევს.**

სურათი "მილანი"-"ლივერპულის" ფინალამდე, იტალიელთა სასტუმროშია გადაღებული. რუსული ტაბლოიდი "ტვოი დენ" ამტკიცებს, თითქოს იტალიელი მუსიკას უსმენდა, როდესაც კახამ მას ყურთსაცავები ჩამოგლიჯა და თვითონ გაიკეთა, რამაც გატუზო განარისხა. თუმცა, შუაში კლარენს ზეედორფი ჩადგა, შერიგებული ფეხბურთელები კი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

რეალურად, სურათიდან ძნელი მისახვედრია, გატუზო კალაძის საქციელმა მართლა განარისხა თუ მისთვის ჩვეული ემოციური განწყობა ასე გამოხატა და კახას ორიგინალურად გაეხუმრა.

ერთი კი ვიცით, ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე ჯენარო "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში ქართველ ლეგიონერზე დიდი სიყვარულით საუბრობდა. *"კახას მიმართ უდიდესი პატივისცემას ვგრძნობ. საერთოდ, ჩემთვის ძმასავით არის. კახა ის ადამიანია, რომელსაც ყოველთვის შეიძლება დაეყრდნო თამაშის დროს და მოედნის მიღმაც. ჩვენ ერთმანეთს ცხოვრებაში შესანიშნავად ვუგებთ", - თქვა გატუზომ.*

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა





ტრადიციული გაზეთი

ჩემპიონთა ლიგა. ფინალის გამოხმაურება

ანჩელოტი: ეს ჩვენი ბედისწერა იყო

ძვირფასი საჩუქრის მოლოდინში, უკვდავი მალდინი, მეფე კაკა და საჭირო კახა

აპენინებზე საყოველთაო ეიფორიაა. ზედიზედ მეორე სეზონია, სკანდალებით შეძრული იტალია უმაღლეს ტიტულებს იგებს: შარშან იყო მუნდიალი, წლეულს ჩემპიონთა ლიგა. 2:1 ათენში. ოთხშაბათს დიამეტრალურად საპირისპირო სიტუაცია იყო, თუნდაც იმ მხრივ, რომ ეს ფინალი ორი წლის წინანდელს ბევრად ჩამოუვარდებოდა. მაგრამ არც თუ ბევრია ისეთი ფინალი, რომელიც დიდხანს გამახსოვრდება. იგივე "მილანმა", იმავე მოედანზე, 13 წლის წინათ საშინელი სამსჯავრო მოუწყო "ბარსელონას" - 4:0. მაშინ ითქვა, რომ ეს იყო დიდი ფეხბურთის აპოგეა. ვინ იცის... გუშინწინ "მილანი" ვერ იყო ისეთი დიდი, მაგრამ იყო შედეგი. შედეგი კი ისაა, რომ "როსონერი" მთავარი ევროსაკლუბო ჯილდოს შვიდგზის გამარჯვებულია...

მილანის "პიაცა დელ დუომოზე" (ქალაქის მთავარი მოედანი) ფინალისთვის მზადება სამშაბათიდან დაიწყო. მაგრამ მზადებაში მხოლოდ ტექნიკური მხარე არ იგულისხმება, საუბარია ტიფოზთა მობილიზაციაზე. ამ კადრების ნახვისას გგონია, რომ მთელი იტალია აქ არის. ალბათ, საჭირო აღარ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რა ამბები იქნებოდა "პიაცა დელ დუომოზე" უშუალოდ ფინალის დროს და მით უმეტეს, ფინალის შემდეგ...

იტალიური პრესა გამარჯვებას საკადრისად გამოეხმაურა. "კორიერე დელო სპორტი" წერს: **"იტალიის ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონობის მოგებიდან 11 თვის თავზე, იტალიური ფეხბურთი კვლავ პირველია, ამჯერად, ევროპაში. ჩემპიონთა ლიგა ჩვენია. და ეს გააკეთა "მილანმა", თავისი სიძლიერით, ხასიათით, ხარისხით, ინტელექტითა და დიდი პერსონებით".**

დღეს "მილანს" მტრები აღარ ჰყავს, მთელი იტალია "მილანია". "მილანს" ადიდებს ყველა, ვისაც ყოველთვის უდიდებია და ვისაც ბევრჯერ მიწასთან გაუსწორებია. ადიდებენ **კარლო ანჩელოტისაც**, რომელსაც "მშიშარა და სწორხაზოვანი მწვრთნელის" რეპუტაცია აქვს, მაგრამ ვინ თქვა, რომ ეს "ბუნჩულა" კაცი ღირსებებითაც არ არის დაჯილდოებული? განა ცოტას ნიშნავს ის, რომ მომქანცველი სეზონის ბოლოსთვის გუნდი ოპტიმალურ ფორმაში იყოს. ცოტას კი არა, მთავარიც ესაა. გუნდის მომზადებისა და დეტალებამდე გათვლილი როტაციული პოლიტიკის მხრივ, ანჩელოტის ბევრი ვერც დაუდგება გვერდით...

"რევანში სტამბოლის გამო, "მილანი" ჩემპიონია" - ყვირის "რეპუბლიკა". **"და შენ მიდიხარ!.."** - ეს უკვე "გაძეტა დელო სპორტის" "ჰედლაინია", რომელსაც თან ახლავს შვიდი ძახილის ნიშანი ჩემპიონთა თასის პატარა გამოსახულებებით.

პაოლო მალდინი თითქმის ყველა ფოტოზეა. **"ის უკვდავია!"** - წერს "გაძეტა". იტალიური პრესა აღტაცებულია **ფილიპო ინძაგითაც** (69 მატჩი ჩემპიონთა ლიგაში და 42 გოლი). **"სუპერ ეურო პიპო"**, ეს მისი ახალი მეტსახელია. "გაძეტას" შეფასებებით, "მილანის" საშუალო ბალი 7.5-ია, "ლივერპულის" კი მთელი ერთი პუნქტით ნაკლები - 6.5. ასეც უნდა ყოფილიყო...

ბერლუსკონი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის:
ფანებისთვის ძვირფას საჩუქარს ვამზადებ!

"გაძეტას" პირველივე გვერდზეა **სილვიო ბერლუსკონის** სიტყვები: *"ეს არის გამარჯვება ჩვენთვის და მთელი იტალიისთვის. პიპო გოლებს დამპირდა და სიტყვა შეასრულა კიდეც. თამამად და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში, "მილანი" მსოფლიოს უძლიერესი გუნდია. თანამედროვე ფეხბურთში ჩვენ მთელი ეპოქა შევქმენით. და ახლა, მზად ვარ, ფანებს ლამაზი საჩუქარი გავუკეთოთ და რომელიმე დიდი ფეხბურთელი შევიძინო".*

რა თქმა უნდა, ბერლუსკონის სიტყვები პრესას უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მაშინვე განახლდა სპეკულაციები **რონალდინიოზე**, ითქვა **ანდრეი შევჩენკოს** მოსალოდნელ დაბრუნებაზეც. ამაზე ინგლისური მედიაც წერს. ცნობილია, რომ შევჩენკო ათენის ფინალს დაესწრო. ის ბერლუსკონის პირადი სტუმარი გახლდათ. მთავარი კი ისაა, რომ ბერლუსკონი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის...

ბედისწერა
...ანუ სეზონი, რომელიც ანჩელოტის მილანურ კარიერაში, შეიძლება, გოლოც ყოფილიყო

- უნდა ვაღიარო, რომ ორი წლის წინათ, სტამბოლში, გაცილებით მაღალი ხარისხის თამაში ვაჩვენეთ. მაგრამ ეს ფეხბურთია. მეტოქედ ძალიან ძლიერი და ხისტი გუნდი გვყავდა. ამიტომაც გაგვიჭირდა თამაში...

- ეს გამარჯვება ჩვენი ბედისწერა იყო, თუ გავითვალისწინებთ, რა დაგვემართა იმ დაწყევლილ ფინალში. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ იმ თამაშით, რომელიც ამ საღამოს ვაჩვენეთ, მაინც და მაინც "მილანმა" დაიმსახურა გამარჯვება...

- უდიდესი ბედნიერებაა ჩემპიონთა ლიგის მოგება იმ სეზონში, რომელიც, შეიძლება, ჩემი ბოლო მილანური სეზონი ყოფილიყო. ნოემბრამდე ძალიან გვიჭირდა, პირველ რიგში, ამას საკუთარ თავზე ვიტყოდი. მაგრამ მერე შემოვბრუნდით. "მილანისადმი" განსაკუთრებული გრძნობა და დამოკიდებულება მაქვს. ასე მგონია... და დარწმუნებულიც ვარ, 5 წლის განმავლობაში სხვა გუნდთან ერთად ამდენს ვერ მივაღწევდი...

- ყველაზე მძიმე მომენტებშიც კი ვინარჩუნებდით სიმხნევეს, ვინარჩუნებდით ჰარმონიულ ურთიერთობებს კლუბს, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის. ძალიან გვიშველა ზამთრის შეკრებამ, რომელიც მალტაზე გავიარეთ. დიდი ხნის განმავლობაში გვაკლდნენ ისეთი საჭირო ფიგურები, როგორებიც არიან ინძაგი, კალაძე, მალდინი, სერჟინიო, ნესტა... მაგრამ ჩვენ გვესმოდა: ეს იყო ერთადერთი შანსი იმისთვის, რომ ამ სეზონში რაღაც ძვირფასი მოგვეგო...

- სტამბოლში ინძაგი სათადარიგოთა შორისაც არ ყოფილა, რადგან ტრავმირებული იყო. ვფიქრობ, ის ამ თამაშისთვისაც არ იყო 100 პროცენტით მზად. მაგრამ მას აქვს უდიდესი გამოცდილება და ამიტომაც დავაყენე ძირითად შემადგენლობაში... თვლაც კი ამერია, რამდენჯერ შევიდა ტუალეტში თამაშის დაწყების წინ... გამართლება? მას არაერთი გოლი გაუტანია ბედის წყალობით, მაგრამ მისი დამსახურება ისიცაა, რომ ფორტუნა ყოველთვის მასთან არის. ინძაგი ყოველთვის ჩნდება საჭირო ადგილზე, რადგან გრძნობს, სად იბადება გოლი...

- "ლივერპული" გააფთრებით არ გვიტევდა. ისინი ბურთის დაჭერას ცდილობდნენ და გადამწყვეტ დარტყმას დიდხანს ამზადებდნენ. როცა მოედანზე კრაუჩი გამოვიდა, ინგლისელებმა გრძელი გადაცემებით დაიწყეს თამაში. მაგრამ პიპომ დროულად გაიტანა, ეს იყო გადამწყვეტი მომენტი...

კახა კალაძე:
კაკა მეფეა! მალდინი კი პრობლემას მიძმნის...

კახა კალაძემ ფინალში ბოლო 10 წუთი ითამაშა. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, უდავოა, "მილანის" გამარჯვებაში მანაც თავისებური წვლილი შეიტანა, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო არასტაბილური სეზონი ჰქონდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კაკას** ადიდებს:

"ის, რაც მან ამ სეზონში გააკეთა, საკმარისი კი არა, გაცილებით მეტიცაა, ვიდრე "ოქროს ბურთი" ფასობს. "მილანის" ტრიუმფში კაკას წვლილი განუზომლად დიდია... უცნაური სეზონი გვქონდა, მაგრამ ჩვენ ვაჩვენეთ ხასიათის სიმტკიცე, გავედით ჩემპიონთა ლიგის ფინალში და გავიმარჯვეთ. უზომოდ ბედნიერები ვართ".

შემდეგ, კახას **პაოლო მალდინიზე** ჰკითხეს - რა აზრის ხართ იმაზე, რომ პაოლომ კარიერა გაგრძელოსო: *"მალდინიმ კიდევ ითამაშოს? ჩემთვის ეს პრობლემაა, რადგან ის საუკეთესოა! ამაზე კლუბის ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკო, რადგან არ მინდა, მომავალი სეზონიც სკამზე გავატარო. ეს უსამართლობაა!"* - მოსწრებულად იხუმრა "კალამ". იხუმრა კი? მაგრამ ის და მალდინი ხომ მეგობრები არიან...

რაფაელ ბენიტესი:
დრო, ბევრი ფული დავხარჯოთ

მატჩის შემდეგ **რაფა ბენიტესმა** ფორტუნას შესჩივლა - ზურგი გვაქციაო. ის დიდი მწვრთნელია, მაგრამ უბედობაზე აპელირება ნებისმიერი რანგის სპეციალისტისთვის ჩვეულებრივი ხერხია.

"პირველ ტაიმში მართლაც კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გოლი ძალიან ცუდ დროს გავუშვით. რაღაც მომენტებში ჩვენ ცოტა უკანმოუხედავად ვუტევდით, ვათავისუფლებდით სივრცეებს... "მილანს" კი საკმარისი ძალა აქვს საიმისოდ, რათა ამგვარი ლაფსუსები სათავისოდ გამოიყენოს. ასეც მოხდა. ჩვენ ვცდილობდით ბურთის დიდხანს შენარჩუნებას, მაგრამ გამარჯვებისთვის შანსების გამოყენებაა საჭირო. ჩვენ დავმარცხდით გუნდთან, რომელსაც უმაღლესი კლასის მოთამაშეები ჰყავს".

"უმაღლესი კლასი" ბენიტესს ტყუილად არ უხსენებია. უკვე BBC-სთან საუბარში, ცხელ გულზე, მან აღიარა, რომ "ლივერპულის" რეორგანიზაცია უნდა დაიწყოს. გუნდს ახალი სისხლი სჭირდებაო. *"გონსალესს ხელშეკრულება თითქმის დაუმთავრდა. მას ვუთხარი, რომ შეუძლია, სხვა კლუბებთან დაიწყოს მოლაპარაკება. ჩვენ სწრაფად უნდა გავაფორმოთ უმთავრესი ხელშეკრულებები და დიდი თანხა დავხარჯოთ, ოღონდ მიზნობრივად!"* - აღნიშნა ბენიტესმა, რომელსაც სურს, რომ მის გუნდსა და "მანჩესტერ"-"ჩელსის" შორის არსებული უფსკრული ამოავსოს. მიუხედავად ფინალში დამარცხებისა, კლუბის მეპატრონეებს, **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიქსს**, ესპანელი სპეციალისტისადმი ნდობა არ დაუკარგავთ.

"ჩვენმა ქომაგებმა იციან, რა უნდა ვაკეთოთ და ცხადია, ეს მეც ვიცი, - განაგრძობს ბენიტესი, - როცა ხედავ, როგორ ხარჯავს 20 მილიონ გირვანქას "მანჩესტერ იუნაიტედი" ნახევარმცველის შესაძენად, შენ კი მხოლოდ 8-9 მილიონს მხოლოდ ფორვარდებისთვის იმეტებ, უნდა იცოდე, რა მოჰყვება ამას. კლუბის ახალმა მეპატრონეებმა გეგმების განხორციელებაში მხარდაჭერა აღმითქვეს. მოცდა კი იმას ნიშნავს, რომ სასურველ შედეგს დიდხანს ვერ მივაღწევთ. ჩვენ კლუბის სტრუქტურაც უნდა შევცვალოთ".

"ლივერპულმა" პრემიერლიგა მესამე ადგილზე დაასრულა. ამაზე ბენიტესი ამბობს: *"ჩვენ სათანადოდ უნდა შევაფასოთ ყოველი ნაბიჯი. "იუნაიტედს" 21-ით, ხოლო "ჩელსის" 15 ქულით ჩამოვრჩით. ისინი კვლავ დიდ თანხას დახარჯავენ. ჩვენ კი, თუ დროზე არ ვიმოქმედეთ, ხელსაყრელ მომენტს ხელიდან გავუშვებთ. თუ ძველი გზით წავალთ, სეზონის ბოლოს კვლავ მესამე-მეოთხე ადგილისთვის ვიბრძოლებთ. ეს არ უნდა დავუშვათ. ორი წლით ადრე 82 ქულა გვქონდა. ეს კლუბის რეკორდია, მაგრამ ლიდერთა დუეტს მაინც ჩამოვრჩით. თუ მდგომარეობას არ გამოვასწორებთ, ყოველთვის დაბალი ადგილებისთვის ვიბრძოლებთ. სახეზეა ფაქტი, რომ არ გვყავს მოთამაშეების ის რაოდენობა, და ამავე დროს, არ გვაქვს ის ხარისხი, რაც ცხრა თვის განმავლობაში ოთხ სხვადასხვა ტურნირში საასპარეზოდაა საჭირო".*

ბრიტანულ პრესაში...
იან მიოლბი,
ლივერპულის ყოფილი ნახევარმცველი

დანიელი იან მიოლბი მერსისაიდელთა მარცხმა ძლიერ დაამწუხრა. მისი აზრით, "ლივერპულმა" "მილანთან" იმიტომ წააგო, რომ შეხვედრის მსვლელობისას მიღებული უპირატესობა სრულად ვერ გამოიყენა.

- ხავიერ მასკერანო რომ არ გამოეცვალათ, სწორედ ის გახდებოდა "ლივერპულის" პირველი ფეხბურთელი, რომელიც კაკას წნეხის ქვეშ მოაქცევდა. შეცვლამდე, ის თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა...

- როცა დომინირებ ისე, როგორც ამას "ლივერპული" პირველ ტაიმში ახერხებდა, შედეგიც სახეზე უნდა იყოს, მაგრამ მიზნის მისაღწევად, ბენიტესის გუნდს შეტევაში ხარისხი აკლდა. რაფამ სწორედ ამ მხრივ წაიბორძიკა "ენფილდზე" სამწლიანი მუშაობის პერიოდში...

- "მილანს" გაუმართლა, გაუმართლა ორივე გოლის დროს. "ლივერპული" კი გამოცოცხლდა, მაგრამ გოლმა ძალიან დააგვიანა. მატჩის მიწურულს "მილანი" თავისუფლად მოქმედებდა. დრო იტალიელებზე მუშაობდა. ბოლოს, მსურს მივულოცო "მილანს" და ვთქვა: ბრავო!

გრეგ ტეილორი,
ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი

- "წითლებში" გამოწყობილი გუნდი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იბრძოდა, მაგრამ... შანსი ვერ გამოიყენა, "მილანის" ტერიტორიის შუაში შეღწევა ვერ მოახერხა. თუმცა გოლი გავიდა, მაგრამ ძალზე გვიან...

- ფეხბურთელებს შეეძლოთ უფრო მეტის გაკეთება, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბენიტესის ადგილას რომ ვყოფილიყავი, კრაუჩს უფრო ადრე გამოვიყვანდი მოედანზე და არა 78-ე წუთზე...

- ბენიტესმა სწორი შეცვლები გააკეთა, მაგრამ ეს 10 წუთით ადრე უნდა ექნა. თანაც, ჯერარდის ნახევარდაცვაში დანევა იყო საჭირო. ალბათ, ეს იყო შეცდომა. თუმცა ეს შეცდომა მარცხისთვის საკმარისი გამოდგა...

დავით ჩუბინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟოზე მოურინიო

ჩელსი. ტრანსფერები

მოურინიო ტერისა და ლემპარდის იმედად

შევჩენკოს მილანში ურჩევნია, კუდიჩინიმ ლაციოში გადასვლა გამორიცხა

ჟოზე მოურინიო დარწმუნებულია, რომ **ჯონ ტერი** და **ფრენკ ლემპარდი** გაისადაც "ჩელსიში" ითამაშებენ. ინგლისის ნაკრების ვარსკვლავები კონტრაქტების გაფორმებას არ ჩქარობენ. მათ პირობები არ აკმაყოფილებთ. მოურინიო კი ამბობს – როცა ფეხბურთელებს კლუბი უყვართ, ხოლო კლუბს ფეხბურთელები, შეთანხმება აუცილებლად მოხერხდებაო: *"ისინი "ჩელსისთვის" ძალიან მნიშვნელოვანნი არიან. თანაც არა მგონია, ჩვენზე უკეთეს კლუბში მოეწყონ. დიდი კლუბი ბევრია და მათი ღირსების დაკნინება არ მსურს, მაგრამ შეუძლებელია, სხვაგან ისევე კომფორტულად იგრძნონ თავი, როგორც "ჩელსიში". კონტრაქტებთან დაკავშირებული უთანხმოება ჩუმად უნდა მოგვარდეს."*

მოურინიომ თქვა, რომ მოშავალი სეზონისათვის მზადება უკვე დაიწყო. ის და ასისტენტები სამწვრთნელო მეთოდების დახვეწაზე მუშაობენ. **პიტერ კენიონთან** კი საზაფხულო ტრანსფერები განიხილება. რატომაა ჯერ კიდევ ლონდონში და რატომ არ წასულა შვებულებაში? ჟოზე პასუხობს, რომ მისი შვილები სკოლიდან ჯერ არ დაუთხოვიათ, დასვენებას კი მხოლოდ ოჯახთან ერთად აპირებს.

ტერისა და ლემპარდზე საუბრისას მოურინიოს ერთხელაც არ უხსენებია **ანდრეი შევჩენკო**. მისი საკითხიც ხომ ჰაერშია გამოკიდებული. ბრუნდება თუ არა უკრაინელი მილანში? ჟოზეს ფორვარდის აბარგების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. გუშინდელ "ინდეპენდენტში" შევას მეუღლის, **კრისტენ პაზიკის** კომენტარი გამოქვეყნდა. ქალბატონი პაზიკი ამბობს, რომ ანდრეი იტალიაში უკეთ გრძნობდა თავს. ერთი წლის წინათ, როცა შევჩენკო "ჩელსისთან" კონტრაქტის გასაფორმებლად ემზადებოდა, თქვეს, ლონდონში წასვლა ცოლს უფრო სურდაო. როგორც ჩანს, კრისტენმა აზრი შეიცვალა: *"იტალიაში ისე ვგრძნობთ თავს, როგორც სახლში. ანდრეი რონალდოს მშვენივრად გაუგებდა. ჩემი მეუღლე ჩემი მეორე ნახევარია. მინდა, რომ ის ბედნიერი იყოს. მან იქ უნდა ითამაშოს, სადაც ურჩევნია. ჩემს ქვეყანაში (პაზიკი ამერიკელია) ასე ამბობენ: სახლი იქ არის, სადაც გულია. ჩვენი სახლი იტალიაში უფროა, ვიდრე ლონდონში."*

გუშინწინ შევა ათენში იმყოფებოდა და ჩემპიონთა ლიგის ფინალს ადევნებდა თვალს. თამაშის წინ მან ინგლისელ მიმომხილველებს განუცხადა: *"თუ გავიმარჯვებთ, ეს ჩემი რევანშიც იქნება ორი წლისწინანდელი დამარცხების გამო, რომელიც დღემდე ვერ ამიხსნია. "მილანს" ჩემი მეგობრების, კლუბის თანამშრომლების, პრეზიდენტისა და საკუთარი თავის გამო ვქომაგობ."*

"ჩელსიზე" საუბარს რამდენიმე სატრანსფერო ამბით დავასრულებთ. ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, **ხალიდ ბულარუზი** "ეინდჰოვენში" მიდის. ორიოდე დღის წინ გაუწყეთ, რომ ის 7 მილიონ გირვანქად იყიდება. "ეინდჰოვენიდან" ლონდონში წავა ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **ალექსი**. თუმცა ეს არ იქნება ერთადერთი ცვლილება "არისტოკრატების" უკანა ხაზში. მოურინიო კიდევ ორი მცველის, კამერუნელი **ჯერემისა** და პორტუგალიელი **პაულუ ფერეირას** გაყიდვას აპირებს. მათი მომავალი კლუბების სახელები უცნობია. ამასობაში, **კარლო კუდიჩინი** კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას "ლაციოში" მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. რომაელები ვეტერან **ანჯელო პერუცის** ემშვიდობებიან. პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** კი მის იდეალურ შემცვლელად "ჩელსის" სათადარიგო მეკარე მიიჩნია. მართალია, კუდიჩინის სათამაშო პრაქტიკა შეზღუდულია, მაგრამ მას მაინც ლონდონში დარჩენა ურჩევნია.

იუვენტუსი. ტრანსფერები

ბუფონი ივნისში გადაწყვეტს

ტრეზეგე რომაელებს შესთავაზესო...

ბუმსონგი, ბუფონი და ზებინა

სამხაბათს "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა **ჯიჯი ბუფონსა** და მის აგენტს შეხვდა. მხარეებმა მომავალ თანამშრომლობაზე იმსჯელეს. უცნობია, დარჩება თუ არა მეკარე ტურინში. ის გადაწყვეტილებას ივნისის ბოლოს მიიღებს. იქამდე კი დაინტერესებული კლუბების წინადადებებს გაეცნობა. ბუფონის აგენტი **სილვანო მარტინა** ამბობს, რომ გადამწყვეტი მოლაპარაკებები ჯერ კიდევ წინაა: *"2 და 6 ივნისს ჯიჯის იტალიის ნაკრებში ორი მნიშვნელოვანი მატჩი აქვს (ფარერებსა და ლიტვასთან). "იუვენტუსთან" ურთიერთობის გასარკვევად მხოლოდ ამის შემდეგ მოვიცლით. ჩემი აზრით, უაზრობა იქნება, თუ საქმის მოგვარებას კიდევ გადავდებთ. ასე რომ, ივნისის მეორე ნახევარში ყველაფერს უნდა მოეფინოს ნათელი."* "ქალბატონის" თვლის, რომ ბუფონის დაყოლიება არ გაუჭირდება. აგენტი ასეთი დარწმუნებული არ არის. ის ასახელებს ორ ინკოგნიტო კლუბს, რომელთაც ძალიან სერიოზული წინადადებები აქვთ გამზადებული. *"ერთი იტალიური, ერთიც უცხოური,"* – ამბობს მარტინა, როცა მიმომხილველები კლუბების გამხელას სთხოვენ.

ერთი თვის წინ "იუვემ" თქვა, რომ ბუფონს მხოლოდ 36 მილიონ გირვანქად გაუშვებს. ფეხბურთელის აგენტს ეს თანხა არარეალურად ეჩვენება: *"დაინტერესებულ კლუბებს არ უთქვამთ, რამდენის გადახდას აპირებენ. ვეჭვობ, რომელიმეს ერთ მოთამაშეში დასახარჯი 36 მილიონი გააჩნდეს. ამ თანხას ხომ რონალდინიოშიც კი არ გადაიხდიან. ვნახოთ, რას გვიკარნახებს ბაზარი. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თანხის ნაწილი რომელიმე ფეხბურთელით დაიფაროს."* იტალიელი ჟურნალისტების აზრით, სილვანო მარტინას მიერ ნახსენები იტალიური კლუბი ან "მილანია", ან "ინტერი".

ამასობაში, "იუვემ" "რომას" **დავიდ ტრეზეგე** შესთავაზა. "ტუტოსპორტის" ცნობით, ორი კლუბის მოხელეები ერთმანეთს სამშაბათს შეხვდნენ. ტურინელებს **ალესიო სეკო** და **რობერტო ბეტეგა** წარმოადგენდნენ. რომაელებს – სპორტული დირექტორი **დანიელე პრადე**. ხსენებული გამოცემა იმასაც წერს, რომ "ჯალოროსი" საზაფხულო გეგმების გამხელას არ ჩქარობს, რადგან ყველაფერი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. ტრეზეგე ურიგო ვარიანტი არ არის, მაგრამ დედაქალაქელებს მისი ხელფასი აფიქრებთ. საეჭვოა, "რომამ" ამხელა ფულის გადახდა მოახერხოს. გაურკვეველია ისიც, სჭირდება თუ არა "ჯალოროსის" ივჯარით გაშვებულ ფეხბურთელები - **ვინჩენცო მონტელა, სემი კუფური** და **შაბანი ნონდა**.

დაბრუნდეთ ტურინში. "იუვე" ბარსელონელი **რაფაელ მარკესით** დაინტერესდა. კატალონიელებმა მექსიკელი მცველის გაყიდვა ორიოდე დღის წინ გადაწყვიტეს. და აი, გამოხმაურებამ არ დააყოვნა. "ქალბატონის" მთავარი მწვრთნელი **დიდიე დეშამი** მარკესს "მონაკოდან" იცნობს. რაფას სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მას ევროპული პასპორტი აქვს. "ბარსა" კომპენსაციის სახით, 7 მილიონ გირვანქას მოითხოვს. "იუვეს" ხელმძღვანელობა უარყოფს სპეკულაციებს ლიონელი **ფლორან მალუდათი** დაინტერესების შესახებ. სპორტულმა დირექტორმა სეკომ თქვა, რომ მალუდა ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ "ქალბატონს" გარემარბზე მეტად, ცენტრალური ნახევარმცველი სჭირდება.

ტურინელებს "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი **გაბრიელ ჰაინცე** სურთ. 29 წლის არგენტინელი 4 მილიონი გირვანქა ღირს. როგორც ირკვევა, "იუვენტუსს" "ვილიარეალთან" მოუწევს გაჯიბრება. ჰაინცეს ესპანელებიც ეპატიჟებიან, ძირითადში თამაშის გარანტიას აძლევენ და შთამბეჭდავი არგენტინული კონტინგენტით აწონებენ თავს. "ვილიარეალის" არგენტინულ დიასპორას კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატება: უკვე გადაწყვეტილია ვალენსიელი ცენტრალური მცველის, **რობერტო აიალას** ტრანსფერი. და კიდევ, **იგორ ტუდორს** ტურინური კონტრაქტი უმთავრდება და ახალ სამსახურს ეძებს. მას ინგლისში ინვევენ. რიგში დგანან "ბოლტონი", "მიდლსბრო" და "ვესტ ბრომვიჩი".

სამი ხედირა და ჩემპიონების კაპიტანი მეირა

შტუტგარტი

სვირინგები და საყურეები იკრძალება

შვაბთა 20 წლის გმირი სამი ხედირა, ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს...

გერმანიის ახალგამომცხვარ ჩემპიონ "შტუტგარტს" ბუნდესლიგაში ყველაზე ახალგაზრდა გუნდი ჰყავს. ისე, ეს პირველი სეზონი არაა, როცა შვაბები მთელი გერმანიის მასშტაბით ყველაზე ახალგაზრდული გუნდით ამაყობენ. აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც VFB პატარების გუნდია. ასე იყო **მათიას ზამერის** მწვრთნელობის დროსაც - შტუტგარტელები მაშინ ყველაზე ახლოს იყვნენ ჩემპიონობასთან. თუმცა დღეს შვაბებს გაცილებით უცნობი და ახალგაზრდა მოთამაშეები ჰყავთ.

რატომ გახდა მაინცდამაინც ყველაზე ახალგაზრდა გუნდი ჩემპიონი? დღეს მთელი გერმანია ამ საკითხზე ბჭობს. და ბანალური ახსნა, რომ ახალგაზრდები უფრო გამძლეები არიან და ფიზიკურ დატვირთვებს იოლად იტანენ, ამ შემთხვევაში უსარგებლოა. ნიშანდობლივია ისიც, რომ აქტუალური შემადგენლობიდან 6 ფეხბურთელი VFB-ს აღზრდილია. ესენი არიან **ტიმო ჰილდებრანდი, მარიო გომესი, სერდარ ტასკი, ანდრეას ბეკი, კრისტიან გენტნერი** და **სამი ხედირა**. პირველ გუნდში ექვსივე მთგანი ბავშვთა გუნდებიდან გადავიდა. ამ შემთხვევაში ყურადღება 20 წლის ხედირაზე უნდა გავამახვილოთ, ფეხბურთელზე, რომელმაც ბოლო ტურში, "კოტბუსთან" გამარჯვების გოლი გაიტანა. "ბილდის" კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში ხედირა შეეცადა, სენსაციური წარმატების მიზეზებზე უსაბრა.

პირველი, რაზეც წარმოშობით ტუნისელი, მაგრამ გერმანიაში დაბადებულ-გაზრდილი ფეხბურთელი ყურადღებას ამახვილებს, "შტუტგარტის" ბავშვთა გუნდებში დამკვიდრებული მკაცრი კანონები და დისციპლინაა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ გერმანიის ბავშვთა ნაკრებ გუნდებში 40 (!) შტუტგარტელი ბავშვი თამაშობს. ეს კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ შვაბენლანდის მთავარქალაქის საფეხბურთო სკოლა გერმანიაში საუკეთესოდ უნდა ჩავთვალოთ.

"დავიწყოთ იმით, რომ ბავშვებს და თინეიჯერებს, რომლებიც "შტუტგარტის" სხვადასხვა ასაკობრივ გუნდში თამაშობენ, აკრძალული აქვთ სვირინგების-გაკეთება და საყურეების ტარება. სხვათა შორის, თმების გაზრდაც აკრძალული იყო, მაგრამ ბოლოს ეს კანონი გაუქმდა", - აცხადებს ხედირა და იქვე ამატებს, - *"ვინც ამ წესებს დაარღვევს, რაც არ უნდა კარგი და პერსპექტიული ფეხბურთელი იყოს, მომდევნო ასაკის ჯგუფში არაფრისდიდებით არ გადაიყვანენ. ან საყურესა და სვირინგებზე უნდა თქვას უარი, ან სხვაგან უნდა წავიდეს, ანაც საფეხბურთო კარიერას საერთოდ უნდა დაემშვიდობოს."*

ასეთი კანონები არცერთ სხვა გერმანულ კლუბში არ არსებობს. საინტერესოა, რა ახსნას უძებნის თვითონ ფეხბურთელი ამ ყველაფერს: *"გუნდის ხელმძღვანელებს ამ კანონებით იმის მიღწევა სურთ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი მხოლოდ ფეხბურთზე უნდა ფიქრობდეს და ცაში არ უნდა დაფრინავდეს. ბოსებს არ უნდათ, რომ 17-18 წლის ფეხბურთელმა უკვე ვარსკვლავად იგრძნოს თავი, დისკოთეკებზე სიარული დაიწყოს და ფანებს თავი აღარ გაუყადროს. და მე ვფიქრობ, რომ ეს სწორია. ჩემი გენერაციის ფეხბურთელები ასეა არიან გაზრდილები და მიმაჩნია, რომ ამიტომაც გავხდით ჩემპიონები. ეს ყველაფერი მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეხებათ, თორემ, მაგალითად, კაპიტან ფერნანდო მეირას საყურის გაკეთებას ველარავინ აუკრძალავს. მთავარია, მოთამაშეს ბავშვობიდანვე თავში არ აუვარდეს ის, რომ სახელოვანი გუნდის ღირსებას იცავს."*

ხედირა "შტუტგარტში" 12 წლიდან ირიცხება და მას მერე, B და A ფორმაციის იუნიორებს შორის ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი. *"ჩვენ ყოველთვის გვეუბნებოდნენ, ბევრს ნუ ილაპარაკებთ, მოედანზე გვიჩვენეთ, რაც შეგიძლიათო."* - ამბობს სამი და სიხარულით ამატებს, ეს კანონები არასდროს დამირღვევიაო. დამამტკიცებელი საბუთი კი ის გახლავთ, რომ ხედირა ჯერაც მშობლებთან ერთად ცხოვრობს და მაგალითად, მისი ხელფასი პირდაპირ დედის ანგარიშზე ირიცხება. ერთი წლის წინათ, როცა ყველასათვის უცნობი ფეხბურთელი იყო, შტუტგარტის მთავარ მოედან შლოსპლატცზე, სადაც წელს უკვე გერმანიის ჩემპიონის რანგში წარდგა, სხვა შტუტგარტელ ფანებთან ერთად იდგა და დიდ ეკრანზე მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრებს უყურებდა.

მამამისი 20 წლის იყო, როცა ტუნისიდან გერმანიაში ჩავიდა. არც განათლება ჰქონდა და არც სახსრები, ოთახიც ძლივს დაიქირავა. *"მაგრამ მამაჩემი წესიერი კაცია. ყველაფერს შრომით მიაღწია. ჩამოვიდა უკეთეს ქვეყანაში, სადაც შრომა უფრო ფასდება. იშრომა და შესაბამისად, დაუფასდა კიდეც. მე კი, ერთი ოცნება მაქვს: მინდა, რომ მშობლებს ერთხელაც დიდი სახლი ვუყიდო!"* - აი, ასეთია სამი ხედირა, "შტუტგარტის" 20 წლის ნახევარმცველი, შვაბთა ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი, გაწონასწორებული, კარგად აღზრდილი და რაც მთავარია, უკვე წარმატებული ფეხბურთელი, რომელსაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ბუნდესგუნდის გაფართოებულ სიაში მოიაზრებს.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. ტრანსფერები

გამგელდება პანდიანი?

ვოლფსბურგი ესპანიოლს მოურიგდა. ჰანკე ჰანოვერში გადავიდა, კლიმოვიჩი დორტმუნდში...

ვალტერ ხერარდო პანდიანი

ის, რასაც ჩვენი გერმანელი კოლეგები დიდი ხნის განმავლობაში ვარაუდობდნენ, ახლა უკვე გადაწყვეტილი და ოფიციალურად დადასტურებულია: "ვოლფსბურგის" არგენტინელი თავდამსხმელი **დიეგო კლიმოვიჩი** კარიერას დორტმუნდის "ბორუსიაში" გააგრძელებს. ეს ინფორმაცია ვესტფალიური კლუბის ხელმძღვანელებმა გუშინ დაადასტურეს. კლიმოვიჩი BVB-სთან ორწლიან კონტრაქტს აფორმებს. შავ-ყვითლებს ეს ტრანსფერი 1.5 მილიონი ევრო უჯდებათ. დორტმუნდელებმა კლიმოვიჩის გადაბირება იმის გამო მოისურვეს, რომ თავდამსხმელი **ალექს ფრაი** საოპერაციოა და შემოდგომამდე ვერ ითამაშებს.

"უბედნიერესი ადამიანი ვარ. 80 ათასი მაყურებლის წინაშე თამაში ჩემთვის უდიდესი პატივია," - აცხადებს 32 წლის კლიმოვიჩი, რომელმაც ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში თქვა, რომ "ვოლფსბურგის" დატოვება და "ბორუსიაში" გადასვლა სურდა. არგენტინელი ცენტრფორვარდი ბუნდესლიგაში 2002 წლიდან ასპარეზობს და ამ ხნის განმავლობაში , 149 თამაშში 57 გოლის გატანა მოახერხა.

კლიმოვიჩი დორტმუნდელთა რიგით მე-5 ახალწვეულია. მანამდე ვესტფალიელებმა საგაისოდ კონტრაქტები გაუფორმეს **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკის** (ნახევარმცველი, "ვისლა", 2.9 მილიონი), **ჯოვანი ფედერიკოს** (თავდამსხმელი, "კარლსრუე", უფასოდ), **მარკ ციგლერსა** (მეკარე, "არმინია", 250 ათასი) და **დანიელ გორდონს** (ნახევარმცველი, მოყვარულებიდან). გარდა ამისა, "დორტმუნდში" ბრუნდება **დელრონ ბაკლი**, რომელიც "ბაზელში" იყო განათხოვრებული. "ბორუსიის" მომდევნო სამიზნე პსჟ-ს მცველი **დავიდ როზენალია**.

■ ■ ■

"ვოლფსბურგს" ყოველთვის კარგი ფეხბურთელები ჰყავს, ნორმალური მწვრთნელი, აქვს ფული ("ფოლკსვაგენის" გუნდია) და შესაბამისად, ამბიციებიც, მაგრამ "მგლები" წარმატებებს ვერ აღწევენ. შარშან და წლეულს ამ გუნდმა ბუნდესლიგაში დარჩენისთვის იბრძოლა და ორივე სეზონში მე-15 ადგილი დაიკავა - ანუ, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას ძლივსძლიობით გადაურჩა. არადა, "ვოლფსბურგის" ხელმძღვანელები მიზნად ხუთეულში მოხვედრასა და უეფას თასის საგზურის მოპოვებას ისახავენ ხოლმე. დასრულდა სეზონი და "ვოლფსბურგში" ისევ დიდი ამბებია - გაუშვეს მთავარი მწვრთნელი **კლაუს აუგენტალერი**, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა. ბოსებს ახლა გაცილებით მაღალკვალიფიციური და წარმატებული მწვრთნელის პოვნა სურთ. მაგრამ სანამ სპეციალისტს იპოვიან, სატრანსფერო საქმეებით არიან დაკავებული.

კლიმოვიჩის ტრანსფერი ახალი გაჩარხული გახლდათ, რომ "მგლების" დატოვება კიდევ ერთმა თავდამსხმელმა გადაწყვიტა - საუბარია გერმანიის ნაკრების ფორვარდ **მაიკ ჰანკეზე**, რომელმაც გუშინ "ჰანოვერთან" გააფორმა კონტრაქტი. 23 წლის თავდამსხმელი, რომელიც "ვოლფსბურგში" 2005 წელს "შალკედან" გადავიდა (3.5 მილიონი), "ჰანოვერს" 4.5 მილიონი დაუჯდა. მოკლედ, ჰანკესა და კლიმოვიჩის სანაცვლოდ "ვოლფებმა" სულ 5.5 მილიონი მიიღეს. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ "მგლები" ახლა ფაქტობრივად, ნორმალური ფორვარდის გარეშე დარჩნენ. თავად განსაჯეთ, "ვოლფსბურგში" ახლა მხოლოდ ერთი, მეტ-ნაკლებად ხეირიანი ფორვარდი, **ისაკ ბოაკი** ირიცხება. შესაბამისად, "ვოლფები" სატრანსფერო ბაზარზე, პირველ რიგში, თავდამსხმელს ეძებენ.

"დროა, საქმეს შევუდგეთ. ჩვენი მიზანია, რომ გუნდში მაღალი დონის, სწრაფი ფორვარდები მოვიყვანოთ," - აცხადებს მენეჯერი **კლაუს ფუხსი**. ჰანკე და კლიმოვიჩი ზანტები იყვნენ. ცნობილია, რომ ვოლფსბურგელები "კოტბუსის" რუმინულ დუეტს, **ვლად მუნტეანუსა** (26 წლის) და **სერგიუ რადუს** (29 წლის) უმიზნებენ. პირველმა მათგანმა ამ სეზონში 11 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი გააკეთა, უკანასკნელის ანგარიშზე კი 14 გოლი და 6 პასია. ანუ, საერთო ჯამში, ეს დუეტი "კოტბუსს" 25 გოლით შეეწია. ამასთან, ცნობილია, რომ რადუსა და მუნტეანუს ერთად სურთ თამაში. "კოტბუსთან" ორივე ფეხბურთელს კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს. საინტერესო ისაა, რომ მუნტეანუ 1.5 მილიონი ღირს, რადუ კი 3 მილიონი. ანუ, "ვოლფები" ამ ორ თავდამსხმელს იმ თანხით იყიდიან, რაც ჰანკეს სანაცვლოდ მიიღეს და ყოველმხრივ მოგებულებიც დარჩებიან.

ამასთან, "კიკერის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ვოლფსბურგი" უკვე შეუთანხმდა "ესპანიოლს" **ვალტერ ხერარდო პანდიანის** შესახებ, რომელიც უეფას თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 31 წლის ურუგვაელი "მგლებისთვის" მისწრებაა. "ვოლფები" მზად არიან, "ესპანიოლს" 2 მილიონი გადაუხადონ და რაც მთავარია, კატალონიური კლუბიც თანახმაა. ერთი ეგაა, რომ "მგლებსა" და ფეხბურთელს შორის შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ "ვოლფსბურგს" პანდიანის დათანხმება არ გაუჭირდება.

რაც შეეხება მწვრთნელის საკითხს. გავრცელდა ინფორმაციები, რომ "მგლები" **ფრედი ბობიჩთან, კრასიმირ ბალაკოვთან, გვიდო ბუხვალდთან, ერიკ გერეტსთან, იურგენ კოლერთან** და **ბერტ ვან მარვიკთან** აწარმოებენ მოლაპარაკებებს. თუმცა არცერთ სპეციალისტს ეს არ დაუდასტურებია. საუბარია აგრეთვე ნორვეგიელ **ტრონდ სოლიედზეც**.

გოტფრიდ ლენცი

ატლეტიკო

ვენგერმა ტორესი მოიკითხა

ელ ნინიო კი დეპრესიაშია და კაპიტნობაზე უარს ამბობს

ფერნანდო ტორესი

არსენ ვენგერმა "ატლეტიკოს" გარიგება შესთავაზა. ის მზადაა, **ფერნანდო ტორესის** სანაცვლოდ რამდენიმე მილიონი ევრო გადაიხადოს და ორი ფეხბურთელი, **ალექსანდრ გლები** და **ფრედი ლიუნგბერგიც** მადრიდელებს გადაულოცოს. "ატლეტიკოს" ხელმძღვანელებმა, **მიგელ ანხელ ხილმა** და **ხესუს გარსია პიტარკმა** შეთავაზება უარყვეს, მაგრამ საბოლოო უარი არ უთქვამთ. ისინი მზად არიან, მოლაპარაკებები განაახლონ, თუ ლონდონელები **ემანუელ ადებაიორსა** და **ტომაშ როსიცკის** დაუთმობენ.

გასულ კვირას, "ბარსელონასთან" დიდი ანგარიშით წაგება (0:6) ტორესმა იმდენად განიცადა, რომ დეპრესიაში ჩავარდა. გუშინ "ატლეტიკოს" ვარსკვლავმა სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა. აი, რა განაცხადა მან: *"ვისენტე კალდერონზე" განცდილი ფიასკო ჩემი კარიერის ყველაზე მტკივნეული ეპიზოდია. ასეთი საშინელი დღე არასოდეს მქონია. საკმაო დრო გავიდა, მაგრამ წყეულ თამაშს ვერ ვივიწყებ. შესაძლოა, ვინმეს მაზოხისტი ვეგონო, მაგრამ მატჩის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე. ვერანაირი დასკვნა ვერ გამოვიტანე. ახლაც ვერ ვხვდები, რა დაგვემართა, რატომ შევირცხვინეთ თავი. ამ კატასტროფამ დეპრესიამდე მიმიყვანა. ჭამის ხალისიც არ მაქვს. ვვარჯიშობ, რადგან ვიცი რომ უნდა ვივარჯიშო."*

მას შემდეგ, რაც ტორესმა ჟურნალისტებისგან გამამხნევებელი სიტყვები მოისმინა, მან კვლავ ყურადღება ითხოვა და ძალიან მნიშვნელოვანი რამ განაცხადა: *"არ შემიძლია, 19 წლის ასაკში "ატლეტიკოს" კაპიტანი ვიყო. იმისთვის, რომ სამკლაური მოირგო, 25-26 წლის მაინც უნდა იყო. ეს სიგიჟეა! მოუთმენლობის სენით ვართ დაავადებულები. როცა "როხიბლანკოს" ძირითად შემადგენლობაში პირველად მოვხვდი, გუნდში აბსოლუტურად სხვა ხალხი თამაშობდა. ჩემს გარდა, იმ შემადგენლობიდან ერთი კაციც არ შემორჩა. მსგავსი რამ არც ერთ გრანდში არ მოხდება. რა ვქნა, არ ვარ რაული, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა ადრეულ ასაკში ვიტვირთო. სხვათა შორის, 19 წლის ასაკში გონსალეს ბლანკოსაც არ ეკეთა სამკლაური. სეზონის დასრულების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობას თხოვნით მივმართავ, კაპიტნობიდან გამათავისუფლონ."*

მიროსლავ კლოზე

კლოზეს აშკარად მიუნხენში უნდა

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მირო კარიერას ბაიერნში გააგრძელებს...

ვერდერი

დღე ისე არ გავა, რომ გერმანულ პრესაში **მიროსლავ კლოზეს** შესახებ რაიმე სიახლე არ დაიწეროს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ მიროს შესახებ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია კიდევ უფრო ნათელს ხდის იმ მოსაზრებას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი "ვერდერს" ახლავე დატოვებს და "ბაიერნში" გადაბარგდება. აი, კლოზეს განცხადება, რომელიც გუშინ "კიკერმა" გამოაქვეყნა: *"ვერდერის" ხელმძღვანელებმა მითხრეს, რომ არსად გამიშვებენ. ჰოდა, მითხარით, სხვა რა გზა მაქვს?"* იოლი მისახვედრია, რომ 28 წლის ფორვარდს ბრემენში დარჩენა არ უნდა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მიუნხენში გაუშვან. როგორც ჩანს, "ბაიერნის" ხელმძღვანელებთან შეხვედრამ თავისი ქნა - კლოზეს რეკორდმაისტერში გადასვლისთვის იბრძვის! მოკლედ, სკანდალი მწიფდება და მართალია, ჩვენი გერმანელი კოლეგები პროგნოზების გაკეთებისგან თავს იკავებენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გაგრძელება იქნება!

ამ ყველაფერს თან ისიც დაერთო, რომ "მუსიკოსთა" მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** კლოზეს სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აღარ აძლევს. *"თუკი მირო ისე ითამაშებს, როგორც ამ სეზონის მეორე წრეში და მოლოდინს არ გაამართლებს, ცხადია, რომ სასტარტო შემადგენლობიდან სკამზე გადაინაცვლებს!"* - ამბობს შააფი და ამ განცხადებით სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავს, რადგან შააფის მუქარა კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ კლოზეს "ვერდერში" მომავალი აღარ აქვს.

გერმანიის ნაკრები

ბალაკის NEIN

მიხაელი სან მარინოსა და სლოვაკეთს გამოტოვებს

მიხაელ ბალაკი

მიუხედავად იმისა, რომ **მიხაელ ბალაკის** თამაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მოახლოებულ ორ ტურში თავიდანვე საეჭვო იყო, ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** "ჩელსის" ნახევარმცველი განაცხადში მაინც შეიყვანა. იოგი იმედოვნებდა, რომ სან მარინოსთან თუ არა (ამ თამაშში გერმანელებს ბალაკი არც სჭირდებათ), მიხაელი სლოვაკეთთან შეხვედრაში მაინც შესძლებდა მონაწილეობის მიღებას. მაგრამ გუშინ ბუნდესკაპიტანი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს შეეხმიანა და უთხრა, რომ ვერცერთ შეხვედრაში ვერ ითამაშებს.

"ეს ძალიან სამწუხაროა. მიხაელმა გუნდის ექიმ ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტთან სატელეფონო კონსულტაციები გაიარა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მისი თამაში, თუნდაც მხოლოდ სლოვაკეთთან, დიდი რისკია. ასე რომ, ამ ორ შეხვედრაში ბალაკის გარეშე მოგვიწევს ფონს გასვლა," - განაცხადა ლიოვმა და იქვე დასძინა, რომ მიხაელის ნაცვლად არავის უხმობს.

შტრაიტი კობისთან?

ფრანკფურტის "აინტრახტის" ნახევარმცველმა **ალბერტ შტრაიტმა** განაცხადა, რომ კლუბის გამოცვლა სურს. მეტიც, შტრაიტი, რომელმაც ამ სეზონში 4 გოლი გაიტანა და 11 საგოლე გადაცემა მიითვალა, პირდაპირ ამბობს, რომ კარიერის გაგრძელება გერმანიის ვიცე-ჩემპიონ "შალკეში" სურს. *"გასულ შაბათს "აინტრახტის" რიგებში უკანასკნელი თამაში ჩავატარე. იმედი მაქვს, რომ კლუბის ხელმძღვანელები ხელს არ შემიშლიან და უპრობლემოდ გამიშვებენ,"* - აცხადებს 27 წლის ნახევარმცველი.

რაც მთავარია, მისი გადაბირებით "შალკეც" დაინტერესებულია. აი, რას ამბობს "ხუმარების" მენეჯერი **ანდრეას მიულერი**: *"მას ჩვენთან უნდა და ჩვენც გვინდა, რომ კარიერა "შალკეში" გააგრძელოს, ეს ფაქტია. მოლაპარაკებები დანყებულია და იმედია, ფრანკფურტელები არარეალურ თანხას არ მოითხოვენ."* როგორც ირკვევა, "აინტრახტს" შტრაიტის სანაცვლოდ 4 მილიონი ევროს მიღება სურს. ამ უკანასკნელს ფრანკფურტულ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს. თუ ტრანსფერი შედგება, შტრაიტი **ჯერმეინ ჯოუნსის** შემდეგ, მეორე ფრანკფურტელი იქნება, ვინც ზაფხულში ფრანკფურტიდან გელზენკირხენში გადავა.

ხუანდემ უკან დაიხია

დიახ, მაქსიმალისტობით ცნობილმა **ხუანდე რამოსმა** უკან დაიხია. "სევილიის" დამრიგებელმა, როგორც ჩანს სერიოზული ფიქრის შემდეგ გააცნობიერა, რომ პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი ფაქტობრივად, არ შერჩა: *"გულწრფელად რომ გითხრათ, წინა ტურში "რეალისა" და "ბარსელონის" გამარჯვებამ საქმე უკიდურესად გაგვირთულა. სეზონის დასრულებამდე მხოლოდ სამი ტურია დარჩენილი. თითქმის წარმოუდგენელია, ჩვენმა კონკურენტებმა წაიფორხილონ. ყოველშემთხვევაში, სამეფო კლუბი და კატალონიური გრანდი ერთდროულად არ წააგებენ. მოდით ვალიაროთ, რომ "სევილიას" პრიმერაში გამარჯვების მიზერული შანსები შერჩა. ეს პრაქტიკულად, გამორიცხულია, მაგრამ გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ ბოლო წამამდე ვიბრძოლებთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები."*

ინტერვიუ როგერტო კარლოსთან

გულშემატკივრებს სიბელესზე დავემშვიდობები

ბრაზილიელი გალაქტიკო დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი პირველობას აღარ დათმობს...

როგერტო კარლოსი სამეფო კლუბის გულშემატკივრების კუმირად იქცა. მას პატივისცემა და სიყვარული აქამდეც არ აკლდა, მაგრამ ბრაზილიელი მცველი ასეთი პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც „რეკრეატივოსთან“ მატჩში ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი შეაგდო. მას შემდეგ სამი დღე გავიდა, მაგრამ კარლოსზე კვლავაც აღფრთოვანებით საუბრობენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ სამხრეთამერიკელი ჟურნალისტების ნადირობის ობიექტი გახდა. გუშინ მადრიდული გიგანტის ვეტერან ვარსკვლავს მთელი დღის განმავლობაში მედიელების მასპინძლობა უწევდა. მას თითქმის ყველა წამყვანმა გაზეთმა ჩამოართვა ინტერვიუ. კოლეგების სტატიების წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტეთ, თქვენს სამსჯავროზე „დიარიო ასის“ მიერ მომზადებული ინტერვიუ გამოვიტანოთ.

რობერტო კარლოსი რეკრეატივოს კარში გატანილ გოლს ზეიმობს

- ზუსტად 11 წელიწადია, რაც სამეფო კლუბის ღირსებას იცავთ. როცა აქ მოხვედით, ახალგაზრდა ფეხბურთელი გერქვათ. ახლა კი ვეტერანი ხართ. მიუხედავად ამისა, არც ძალა დაგიკარგავთ და არც ხალისი. გასულ კვირას კიდევ ერთხელ გაგიმართლათ და „რეკრეატივოს“ კარში უმნიშვნელოვანესი ბურთი შეაგდეთ. როგორ გაიხსენებთ იმ წამებს?

- ხალისი და ძალა მართლაც არ დამიკარგავს (იცინის). ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ 34 წლის მოთამაშე ხალისსა და ძალას ერთდროულად გამოემშვიდობება, მოედანზე მას აღარაფერი დარჩება გასაკეთებელი. მადლობა ღმერთს, საამისო საფრთხე ჯერჯერობით, არ დამმუქრებია. გოლსა და მასთან დაკავშირებულ წამებს რაც შეეხება, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი სერხიო რამოსის მიერ ჩამოწოდებული გადაცემით დაიწყო. ბურთი გახოსა და იგუაინისკენ მიდიოდა. „რეკრეატივოს“ ხუთმა ფეხბურთელმა მათ გარშემო დაიკავა პოზიცია. მივხვდი, რომ ჩემ წინ სივრცე წარმოიქმნა და თამაში უნდა გამემწვავებინა. სწორედ ასე მოვიქეცი. მეტოქეები ტანის მოძრაობით მოვატყუე. გახოს დავუყვირე, სასწრაფოდ პასი მომეცი-მეთქი. არგენტინელმა არ დაახანა. წამში ბურთი მომივიდა, თუმცა მისი დამორჩილება არ იყო იოლი. იქვე მდგომმა გუტიმ იფიქრა, თუ მას პასს არ მივაწვდიდი, შეტევა ჩაიშლებოდა. ხოსე მარიამ დამიძახა, აქ ვარო, მაგრამ გავაცნობიერე, რომ დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ხვდებით, ეს ყველაფერი წამებში მოხდა. იერიში თავად გავაგრძელე და „რეალმა“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ბედნიერი ვიყავი. ახლაც ბედნიერი გახლავართ, მაგრამ იმ წამების ემოცია მაინც განსხვავებული და განსაკუთრებული გახლდათ.**

- გადარჩენილხართ, გოლი რომ ვერ შეგეგდოთ, გუტი ალბათ, ცოცხლად შეგჭამდათ...

- (იცინის) გამორიცხული არაფერია. არადა, ნესვის დამორჩილება უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე გახოს იდიოტური პასის. არ ვიცი, როგორ მოახერხა ასეთი გადაცემის გაკეთება (ხარხარებს). ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... სერიოზულად რომ ვისაუბროთ, „რეალში“ არასოდეს ყოფილა გათიშულობა და კლანური ურთიერთობები. ზოგან ესპანელები, ბრაზილიელები, არგენტინელები და ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები დაქსაქსულები არიან. სამეფო კლუბს მსგავსი პრობლემა არ ანუხებს. ეს დიდი ბედნიერებაა.

- ინტერვიუს დანყებამდე დედათქვენმა მითხრა, კიდევ კარგი, ის დარტყმა გოლით დასრულდა, თორემ ჩემი შვილი სულ მცირე, სამი დღე საჭმელს არ შეჭამდაო. წარუმატებლობებისას თავს ისჯით?

- არა, მაზოხისტი ნუ გგონივართ. უბრალოდ, მადა მეკარგება და სადილობის ხალისი მერთმევა. ასეთი მდგომარეობა, დაახლოებით სამ დღეს გრძელდება. ასე რომ, დედას არ მოუტყუებიხართ (იცინის).

- სამეფო კლუბის წინა მაჩვენებლების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, წელიწადის ნახევარ დროს მშიერი ატარებთ...

- შიმშილით თავს არ ვიკლავ. უბრალოდ, ხასიათი იმდენად მიფუჭდება, ნოყიერ სადილებზე გული აღარ მიმდის. ხოლო იმისთვის, რომ არ გამოვიფიტო და გონება არ დავკარგო, ნამცხვარს, ბანანსა და ცოტა თხილს თუ შევჭამ. ჰო, წვენებსაც დიდი რაოდენობით ვსვამ. მხოლოდ, 100 პროცენტით ნატურალურს. რომ იცოდეთ, დედაჩემი გოიავას რა კარგ წვენს მიკეთებს ხოლმე. უცებ ჩამოწურავს და წამში მოაქვს (იცინის).

- გოლის გატანისას რა გაიფიქრეთ?

- ცოდვა გამოვისყიდე-მეთქი...

- რა ცოდვაზე მელაპარაკებით?

- მოგეხსენებათ, „რეკრეატივომ“ 85-ე წუთზე გაგვითანაბრა ანგარიში. უჩეს გოლში დანაშაული მიმიძღვოდა. ის სწორედ მე უნდა დამეკავებინა, მაგრამ მაღალი გადაცემის ჩაწოდებისას ვიფიქრე, მე მაინც დაბალი ვარ, ვერ მივწვდები და ჯობს, კანავაროსა და სერხიო რამოსს ხელი არ შევუშალო-მეთქი. სამწუხაროდ, ერთმანეთს ვერ გავუგეთ და გაგვიტანეს. სხვათა შორის, წინასწარვე ვიცოდით, რომ მასპინძლები ასეთ ფეხბურთს დაგვიპირისპირებდნენ. ფაბიო კაპელომ „რეკრეატივოს“ მრავალი მატჩის ფრაგმენტების ვიდეოჩანაწერი გვანახა და აგვიხსნა, რომ საჰაერო დუელები უელველების კოზირია. მწვრთნელმა კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს დეტალზე გაგვამახვილებინა ყურადღება. ანდალუსიელები ჰაერში ამხტარ მცველებს მსაჯისგან ფარულად ხელს ჰკრავენ, ან ჩქმეტენ. გაგეცინებათ, მაგრამ უჩეს გოლი სწორედ ასეთ ფანდს მოჰყვა. რა თქმა უნდა, დაცვაში თამაშისას მეტი წინდახედულება და სიფრთხილე მმართებდა. დანაშაული მოედანზევე ვაღიარე. რა თქმა უნდა, ძალიან განვიცადე. საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთი რჩებოდა. ერთი შეხედვით, ორი ქულის დაკარგვა განაღდებული გვქონდა, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა და ცოდვის გამოსყიდვის შანსი მომცა.

- სეზონის დასრულებამდე სულ რაღაც სამი ტური დარჩა. საინტერესოა, რას ელით ამ სამი შეხვედრისგან?

- განა, ეს საკითხავა? ჩემპიონობას და სხვას არაფერს. რა თქმა უნდა, წინ რთული ბრძოლები გველის, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში ისე ვართ დარმუნებულები, როგორც არასოდეს. „რეალი“ სამივე თამაშს მოიგებს. ამაში ეჭვი არ მეპარება, თუმცა მირჩევნია, „სარაგოსამ“ „სევილია“ დაამარცხოს და უეფას თასის საგზური გაინაღდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ლა რომარედაზე“ ბევრად უფრო რთული შეხვედრის გამართვა მოგვიწევს. „ბარსელონა“, რა თქმა უნდა, ბოლომდე პრესინგში გვამყოფებს, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენ აბსოლუტურად არაფრის გვეშინია. წარმოუდგენელია, „ესპანიოლმა“ „ბარსას“ ქულები დააკარგვინოს. ერნესტო ბალბერდეს გუნდმა სეზონი, ფაქტობრივად, დაასრულა. მათ სატურნირო მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შანსი არ აქვთ. ასე რომ, „კამპ ნოუზე“ მოტივაცია არ ექნებათ. სამაგიეროდ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, „ხეტაფე“ თავს არ დაზოგავს. მადრიდელები შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ ესპანეთის სამეფო თასის განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვება არ იყო შემთხვევითი. ვფიქრობ, შაბათს დაახლოებით მაინც გვეცოდინება, ვინ გახდება ესპანეთის ჩემპიონი. ვიმეორებ, ჩემთვის ეს უკვე ცნობილია, მაგრამ მთავარია, ყველაფერი ოფიციალურად დაკანონდეს.

- წინა ტურში „ბარსელონამ“ 6:0 გაიმარჯვა. წარმოგედგინათ კატალონიელთა ასეთი შთამბეჭდავი წარმატება?

- სიმართლე გითხრათ, არა. ვფიქრობდით, რომ ისინი ურთულეს პაექრობაში 2:1, ან 1:0 მოიგებდნენ. 6:0 კი სრული მოულოდნელობა გახლდათ. მგონი, მეტისმეტი მოუვიდათ (იცინის). გასაოცარია, რა დაემართათ ატლეტიკოელებს. ისინი უდიდესი პროფესიონალები არიან და წესით ასე არ უნდა შერცხვენილიყვნენ... თუმცა მეორე მხრივ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ფეხბურთში მსგავსი რამ ხშირად ხდება ხოლმე. თუნდაც გასული სეზონი ავიღოთ, „სარაგოსამ“ „ლა რომარედაზე“ 6:1 მოგვიგო.

- „ბეტისთან“ მატჩის დასრულების შემდეგ კატალონიელმა გულშემატკივრებმა „ბარსელონის“ ვარსკვლავებს ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს. როგორ ფიქრობთ, „კამპ ნოუზე“ მათ ფსიქოლოგიურ წნეხში ჩავარდნის საფრთხე დაემუქრებათ?

- „ბარსამ“ წინა წლებში პრიმერა დივიზიონში ორჯერ გაიმარჯვა, ერთხელ კი ჩემპიონთა თასს დაეუფლა. ყოველივე ამის შემდეგ ფეხბურთელების წინააღმდეგ მსვლელობა უმადურობაა და სხვა არაფერი. როგორც შევამჩნიე, „ბეტისთან“ მატჩის შემდეგ თეთრ ცხვირსახოცებს ხალხის მცირე მასა აფრიალებდა. ამას ალბათ იმიტომ აკეთებდნენ, რომ ტელევიზორში გამოჩენა სურდათ. სხვაგვარ ახსნას ვერ ვპოულობ. როგორ შეიძლება გუნდს, რომელმაც უახლოეს წარსულში ამდენი ტიტული მოიპოვა, ასე უდიერად მოეპყრო. ამ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ მუდმივი არაფერია და „ბარსელონა“ ჩემპიონი ყოველთვის ვერ გახდება. კატალონიელი ფეხბურთელები ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ. ეს შემართება და თავგანწირვა დასაფასებელია.

- სამეფო კლუბიდან წასვლა არ გადაგიფიქრიათ?

- არა, მე საბოლოო გადაწყვეტლება მივიღე. მთავარია, როგორ წახვალ. მჯერა, „რეალის“ გულშემატკივრებს სიბელესზე დავემშვიდობები. ეს, რა თქმა უნდა, დაუვიწყარი და ემოციური საღამო იქნება.

ილია ნიკოლაიშვილი

ნიუკასლი 133 მილიონად

ბრიტანელი მულტიმილიონერი **მაიკ ეშლი** "ნიუკასლს" ყიდულობს. ნახევარ მისოდ 133 მილიონ გირვანქა აქვს გადადებული. ეშლიმ უკვე შეძენილი აქციათა 41 პროცენტი – დაახლოებით, 55 მილიონი ფასიანი ქაღალდი, რომელიც თაც ნიუკასლელთა პრეზიდენტი **სერ ჯონ ჰოლი** და მისი ოჯახის წევრები ფლობდნენ. ინვესტორმა ერთ აქციაში 100 პენსი გადაიხადა. ეს საბაზრო ფასს დაახლოებით 19 პროცენტით აღემატება. მომდევნო უმსხვილესი აქციონერია თავმჯდომარე **ფრედი შეპერდია**. შეპერდს ამბიციური გეგმები ჰქონდა. მან ახალი მწვრთნელი **სემ ელერდაისიც** დაიქირავა, მაგრამ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, თანახმაა, კლუბიდან აიბარგოს. "სენტ ჯეიმს პარკზე" ახალი მმართველების გამოჩენა ქომაგებს უზომოდ გაახარებს. ჯორდებს ფული აქამდეც არ მოკლებიათ, მაგრამ ტიტული 1969 წლის შემდეგ არ ღირსებიათ.

ოლივეირა ემერსონის ნაცვლად

"მილანი" "რეალს" **ემერსონის** ნაცვლად **რიკარდო ოლივეირას** შესთავაზებს. "დიარიო სპორტის" ცნობით, მადრიდელმა ნახევარმცველმა იტალიაში დაბრუნება გადაწყვიტა. "როსონერი" 7 მილიონ გირვანქას ამზადებს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში "ბეტისის" ყოფილ თავდამსხმელსაც შეელევა. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით სხვა კომენტარები არ გაკეთებულა.

ვიალის სამპდორია შესთავაზეს

"სამპდორიის" გენერალური მენეჯერი **ბეპე მაროტა ჯანლუკა ვიალის** შეხვდა. გენუელები ახალ მწვრთნელს ეძებენ. მან ვალტერ ნოველინო უნდა შეცვალოს. ვიალი მზადაა, მუშაობას შეუდგეს. მაროტა მისმა ენთუზიაზმმა აღაფრთოვანა, "სამპის" ბოსს ჯანლუკას გამოუცდელობა აფიქრებს. ვიალის იტალიაში არასოდეს უმუშავია. ის ორი წლის განმავლობაში "ჩელსის" მოთამაშე მწვრთნელი იყო, შემდეგ კი მცირე ხანი "უოტფორდში" გაატარა. სამაგიეროდ, ვიალი "სამპდორიის" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მას კლუბში რვა სეზონი აქვს გატარებული (1984-92).

ჟიულიმ იუვე და ლივერპული უარყო

ლუდოვიკ ჟიულიმ კატეგორიულად უარყო ინფორმაცია "იუვენტუსსა" და "ლივერპულთან" მოლაპარაკებების შესახებ. 30 წლის გარემარბს "ბარსელონიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. ტურინული გრანდი, რომელიც ეს-ესაა, სერია A-ს დაუბრუნდა, შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს. ჟიული **დიდიე დეშამის** ყოფილი შეგირდია ("მონაკოში"), მაგრამ ტურინში გამგზავრებაზე მაინც არ ფიქრობს. ის ამბობს, რომ ბარსელონურ კონტრაქტში ერთი წელი აქვს და მისი ამოწურვა უნდა.

მუნტარი, პორტსმუთის უძვირფასესი

სალი მუნტარი "პორტსმუთის" უძვირფასესი ფეხბურთელი გახდება. ინგლისელებმა განელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გაამზადეს. აქამდე "პორტსმუთს" ყველაზე ბევრი, 4.1 მილიონი ნიგერიელ თავდამსხმელ **ბენჯამინ მვარუვარიში** ჰქონდათ გადახდილი. მუნტარი **ჰარი რედნაპის** მეორე შენაძენი იქნება. მან რამდენიმე დღის წინ "მანჩესტერ სიტის" ფრანგი მცველი **სილვენ დესტენიც** დაიმატა.

ძეგლი რომარიოს

შესაძლოა, ვინმეს **რომარიოს** მიღწევა – 1 000 გოლი პროფესიულ კარიერაში – საკამათოდ მიაჩნდეს, მაგრამ ბრაზილიელი სკულპტორი **სორი კორეია** ასე ნამდვილად არ ფიქრობს. ამიტომ სახელგანძემპული თავდამსხმელისთვის ძეგლის დადგმას აპირებს. ის სადაცაა დაამთავრებს თაბაშირის ასლს და ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმას შეუდგება. სკულპტორის აზრით, რომარიოს მონუმენტი იმ სტადიონზე უნდა დაიდგას, სადაც ფეხბურთელმა მე-1000 გოლი გაიტანა. მოგეხსენებათ, ეს გასულ უქმეებზე რეფისეში მოხდა, სადაც "ვასკო და გამამ" 3:1 გაიმარჯვა. რომარიო მესამე ფეხბურთელია, რომელმაც ასეთ შედეგს მიაღწია. აქამდე 1000 გოლი მხოლოდ გასული საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ბრაზილიელ ფორვარდ **არტურ ფრიდენრაიხსა** (არაოფიციალურად) და **პელეს** აქვთ გატანილი. რომარიოს შედეგს მხოლოდ ფეხბურთელი აღიარებს. ის ჯერჯერობით, არ არის დამტკიცებული ფიფას მიერ.

ტოტენჰემი მანჩესტერს გადაასტა

"ტოტენჰემი" "საუთჰემპტონს" 18 წლის მცველის, **გარეთ ბეილის** ტრანსფერზე მოურიგდა. ლონდონელები "მანჩესტერ იუნაიტედს" თავზე გადაასტნენ. "მირორის" ცნობით, მათ "წმინდანებს" 6 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. "საუთჰემპტონს" ეტაპობრივად კიდევ 4 მილიონს გადაუხდიან. საერთო ჯამში, 10 მილიონის გაკეთება ცუდი არ არის. ბეილის კონტრაქტი გაისად უმთავრდება. ერთ წელიწადში "წმინდანები" მშრალზე დარჩებიან. ახლა მხოლოდ ისაა გასარკვევი, მოისურვებს თუ არა "იუნაიტედი" "ტოტენჰემზე" მეტი ფულის გადახდას. "მამლებთან" გარიგება ოფიციალურად ჯერ არ არის გაფორმებული. ამიტომ სერ ალექსსა და მის ბანაკს შანსი ჯერ კიდევ აქვთ. "მანჩესტერს" დაცვის მარცხენა ფლანგზე **პატრის ევრა, გაბრიელ პაინცე** და **მიკაელ სილვესტრი** ჰყავს, თუმცა ბოლო ორს აბარგებას უწინასწარმეტყველებენ.

ბრაიან რობსონს შეფილდი ჩააბარეს

პრემიერლიგიდან გაკარდნილ "შეფილდ იუნაიტედს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. **ნილ უორნოკის** ადგილი **ბრაიან რობსონმა** დაიკავა. უორნოკმა პოსტი ათი დღის წინათ, "ვიგანთან" წაგების (1:2) შემდეგ დატოვა. სწორედ ამ დამარცხებამ დატოვა მისი გუნდი უმაღლესი დივიზიონის მიღმა. რობსონს 2006 წლის სექტემბრის შემდეგ არ უმუშავია. მისი ბოლო სამსახური "ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" იყო. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა ვარსკვლავმა 1995 და 1998 წლებში "მიდლსბრო" ორჯერ გადაიყვანა პრემიერლიგაში. მას წლეულს ანალოგიური მისია დაეკისრება.

ვულვერჰემპტონი 10 გირვანქად

ლიეერპულელმა ბიზნესმენმა **სტივ მორგანმა** 10 (!) გირვანქად პირველი დივიზიონის კლუბი "ვულვერჰემპტონი" შეიძინა. ყოფილმა ბოსმა სერ **ჯეკ ჰეიეარდმა**, რომელიც "ვულვზხს" 1990 წლის შემდეგ განაგებდა, სენსაციური გადაწყვეტილება ინვესტორის ამაო ძებნის შემდეგ მიიღო. გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომელიც ახალ მფლობელს კლუბში 30 მილიონი გირვანქის ჩადებას ავალდებულებს. ამ ისტორიაში ყველაზე უცნაური ის არის, რომ იანვარში "ვულვერჰემპტონის" შეძენა "ნიუკასლისა" და "ბლექბერნის" ყოფილმა მწვრთნელმა **გრემ საუნესმა** სცადა და ჰეივარდს 20 მილიონი გირვანქა შესთავაზა. მან კი პირობების განხილვაც კი არ ისურვა.

ირლანდია დაფის გარეშე

დემიენ დაფი ირლანდიის ნაკრებს საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლომდე ვერ დაეხმარება. ეს ინფორმაცია ირლანდიელთა თავკაცმა **სტივ სტონტონმა** გაავრცელა. "ნიუკასლის" ნახევარმცველი აპრილში დაშავდა. მან მუხლის მყესები გაინყვიტა და ექვსთვიანი შვებულება გამოიწერა. სტონტონმა გუნდი ამერიკაში ნაიყვანა. შაბათს ნიუ იორკში ირლანდია ეკვადორთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, ოთხშაბათს კი ჩიკაგოში გადაინაცვლებს და ბოლივიას შეხვდება. ის მორიგ შესარჩევ თამაშებს სექტემბერში ჩაატარებს.

ინტერვიუ ხოსე ნესტორ პეკერმანთან

რედონდო ფეხბურთიდან წასვლას გადავარჩინე

არგენტინის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს რომ დავუჯეროთ, ბარსელონას მესი მან აჩუქა

ხოსე პეკერმანს გულშემატკივრების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ყველამ იცის, რომ ეს კაცი არგენტინის ნაკრებს წვრთნიდა და "ალბისელესტე" გასულ მუნდიალზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ დატოვა. ამ დღეებში სენიორ პეკერმანი ესპანეთში მოგზაურობს. ცნობილი საფეხბურთო მოღვაწის ვიზიტი პირენეელ ჟურნალისტებს უყურადღებოდ, რა თქმა უნდა, არ დაუტოვებიათ. არგენტინელ სპეციალისტს "დიარიო ასის" კორესპონდენტებმა, ხესუს სანჩომ და კარლოს ხიმენესმა ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვეს. ვფიქრობთ, ბატონი ხოსეს მოსაზრებები ქართველი გულშემატკივრებისთვისაც არ იქნება უინტერესო.



- წლების წინ "ლოგრონიესში" მუშაობდით. საინტერესოა, დღევანდელი "ხეტაფე" თქვენს ყოფილ გუნდს ხომ არ გახსენებთ?

- იმის გათვალისწინებით, რომ "ხეტაფე" ახლა სწორედ იმ გზას გადის, რომელიც ჩვენ განვლეთ, მსგავსებას ნამდვილად ვხედავ... თუმცა ამავდროულად, სერიოზულ განსხვავებებზეც შემიძლია ვისაუბრო. მაშინ, "ლოგრონიესის" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი და მწვრთნელი უდიდესი ენთუზიაზმითა და მოტივაციით იყო განმსჭვალული. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ კლუბის ხელმძღვანელები სპორტსმენებისგან განსხვავებულად ფიქრობენ და განსხვავებულადვე აფასებენ მოვლენებს. "ლოგრონიესის" შეფებმა სულსწრაფობა გამოიჩინეს. მათ ვერ დააფასეს გუნდის ფენომენალური მიღწევები და შემუშავებული პროექტიდან გადაუხვიეს. შედეგმაც არ დაახანა, გუნდი ჩაიძირა. მიხარია, რომ "ხეტაფეში" ასე არ ხდება. მადრიდელები ხვდებიან, რომ ბიჭები მაქსიმუმს აკეთებენ. რაც მთავარია, კლუბი ყოველდღიურად იზრდება. მჯერა, ბერნდ შუსტერის კოლექტივი კიდევ უფრო მეტს შეძლებს.

- მაშინდელი სკანდალის შემდეგ დანიელ გრინბაკი აღარ გინახავთ? მართლაც უცნაური ადამიანი გახლდათ. "ლოგრონიესის" მისახედად არგენტინიდან ჩამოვიდა, მაგრამ ხუთ თვეში გუნდი მიატოვა და ყველაფერი თავდაყირა დადგა...

- არა, ის აღარ შემხვედრია. სენიორ დანიელი არ არის ფეხბურთის სპეციალისტი. მას ამ საქმის მცოდნესაც კი ვერ ვუწოდებ. თუ არ იცით, მოგახსენებთ, რომ გრინბაკი მუსიკალური სპექტაკლების მენეჯერია. საბედნიეროდ, ფეხბურთისკენ აღარ გამოუხედავს.

- ძალიანაც კარგი... მოდით, თანამედროვეობაზეც ვისაუბროთ. "სევილიის" შესახებ რას გვეტყვით?

- "სევილია" ნამდვილი სიურპრიზია. დამეთანხმებით, ყველა სპეციალისტი, მიმომხილველი, თუ ფეხბურთელი ყოველთვის ერთხმად აღნიშნავს, რომ სამ ფრონტზე ბრძოლა უდიდეს სირთულეებს მოიცავს. "სევილიისთვის" როგორც ჩანს, ძნელი და მიუნდომელი არაფერია. შეუძლებელია, ამ გუნდით არ აღფრთოვანდე. ფანტასტიკური ორგანიზაციისა და მაღალი კლასის წყალობით, ანდალუსიელებმა შარშან მოპოვებული უეფას თასი შეინარჩუნეს. მერწმუნეთ, მიღწეულის შენარჩუნება პირველ გამარჯვებაზე შეუდარებლად რთული ამოცანაა. ხელმძღვანელობა ცხოვრების დინამიკას გრძნობს და სწორ სატრანსფერო პოლიტიკას აწარმოებს. ისინი ფეხბურთელებს ყიდიან და ყიდულობენ კიდეც. ესმით, რომ ახალი სისხლის გადასხმა წარმატების ერთ-ერთი გარანტიაა. კარგად მახსოვს, "რეალთან" ჩატარებული მათი შეხვედრა. დარწმუნებითა და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ "სევილია" "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოსაგებად ჩადიდა. არ შეუშინდნენ სამეფო კლუბის მიზნებსა და მოტივაციას. არადა, ფაბიო კაპელოს გუნდი ხომ დანაკლისის ანაზღაურებასა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ ანდალუსიელები სტუმრად თამაშობდნენ, უკან არაფერზე დაუხევიათ. ჩემი შეფასებით, ხუანდე რამოსის ბიჭების დამარცხება მცირე უიღბლობამ გამოიწვია.

- როგორ ფიქრობთ, გუტი არგენტინაში უფრო დაფასებული იქნებოდა, თუ თქვენს ქვეყანაშიც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევდა?

- გუტი სწორედ იმ სტილის მოთამაშეა, რომელზეც არგენტინელი ინჩასები ჭკუას კარგავენ. უბრალო და ლამაზ ფეხბურთზე მაქვს საუბარი. თუ არ მიწყენთ, მოგახსენებთ, რომ ამ ყაიდის ფეხბურთელებს ჩვენთან უფრო მეტ დროს აძლევენ. მათ მშვიდად ვაკვირდებით. სასწაული უნდა მოხდეს, რომ გუტის შესაძლებლობების მქონე ბიჭი რაიმე სახის წნეხში მოვაქციოთ. ესპანეთში კი ქომაგები, გნებავთ ჟურნალისტები და მწვრთნელები არაადამიანურად ბევრს ითხოვენ. ავიწყდებათ, რომ თამაში 90 წუთს გრძელდება. ისინი ყველა სასწაულის ერთ მატჩში მოხდენას ელიან. ასე კი არასოდეს ხდება. მახსოვს, რიკელმეს რამდენად სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ის იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. ახლა კი "ბოკა ხუნიორსში" საკმაოდ კარგად გამოიყურება. ვიცი, მას მწვრთნელთან კონფლიქტი შეექმნა. კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე, თემას აღარ განვავრცობ.

- როგორ გგონიათ, იმისთვის, რომ გახომ და იგუაინმა "რეალში" შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნონ, სამეფო კლუბის მესვეურებმა მოთმინება უნდა გამოიჩინონ?

- რა თქმა უნდა. მღელვარება და მოუთმენლობა არც მათ არგებს და არც "რეალს". არ შემეშინდება იმის თქმა, რომ გახო და იგუაინი უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან. ამ ბიჭებმა არგენტინულ გრანდებში საუკეთესო რეპუტაცია შეიქმნეს. ნუ გგონიათ, არგენტინის პირველობაზე წარმატებების მიღწევა იოლია. ჩვენი გულშემატკივრები ყოველთვის გამარჯვებას ითხოვენ. განვლილმა ცხოვრებამ ფერნანდოსა და გონსალოს წნეხის ქვეშ არსებობა და თამაში ასწავლა. ახლა ისინი სულ სხვა გარემოში იმყოფებიან. კარგად იცით, რომ ორივე ძალიან ახალგაზრდაა. ამიტომ, სრული ადაპტაციისთვის დრო სჭირდებათ. სამეფო კლუბმა არ უნდა იჩქაროს. ამ ბიჭებისთვის ულტიმატუმების წაყენება დამლუპველი იქნება. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ "რეალს" ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორ ფეხბურთს თამაშობდა და საერთოდ რას აკეთებდა. სიტუაცია მხოლოდ ახლახან გამოსწორდა. და მაინც, გახოსა და იგუაინის წარმატებები მთლიანად გუნდზეა დამოკიდებული. თუ ერთსულოვნება არ იარსებებს, მათგან სასწაულებს ნურავინ მოითხოვს.

- სხვათა შორის, იგუაინთან მიმართებაში უკვე ბევრი ეჭვი და უკმაყოფილება გაჩნდა. ხალხი ამბობს, რომ მას გოლების გატანა არ ეხერხება...

- არ მესმის, რატომ ითხოვენ გონსალოსგან გოლების წვიმას? დააკვირდით "რეალის" თამაშებს და აღმოაჩენთ, რომ იგუაინი დროის დიდ ნაწილს ნახევარდაცვაში ატარებს. მიუშვან კარის სიახლოვეს და პრეტენზიები შემდეგ გამოთქვან. მერწმუნეთ, თუ ცენტრფორვარდის ფუნქციებს შეუთავსებენ, გონსალო გაცილებით უფრო პროდუქტიული გახდება. ჩემს თანამემამულეებს დახმარება, თანადგომა სჭირდებათ. ყველასთვის აჯობებს, თუ უსაფუძვლო კრიტიკას თავს აარიდებენ.

- გახო და იგუაინი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არიან. ახალგაზრდული გუნდები კი თქვენი სფერო იყო..

- არგენტინაში დღეს ზოგს მიაჩნია, რომ კანტერის შენახვა უაზრო ხარჯია. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ვისაც ძლიერი ახალგაზრდული გუნდები ჰყავს, გარანტირებული და ბრწყინვალე მომავალი აქვს. თავად განსაჯეთ, ნებისმიერი დიდი ფეხბურთელი ბავშვობაში იწყებს თამაშს. ასე რომ, ახალგაზრდობა გუნდის სულია. თუ ის არ გეყოლება, სიკვდილისთვის იქნები განწირული.

- ესპანეთში თქვენი და მესის ურთიერთობის შესახებ ძალიან ცუდი ხმები დადის. ამბობენ, პეკერმანმა ლეო "ბარსელონაში" აღმოაჩინა, არადა, ახალგაზრდულ ნაკრებში გვერდზე ჰყავდა, მაგრამ მისი ნიჭიერება ვერ დააფასო. არგუმენტად კი ის მოჰყავთ, რომ მესის იშვიათად აძლევდით შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას.

- (იცინის) ზოგს როგორ უყვარს გადაჭარბება. ლეოს ჩემზე კარგად ბევრი არ იცნობდა და არც ახლა იცნობს. უბრალოდ, იმ პერიოდში ის ჯერაც ძალიან პატარა იყო და ტრავმა აწუხებდა. სხვათა შორის, "ბარსელონაშიც" არ უწევდა თამაში. რა გამოდის, რიიკაარდიც სულელია, რომ მის გვერდით მყოფი პატარა გენიოსი ვერ შენიშნა?! აი, რაში მდგომარეობს ეს საკითხი: ლეო ძირითად გუნდში ვერ ხვდებოდა. ყველა ამბობდა, რომ ის უნიჭიერესია, მაგრამ უმაღლესი დონის შეჯიბრებების დონის დასაკმაყოფილებლად დრო დასჭირდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი მესი სანაკრებო შეკრებიდან დაბრუნდა და რამდენიმე კვირაში ისე ათამაშდა, რომ მთელი დედამიწის ყურადღება მიიპყრო. მას შემდეგ, რაც ნამდვილი პროფესიული ფეხბურთის გზას შეუდგა, მესის კვალიფიკაცია ეჭვქვეშ არ დამიყენებია. მანამდეც არაფერი მქონდა საწინააღმდეგო, უბრალოდ ბავშვი გახლდათ და მიზანშეუწონლად მიმაჩნდა, გაცილებით დიდების ხროვაში შემეგდო.

- იმას მაინც ვერ უარყოფთ, რომ ბარსელონაში წამოსვლამდე მესი რამდენიმე არგენტინულმა კლუბმა დაიწუნა...

- ამ კითხვამ ფერნანდო რედონდოს ამბავი გამახსენა. იყო დრო, როცა "არხენტინოს ხუნიორსის" საყმაწვილო გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ვმუშაობდი. ერთხელ, ფერნანდო ჩემთან მოვიდა და მითხრა: "ხოსე, უნივერსიტეტში მინდა ჩაბარება. არ ვიცი რა ვქნა, სწავლას გავყვე და ფეხბურთს თავი დავანებო, თუ პირიქით. იქნებ, ძირითად შემადგენლობაში გადამიყვანონ?" მის პოზიციაზე მაშინ ბატისტა თამაშობდა. "არხენტინოს ხუნირსი" საკონტინენტთაშორისო თასზე თვით "იუვენტუსს" დაუპირისპირდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საქმე უბრალო და სუსტ გუნდს არ ეხებოდა. ხელმძღვანელობას სერიოზული ამოცანები ჰქონდა დასახული. მიუხედავად ამისა, ფერნანდოს ხელი მოვკიდე და პრეზიდენტთან მივიყვანე. შეხვედრას "არხენტინოს ხუნიორსის" მთავარი მწვრთნელიც ესწრებოდა. ჩემი არგუმენტების მოსმენის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ რედონდოსთვის ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშის საშუალება მიეცათ. თავს არ ვიქებ, მაგრამ თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ რედონდო ფეხბურთიდან წასვლას გადავარჩინე. ზუსტად ერთ თვეში მან სადებიუტო მატჩი ჩაატარა... მესის რაც შეეხება, ბარსელონაში გამგზავრებამდე არგენტინის ნაკრებში თამაშზე ის არც კი ოცნებობდა. ამას ვერც კი წარმოიდგენდა, მაგრამ ბევრისთვის უცნობ ბიჭს 20 წლამდელთა ნაკრებში ვუხმე. ჩემი აზრით, ლეო სწორედ ეროვნულ გუნდში გაიხსნა. მიხვდა, რომ უნიკალური შანსი მიეცა და შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნა. არ ვტრაბახობ, "ბარსელონას" ფენომენალური მოთამაშე ვაჩუქე. დღევანდელი "ბარსა" მესის გარეშე წარმოუდგენელია. ასე რომ, ამ ბიჭის ნიჭი ჩემთვის არასოდეს ყოფილა შეუმჩნეველი.

- მაშინ ის გვითხარით, გერმანიის მუნდიალზე იშვიათად რატომ ათამაშებდით?

- ლეომ ზედიზედ ორჯერ უმძიმესი ტრავმა მიიღო. განსაკუთრებით პრობლემური მეორე ტრავმა აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, რეაბილიტირება დროულად მოასწრო, მაგრამ ჩავთვალე, რომ 19 წლის ბიჭისთვის მთავარი მუნდიალის ატმოსფეროს შეგრძნება, მასთან შეგუება იქნებოდა. დასამალი არ არის, რომ ამ დონის ტურნირებზე ასპარეზობის გამოცდილება არ ჰქონდა. ან, როგორ უნდა ჰქონოდა? "ალბისელესტეში" კრესპოს, საგიოლას, ტევესის, კრუსისა და პალასიოს სახით მსოფლიო დონის ხუთი ფორვარდი გვყავდა. ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელები სავიოლა და კრესპო გახლდნენ. ბუნებრივია, ძირითადში ყველას ერთად ვერ დავაყენებდით. დანარჩენებს შევპირდით, რომ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს აუცილებლად მივცემდით. არგენტინაში, ისევე როგორც ესპანეთში, ხალხს ჰგონია, რომელიმე ფეხბურთელი მოედანზე თუ გამოვა, წაგებულ მატჩს გადაარჩენს. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულებაა. მესის წინ დიდი მუნდიალები ელის.

- კრისტიანო რონალდო, კაკა... მათზე უკეთესი ფეხბურთელები თუ გეგულებათ?

- თანამედროვეობას არ ჰყავს ისეთი სრულყოფილი მოთამაშეები, როგორებიც დი სტეფანო, პელე, კრუიფი, ბეკენბაუერი, ეუსებიო და მარადონა იყვნენ. მოგვწონს თუ არა, მეფის გარეშე ცხოვრებას უნდა მივეჩვიოთ. კაკა დიდებული ბიჭია. თითქმის სრულყოფილი შუახაზელი შემიძლია ვუწოდო. კრისტიანო რონალდოს კი ბრწყინვალე ფორვარდად მივიჩნევ. მესისა და რონალდინიოზე აღარაფერს ვამბობ. ისინი აქვე გყავთ. ძალიან მომწონს დავიდ ვილია. ჩემი აზრით, ვალენსიელი კაკასა და რონალდოს არაფრით ჩამოუვარდება. სხვათა შორის, ვილიას მას შემდეგ ვაკვირდები, რაც "ხიხონში" გამოჩნდა. იმ დღიდან ზრდა წამითაც არ შეუწყვეტია. მართლაც დიდებული ფორვარდია.

- ერთი რამ მაინტერესებს. "სევილიასთან" მატჩში რობინიომ გოლი გაიტანა და მისი აღნიშვნისას მაისურა გაიხადა. მსაჯმა ბრაზილიელს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა. მომდევნო ტურში კი "რეალს" რობინიოს გარეშე ასპარეზობა მოუხდა. როგორ შეაფასებდით, სამეფო კლუბის ახალგაზრდა ფორვარდის ქმედებას?

- პროფესიონალები რეგლამენტსა და კანონმდებლობას არ უნდა არღვევდნენ. ეს დაუშვებელია. მესმის, რომ ემოციების მოზღვავებისას საღად აზროვნება ჭირს, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელი ვალდებულია, გუნდის ინტერესები წამითაც არ დაივიწყოს და სწორად მოიქცეს. ჩემი აზრით, რობინიოს ქმედებას გამართლება არ აქვს.

- დღევანდელ ფინალს რომელი გუნდი მოიგებს? (ინტერვიუ მილანისა ლივერპულის შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრეა ჩანერილი).

- არ ვიცი თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ პირადად მე სანახაობრივ ფეხბურთს არ ველი. "მილანს" "ლივერპულთან" ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი და არ მგონია, საკუთარ თავს გახსნილი ფეხბურთის თამაშის უფლება მისცეს. ჩემი აზრით, მატჩის რიტმსა და სცენარს სწორედ იტალიელები განსაზღვრავენ. რა თქმა უნდა, დაძაბული ფინალი გველის. პროგნოზის გაკეთება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ "მილანი" "წითელ ეშმაკებთან" ზედიზედ ორ ფინალს არ დათმობს. თასს ალბათ, "როსონერი" დაესაკუთრება.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდრაჭი

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

ალიყური რუსისგან

საქართველოს ქალთა ნაკრების კაპიტანმა, მრავალნახულმა და ტიტულოვანმა **ნინო გურიელმა** მსოფლიო ჩემპიონატის წინ გვითხრა: რუსეთში ბრძოლაში მივდივართ, ჩვენ ჩვენი ფრონტი გვაქვს - საჭადრაკო დაფა და უნდა გავიმარჯვოთო. აქ, უპირველესად, რუსებზე გამარჯვება იგულისხმებოდა თორემ კაპიტანი ჩემპიონობას თითქმის რომ გამორიცხავდა, დიპლომატიურ პასუხებშიც კარგად ჩანდა. ტურნირი მძიმედ დავიწყეთ, დაუგეგმავი ქულაც დავკარგეთ, მაგრამ ჩინელებს არ დავეჩაგვრინეთ და შემობრუნებისა ვირწმუნეთ. მართალია მომდევნო ტურში რუსებს ვხვდებოდით, მაგრამ ამათი 4:0-ზე დამმარცხებელ ჩინელებს რომ ქულას წაართმევ, კი უნდა მოგეცეს გული, თანაც ის "ომიც" უნდა გხსომებოდა, გურიელი რომ ამბობდა.

გუნდის კაპიტანი ჩვენ რომ ასე გვესაუბრა, წარმომიდგენია, როგორ დამუხტავდა შეგირდებს "პატრინოტებით", მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - დიდი სხვაობით - 1:3 დავმარცხდით. ძალიან ცუდი შედეგია და ეგებ მიზეზებზე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავად მოგვახსენონ, მაგრამ ერთი რამ უკვე აშკარაა - დებიუტანტებმა - **სოფიკო ხუხაშვილმა** და **სოფიო გვეტაძემ** ვერ გაამართლეს. გამოუცდელობამ მაინც თავისი ქნა. საუკეთესო ფორმაში ვერ არის **ნინო ხურციძეც**, თუმც მას გამოუცდელობას ვერ დავწამებთ.

სულერთოდ, ჭადრაკში გუნდურ ტურნირებში ქულათა ძირითადი მარაგი მესამე და მეოთხე დაფაზე უნდა მოიხვეჭო, თუ გსურს, რომ წარმატებას მიაღწიო; პირველ-მეორეს, საჭადრაკო ჟარგონით რომ ვთქვათ, დაფის დაჭერის, ანუ არწაგების ფუნქცია აქვს. ცხადია, შესანიშნავია, როცა აქაც იმარჯვებ, მაგრამ, როგორც წესი, ნებისმიერ საშუალო დონის გუნდშიც კი ამ დაფებზე მაღალი კლასის ოსტატები სხედან.

მაია ჩიბურდანიძემ ერთი პარტია კი დათმო, მაგრამ ცუდად თამაშობს-თქო, ვერ იტყვი - ის დაფას "იჭერს"; **ლელა ჯავახიშვილი** კი საუკეთესოა და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ შესანიშნავი გუნდური მოთამაშეა და - უმაღლესი კლასის დიდოსტატი!

ძალაუნებურად კვლავ ნინო გურიელის "ლელოსთან" წინასაჩემპიონატო ინტერვიუ გვახსენდება, სადაც რესპონდენტი ნაკრების შერჩევის პრინციპს იწუნებდა... აქ აღარ გავარჩევთ, მაგრამ გურიელს სავსებით დასაშვებად მიაჩნდა **ნანა ძაგნიძის** ან **მაია ლომინეიშვილის** გუნდში ჩარიცხვა - ერთი ტურნირის არც მოგებით და არც წაგებით ბეჭედი არ უნდა დასვაო. ძაგნიძე, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად ბოლო დროს ვერ ბრწყინავს, გუნდურში ყოველთვის პოულობს ძალებს და, კატეგორიული ვერ ვიქნებით, მაგრამ გვგონია, რომ ნამდვილად გაწევდა მესამე ან მეოთხე დაფის ჭაპანს. იმავეს თქმა შეიძლება ლომინეიშვილზეც, მიუხედავად იმისა, რომ სანაკრებო დონეზე ხშირად თავი ვერ გამოუჩენია. თუმც ერთხელ - 2005 წელს ევროპის ჩემპიონატზე მეორე დაფაზეც იჯდა და მაია ჩიბურდანიძესთან ერთად გუნდის გამოკვეთილი ლიდერი იყო; ახლახან დასრულებულ ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა...

ასეა თუ ისე, დავმარცხდით და ჩემპიონობაზე ფიქრს შევეშვით, სამეულში მოხვედრა კიდევ შეგვიძლია. გუშინ მაია ჩიბურდანიძე თეთრებით დაუზავდა ევროპის ჩემპიონ **ტატიანა კოსინცევას**; ლელა ჯავახიშვილმა კი ამავე ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, ტატიანას დას - **ნადეჟდას** გაუყო ქულა. წააგეს ნინო ხურციძემ - **ეკატერინა კოვალევსკაიასთან** და სოფიკო ხუხაშვილმა - **ელენე ტაიროვასთან**.

რუსებმა ამ გამარჯვებით მეორე ადგილზე გადაინაცვლეს და უკრაინელები მესამეზე ჩაჩოჩეს. ეს უკანასკნელები, თავის მხრივ, ჩინელებთან განადგურდნენ - 0,5:3,5. ამიტომაც ვთქვით, რომ ჩემპიონობაზე ფიქრი აღარ არის საჭირო-თქო - ჩინელებმა ყველა ძირითადი კონკურენტი მოისტუმრეს და არა გვგონია, სომხეთმა, ჩეხეთმა, გერმანიამ და ბოტსვანამ აუფრინოს ბუზი.

დღეს ჩემპიონატში შესვენებაა, მომდევნო ტური 26 მაისს გაიმართება.

ზვიად შათირიშვილი

მეხუთე ტური: პოლონეთი-ვიეტნამი - 2:2; საქართველო-რუსეთი - 1:3; უკრაინა-ჩინეთი - 0,5:3,5; სომხეთი-გერმანია - 1,5:2,5; ჩეხეთი-ბოტსვანა - 4:0.

საბურნირო მდგომარეობა: 1. ჩინეთი - 9 (17), 2. რუსეთი - 8 (12), 3. უკრაინა - 7 (12), 4. საქართველო - 6 (11,5), 5. პოლონეთი - 5 (10,5), 6. ვიეტნამი - 5 (8,5), 7. სომხეთი - 4 (12), 8. გერმანია - 4 (8,5), 9. ჩეხეთი - 2 (8), 10. ბოტსვანა - 0 (0).

მეექვსე ტურში: ვიეტნამი-ბოტსვანა, გერმანია-ჩეხეთი, ჩინეთი-სომხეთი, რუსეთი-უკრაინა, პოლონეთი-საქართველო.

ჭალათბურთი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

სახალხო ბანკი კალათბურთისთვის

გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში" სეზონის ყველაზე საინტერესო შეხვედრა შედგა. საპრესკონფერენციო მაგიდას უსხდნენ **ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი, ვატო ნაცვლიშვილი** და ეროვნული ნაკრების სხვა წევრები, პლუს "სახალხო ბანკის" თავკაცი **გიორგი გოგუაძე** და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**.

"სახალხო ბანკი" ეროვნული ნაკრებისა და მე-17 ჩემპიონატის სპონსორი ხდება, ხოლო, თავის მხრივ, კალათბურთის ფედერაცია პასუხისმგებლობას იღებს, რეკლამა გაუწიოს გენერალურ სპონსორს. ბესიკ ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებს ფორმაზე "სახალხო ბანკის" რეკლამა აგვისტოს მატჩებიდან გამოჩნდება.

გიორგი გოგუაძემ იმედი გამოთქვა, რომ ერთწლიანი ხელშეკრულება გაისად კიდევ გახანგრძლივდება: *"ჩვენი ბანკი ქართულ სპორტს დიდ ყურადღებას უთმობს. პირადად მე გახლავართ სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი. სხვათა შორის, მას შემდეგ რაც მოჭიდაველების სპონსორობა ვიკისრეთ, მოვიპოვეთ მსოფლიო ჩემპიონობა. ასე რომ, კარგი ფეხი გვაქვს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დახმარებით კალათბურთელებიც მაღალ მიზნებს მიაღწევენ. გვჯერა, რომ ეს კავშირი იქნება შედეგიანი და გრძელვადიანი".*

ახალ სპონსორს პირველი კითხვა **ზაზა ფაჩულიამ** დაუსვა - თუ A დივიზიონში გადავედით, პრემია თუ იქნებაო. პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო: იქნება...

სპონსორის დამატებით კალათბურთის ფედერაციამ დიდი საქმე გააკეთა. თუმცა გუშინ არანაკლებ კარგ საქმეს მოება თავი - ეროვნული გუნდის წევრები ერთწლიანი შესვენების შემდეგ ერთმანეთს კაფე "მსოფლიო სპორტში" შეახვედრა.

კაფეში თავი მოიყარეს **ნიკა ცქიტიშვილმა, ზაზა ფაჩულიამ, ვატო ნაცვლიშვილმა, ანატოლი ბოისამ, ლაშა გამყრელიძემ, კოტე ტულუშმა, გიორგი მარკოიშვილმა, შიო ხეცურიანმა, დავით უგრეხელიძემ** და **გიორგი შერმადინმა**. მოკლედ, **ვლადიმერ ბოისას, მანუჩარ მარკოიშვილის, ვიქტორ სანიკიძის, გიორგი ცინცაძისა** და **ტაირონ ელისის** გარდა, მთელი ნაკრები გუშინ არაოფიციალურად შეიკრიბა. ოფიციალურ შეკრებამდე კი ერთი თვეა...

ვაჟა სიმონიშვილი

მარკოიშვილის ანაჭომია

მანუჩარ მარკოიშვილი

ყოველი დრაფტის წინ ამერიკული პრესა NBA-ში მოხვედრის კანდიდატებს დეტალურად იკვლევს. 2002 და 2003 წლებში, შესაბამისად, ნიკა ცქიტიშვილსა და ზაზა ფაჩულიაზე ბევრი იწერებოდა. ზოგიერთი ჟურნალისტი მათ მომავალ კლუბებსაც ასახელებდა. ჯერჯერობით, მანუჩარ მარკოიშვილის აყვანის მსურველს არავინ ასახელებს, თუმცა მისი თამაშის ანალიზს კი არ ერიდებიან.

ვფიქრობთ, ბევრი ქართველისთვის იქნება საინტერესო ერთ-ერთი ჟურნალისტ-სკაუტის მოსაზრება წლევანდელი დრაფტის ქართველ კანდიდატზე. მით უმეტეს, რომ ეს ანალიზი ინტერნეტ-გამოცემა "დრაფტ-ექსპრესში" გამოქვეყნდა.

მანუჩარ მარკოიშვილი საქართველოში 1986 წელს დაიბადა. იგი დრაფტის მეორე წრეში არჩევის კანდიტატია. ახლა რაც შეეხება მის თამაშს.

მარკოიშვილის წლევანდელი სტატისტიკა მის პროგრესს არასრულად ასახავს, რადგან ხშირად კალათბურთელის წინსვლას ციფრები ვერ გადმოსცემენ. ბოლო 12 თვის განმავლობაში მანუჩარმა თამაში ერთი-ორად გააუმჯობესა და ევროპაში სატრანსფეროდ ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ახალგაზრდად იქცა. თუმცა მისი საამერიკო პოტენციალი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან მისი ამპლუის მოთამაშისთვის (მსუბუქი ფორვარდის) საჭირო ზომები და სიმაღლე არ აქვს. "ოლიმპიაში" მარკოიშვილი სწორედ მსუბუქ თავდამსხმელად თამაშობს. მაგრამ მას სხვებისგან სამი რამ გამოარჩევს - ტექნიკა, სათამაშო აღლო და ორგანიზატორის ნიჭი. ქართველი ერთ-ერთი ყველაზე შრომისმოყვარეა დრაფტზე დამდგარ ახალგაზრდათა შორის, რომელსაც გამოარჩევს დაცვაში კარგი და გუნდური თამაში.

მიმდინარე სეზონში "ოლიმპიიდან" არაერთი კალათბურთელი წავიდა. მარკოიშვილს კი სხვა კლუბზე არ უფიქრია, მუშაობას ჩვეულ რიტმში განაგრძობდა და გუნდის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ფიგურად იქცა. იგი პირველი დამცველია - მწვრთნელი მეტოქეთა ლიდერების მეთვალყურეობას სწორედ მანუჩარს ავალებს. მაგრამ ქართველი მხოლოდ დაცვით არ გამოირჩევა - არაერთი მატჩი დაასრულა 20-ზე მეტქულიანი მონაგარით.

ზემოთ მსუბუქი ფორვარდისთვის საჭირო მონაცემები ვახსენეთ. აქ კი გეტყვით, რომ მარკოიშვილს უკანახაზელისთვის შესაფერისი აღნაგობა აქვს, სწორედ ისეთი, როგორც NBA-ს პირველ და მეორე ნომრებს.

ქართველი კალათბურთელის კიდევ ერთი პლუსი საზრიანობაა - წინასწარ შეუძლია გათვალოს მეტოქის მოქმედება, რაც დაცვისას ძალიან სასარგებლოა. საკითხავი მხოლოდ ისაა, შეძლებს თუ არა ამერიკელი უკანახაზელების წინააღმდეგ ისევე წარმატებით თამაშს, როგორც ევროპელების...

ახლა შეტევაზე. დაყენებული სროლა აქვს, მაგრამ უფრო დამხმარეა, ვიდრე ისეთი, რომელსაც მწვრთნელები შეტევათა უმეტესობის დაგვირგვინებას ავალებენ. განსაკუთრებული სიზუსტით სტყორცნის საშუალო დისტანციიდან. მისი ნასროლი ბურთი კი მეტისმეტად მაღალი ტრაექტორიით ეშვება, რაც დაფარებათა ალბათობას მინიმუმამდე ამცირებს.

"ოლიმპიას" მატჩებისას მარკოიშვილს იშვიათად ნახავთ დრიბლინგისას. ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა სივრცე უთავისუფლდება. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც მოკლე ტარებით იფარგლება. თავგზისამბნევ ცრუმოძრაობებს და შუა გზაში გადაწყვეტილების შეცვლას მარკოიშვილის რეპერტუარში ნაკლებად ვხვდებით. თუმცა პოზიციას კარგად არჩევს, მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს და შესაბამისად პასებიც ეხერხება.

ვფიქრობ, მარკოიშვილი სწორად მოიქცა წარმატებული სეზონის შემდეგ დრაფტზე რომ დადგა, ახლა ხომ მისი ღირებულება ნელ-ნელა მატულობს. იგი NBA-ს დრაფტის ტიპური კანდიდატი არ არის. მაგრამ ევროლიგის გამოცდილებითა და მონაცემებით შეუძლია NBA-ს ნებისმიერ გუნდს პოზიციური თამაშისას სტაბილურობა შესძინოს და დაცვაშიც გვარიანად დაეხმაროს. ბევრის აზრით, მანუჩარ მარკოიშვილი დრაფტის მეორე წრეში უნდა აირჩიონ...

... თუმცა, ვფიქრობ, მომდევნო სეზონში ევროლიგაზე თამაში მისთვის გაცილებით სასარგებლო იქნება - ამის შემდეგ ქართველის ღირებულება შეიძლება გაორმაგდეს კიდეც. მაგრამ ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის კლუბზე, რომელიც გაკოტრების პირასაა".

ჩვენი მხრივ დავამატებთ - მანუ წლევანდელ დრაფტზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ რომელიმე გუნდი აყვანას წინასწარ შეპირდება. გადაწყვეტილება მან 18 ივნისამდე უდა მიიღოს. ამასობაში "ოლიმპიამ" მესამე მატჩში "სლოვანი" 79:73 დაამარცხა და სლოვენიის ჩემპიონატის ფინალის საგზური მოიპოვა, სადაც "ჰელიოსთან" ითამაშებს. ნახევარფინალში მანუს არ უთამაშია. მას მუხლის სერიოზული ტრავმა აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთი

ინტერვიუ ნუგზარ მიქაძესთან

ბრძოლაში სულ სხვაა



მიქაძე და ჯიკო ჩემპიონობას ზეიმობენ

დიდი ჯიხაიშის „ჯიკო“ ზედიზედ მეექვსედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ნუგზარ მიქაძის გუნდმა წინა წლებთან შედარებით ძალიან რთულ ბრძოლაში მოიპოვა ჩემპიონობა. ფინალურ შეხვედრაში გამარჯვებულის გამოსავლენად ხუთი პარტიის გამართვა გახდა საჭირო. მატჩი ორსაათნახევარს გაგრძელდა და ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლამ ჯიხაიშელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა იმერელთა გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. მატჩის შემდეგ ჯიხაიშელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სახუმარო საქმე არაა - სოფლის გუნდი ზედიზედ მეექვსედ გახდა საქართველოს ჩემპიონი და თუ სათანადო დაფინანსება ექნა, ევროპის თასზეც მიიღებს მონაწილეობას. მატჩის შემდეგ „ჯიკოს“ მთავარ მწვრთნელს და გუნდის წარმატებების შემოქმედს ნუგზარ მიქაძეს ვესაუბრეთ.

- ბატონო ნუგზარ, გილოცავთ ჩემპიონობას. ძალიან რთული ბრძოლა კი გადაგხდათ თავს.

- ხუთი პარტია გათამაშდა და ყველა მათგანი საინტერესო იყო. სპორტსკოლის სახით ძლიერი მეტოქე გვყავდა. პერსპექტიული, მაღალი გოგონები არიან და მწვრთნელის ხელიც ეტყობათ. დღეს ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს, მაგრამ საბოლოოდ ჩვენმა გამოცდილებამ გადაძალა და ზედიზედ მეექვსედ გავხდით ჩემპიონები. ძალიან ბედნიერები ვართ, რადგანაც ასეთი წარმატებების მიღწევა ადვილი არ არის, როდესაც სოფლის ერთი გუნდი ეთამაშება თბილისის ნაკრებს, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრებიცაა.

- ადრე ერთი ამოსუნთქვით ხდებოდით ჩემპიონები, წელს კი გამარჯვება ძალიან გაგიჭირდათ, თქვენი აზრით რა იყო ამის მიზეზი?

- ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას უფრო მეტი ფასი აქვს. დღეს ფრენბურთში ძალიან იშვიათია, თამაში ორსაათნახევარი რომ გაგრძელდეს. ფაქტობრივად, ბოლო მომენტამდე არ იყო გარკვეული ჩემპიონის ბედი, დარბაზში მყოფნი კმაყოფილნი დარჩნენ, რადგანაც იხილეს შედარებით მაღალი დონის ფრენბურთი. დღევანდელი მატჩით ქართულმა ფრენბურთმა მოიგო. ფინალამდე ახლადაც ერთი ამოსუნქვით მივედით, აქ კი სპორტსკოლის სახით მართლაც ღირსეული მეტოქე გვყავდა. როცა თანაბარი გუნდები თამაშობენ, ფსიქოლოგიურ განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა გულშემატკივარმა. დღეს თითქმის მთელი სოფელი ესწრებოდა მატჩს. სამი გოგონა ტრავმირებული თამაშობდა და ამიტომაც გაგვიჭირდა, მაგრამ მეტოქეს გამოცდილებით ვაჯობეთ. ჩვენს გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშეს გუნდის ლიდერებმა ნათია არველაძემ, ნელი აირაპეტიანმა, ნათია დავითულიანმა, ნონა ღვინჯილიამ და თიკო მიქაძემ.

- სპორტსკოლის გუნდი 16-17 წლის გოგონებითაა დაკომპლექტებული და ერთ წელიწადში უფრო მოუმატებს. თქვენც ალბათ, მომავალი ჩემპიონატისთვის აქედანვე დაიწყებთ მზადებას.

- შეუძლებელია, ყოველთვის პირველ ადგილზე დარჩე. მოვა ისეთი დრო, როცა სხვა გახდება ჩემპიონი. დღეს რომ ვერ მოგვეგო, გოგონებს მაინც მადლობას ვეტყოდი, რადგანაც მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ.

ამ გამარჯვებით ევროპის საკლუბო ტურნირზე ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთ. მოწვევა გვაქვს აზერბაიჯანიდანაც - იქაურმა კლუბებმა ჩვენთან ამხანაგურად გაჯიბრების სურვილი გამოთქვეს. თუ ფინანსები გამოჩნდა, ევროტურნირზე ვიასპარეზებთ. მოსაწესრიგებელია „ჯიკოს“ დარბაზი - როცა გუნდი ექვსჯერ ხდება ჩემპიონი, ნამდვილად უკეთეს სათამაშო გარემოს იმსახურებს. ვნახოთ, ამ საქმეებში რაიონის გამგეობის დახმარების იმედი გვაქვს.

დავით კუხარეიძე
 დიდი ჯიხაიშიდან

ჩოგბურთი

იან ჰომერი კვლავ გეპატიჟებათ

დავით ლანჩავა

ერთი თვეც არ არის გასული, რაც იან ჰომერის სახელობის დიღმის საჩოგბურთო კორტებზე ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ტურნირი ჩატარდა. "პეჟოს" პატრონაჟით გამართულმა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მსურველთა რაოდენობა მოულოდნელად იმაზე იყო, ვიდრე ელოდნენ. ტურნირის მოთავე კომპანია "ქართული ჩოგბურთი" იყო, ამ კომპანიის პრეზიდენტ დავით ლანჩავას თაოსნობითვე შეიქმნა ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაცია.

"ქართულ ჩოგბურთს" და ახალშექმნილ ფედერაციას სერიოზული მიზნები აქვთ და ამის დასტურად, ხვალ პირველად საქართველოს ჩოგბურთის ისტორიაში დაიწყება საქართველოს ჩემპიონატი ვეტერანთა და მოყვარულთა შორს. გვესაუბრება დავით ლანჩავა.

- "პეჟოს" თასის გათამაშების დროს ჩვენ მოვუწოდეთ ყველას, აქტიურად ჩაებას სპორტში და ცხოვრების ჯანსაღ წესს მიანიჭოს უპირატესობა. თუკი მასობრიობა არ იქნა, თუკი მშობლებმა არ მისცეს მაგალითი ბავშვებს, ისე ვერც ჩოგბურთი განვითარდება და ვერც ქუჩას მოვწყვეტთ ახალგაზრდობას. ვფიქრობ, ჩოგნის ქნევა სჯობს დანის ქნევას.

ჩვენ სისტემატურად ვგეგმავთ სამოყვარულო ტურნირების ჩატარებას და ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს მსურველთ. ამჟამინდელი ტურნირი დასაწყისი იქნება მეტად საინტერესო საჩოგბურთო მარათონისა, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატი ჰქვია. ყოველი თვის ბოლოს გავმართავთ ტურნირს, სადაც მონაწილეებს მიენიჭებათ რეიტინგები, დაუწერებათ ქულები და ოქტომბრის თვეში, ფინალურ ტურნირში 8 საუკეთესო შეხვდება ერთმანეთს. ეს სისტემა ძალიან წააგავს "მასტერსის" სისტემას და ფინალურ შეჯიბრებასაც სწორედ ასე დაერქმევა - "მასტერსის ფინალური ტურნირი".

ჩოგბურთის გაიაფებასაც ვცდილობთ - სახელმწიფოს შევთავაზებთ პროექტს, სადაც ჩვენი მიზნები და ამოცანები წვრილად იქნება განხილული და სახელმწიფოს მხარდაჭერაც აუცილებლად გვექნება. ხელისუფლება ახლაც გვიდგას მხარში და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ისე უნდა წარვმართოთ საქმიანობა და სახელმწიფოსთან ურთიერთობა, რომ ნებისმიერ წამოწყებას ერთჯერადი ხასიათი არ მიეცეს, სახელმწიფო სტაბილურობის გარანტი გახდეს.

- სპორტის გაიაფება ახსენეთ, ამჯერადაც უფასოდ დაეთმობათ მონაწილეებს კორტები?

- უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერთან ერთად, აუცილებელია ჩოგბურთში მოღვაწემ საჩოგბურთო კულტურაც იცოდეს. ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ტურნირზე დაწესებულია სიმბოლური გადასახადი, რომელიც სულაც არ არის გათვალისწინებული, როგორც შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება. ეს ელემენტარული დაფასებაა იმ ხალხის, ვინც ორგანიზებას უკეთებს ტურნირს. ეს მცირე თანხა მსაჯების და მომსახურე პერსონალის გარჯის ანაზღაურებას მოხმარდება. ჩვენ ერთეულთა ტურნირისთვის 20 ლარი დავაწესეთ, წყვილთა შორის კი თითოეული წევრი 10 ლარს გადაიხდის. თუ ორივე ტურნირში ისურვებთ გამოსვლას, ეს სიამოვნება 30 ლარი დაგიჯდებათ. დამეთანხმებით, ძვირი არაა.

- საქართველოს ჩემპიონატის ჩათვლაში რომელი ტურნირები შევა და რა ელით გამარჯვებულებს?

- ივნისში ტრადიციულ ტურნირს "რენას თასს" ვატარებთ. ადრე ეს ტურნირი "დინამოს" კორტებზე იმართებოდა. აღსანიშნავია, რომ "რენას თასი" საერთაშორისო მასშტაბის იქნება და მისი მნიშვნელობაც უფრო იზრდება. ივლისში "ბაბოლატის" თასის გათამაშებას მოვაწყობთ. პარალელურად 18-წლამდელთა ტურნირს ჩავატარებთ, რომელიც საერთაშორისო ჩოგბურთის ფედერაციის (ITF) ეგიდით გაიმართება და უპრეცედენტო მოვლენაა საქართველოსთვის. სექტემბრისთვის ბევრ სპონსორს სურს სახელობითი ტურნირი გამართვა და ვნახოთ, რა გამოვა. ოქტომბერში დამაგვირგვინებელი ტურნირი - "მასტერსი" გაიმართება.

გამარჯვებულებისთვის პრიზები გვაქვს დაწესებული, თუმცა მთავარი ჯილდო ალბათ მაინც მედლები იქნება, რომელთა ხარისხი ძალიან მაღალი უნდა იყოს - ეროვნული ზარაფხანა გვიმზადებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს.

ზვიად შათირიშვილი



გეორ-გია წინ მიიწევს

გეორ-გია და საქა-რთველო

ქართული წყვილი **გეორ-გია** მსოფლიო ტურში წარმატებით ასპარეზობას განაგრძობს. ჩვენმა ფრენბურთელებმა მორიგ ეტაპზე, იტალიის ქალაქ როსეტოში, შეჯიბრი კვალიფიკაციიდან დაიწყეს და ძირითად ბადეში გააღწიეს.

პირველ შეხვედრაში **გეორ-გიამ**, რომელიც კვალიფიკაციაში მეორე ნომრად იყო განთესილი, 31-ე წყვილი, ესპანელები **მარკოსი** და **ხავირა** დაამარცხა 2:0 (21:15, 21:14). მომდევნო შეხვედრაში, რომელიც ძირითად ბადეში გამსვლელი იყო, ჩვენებს საგრძნობლად გაუჭირდათ. მეტოქე კარგად ნაცნობი ლატვიური წყვილი, **იანის სმედინსი-პიტერ სმედინსი** იყო. ლატვიელებმა წლევანდელი მსოფლიო ტურის პირველ ეტაპზე, შანხაიში ერთხელ უკვე შეძლეს გეორ-გიას ძირითადი ბადის მიღმა დატოვება. ამჯერად ქართულმა დუეტმა იმარჯვა 2:1 (13:21, 23:21, 15:8).

ძირითადი ბადის პირველ შეხვედრაში ესტონელების, **კაისისა** და **ვესიკის** დასამარცხებლად გეორ-გიას სამი პარტია დასჭირდა. 2:1 (14:21, 23:21, 18:16). მომდევნო მატჩში ჩვენი მეტოქე ტურნირის ფავორიტი, მეორე ნომრად განთესილი, გერმანული **ბრინკისა** და **დიკმანის** დუეტი იქნება.

ქალები სინგაპურში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ქართული წყვილი **საქა-რთველო** ტურნირში ვაილდ ქარდით, პირდაპირ ძირითად ბადეში იყო დაშვებული. სამწუხაროდ, ჩვენმა ფრენბურთელებმა ზედიზედ ორი მარცხი იწვნიეს და გათამაშებას გამოეთიშნენ.

საქა-რთველომ ჯერ გერმანულ დუეტთან **პოლჰსა** და **რაუსთან** წააგო 0:2 (15:21, 19:21). მერე კი ბერძნებთან **კუტრუმანიდუსა** და **ციარციანისთან** ვერას გახდა 0:2 (16:21, 15:21). საქა-რთველო 25-ე ადგილს დასჯერდა, რეიტინგში 60 ქულა მიითვალა და 2 ათასი დოლარიც მიიღო.

ბესიკ ჯანგავაძე

ბოქსი

თბილისის ოლიმპიური თავკაცი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის ორგანიზაციას ბოლო წლებში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **გიორგი უდესიანი** ხელმძღვანელობდა. ამიერიდან ოლიმპიურ თბილისს ახალი თავკაცი ჰყავს - **გიორგი მელაძე**. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამ ორგანიზაციის აღმასკომმა. გიორგი მელაძის ძირითადი სამუშაო ადგილი თბილისის მერიაა, სადაც მას ვიცე-მერის თანამდებობა უკავია. გუშინ გიორგი მელაძე სეოკ-ის აღმასკომმა თავის წევრადაც აირჩია

თეჰილი

სიმონ ჯაფარიძე. 25.05.1896, ხრეითი, ჭიათურა - 27.08.1929, მწვრთნელი თეთნულდი. ალპინიზმი. ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილების უფროსი (1926-28). მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ქართველ ალპინისტთა პირველი ასვლა იალბუზზე (1925), ანდირჩსა და კურმიჩზე (1927). მყინვარწვერზე აღმოაჩინა (1927) ახალი, ყველაზე უხიფათო გზა - გერგეტის მყინვარის გავლით, რომელსაც "სიმონ ჯაფარიძის გზა" ეწოდება. ხელმძღვანელობდა 41-კაციან კინოექსპედიციას მყინვარწვერზე. ამავე მწვერვალზე დადგა მეტეოროლოგიური ჯიგური თვითმწერი ხელსაწყოებით და ჩაატარა პირველი დაკვირვებები ტემპერატურის ცვალებადობაზე. მისი სახელი მიენიჭა ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურს და მწვერვალს კავკასიონზე.

ბოქსი

ბოგოლაძე ჩემპიონის ტიტულისთვის

7 ივლისს კარდიფში გაიმართება ბრძოლა WBO ვერსიით ზემსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის ქამრისთვის. ქართველი პროფესიონალი მოკრივე **კობა გოგოლაძე** შოტლანდიელ **ალექს არტურს** შეხვდება. ორივე მოკრივეს კარიერაში მხოლოდ ერთი მარცხი აქვს განცდილი, თუმცა ბრიტანული პრესა არტურს ბრძოლის აშკარა ფავორიტად მიიჩნევს.

უქამროდ და უნოკაუტოდ

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციამ გუშინ მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გამართა. არ გათამაშებულა საქართველოს ბოლო ქამარი (79 კილოგრამში), რომელსაც, სავარაუდოდ, ორ კვირაში გამოუჩნდება პატრონი.

რინგზე პირველად გამოვიდა **ჯუმბერ ბასილაძისა** და **გიორგი ხალიკალიანის** (72 კგ) წყვილი. საკმაოდ ტემპიან ჩხუბში, ოდნავი უპირატესობა ზალიკალიანს ჰქონდა, რომელმაც ოთხ რაუნდში, ქულებით მოიგო. შემდეგი იყო **ხვიჩა პაპიაშვილისა** და **კახა ავეტისიანის** (54 კგ) დუელი. ექვსი რაუნდის განმავლობაში, მოკრივეებმა ბევრი კი ურტყეს ერთმანეთს, მაგრამ გამარჯვებას ვერცერთმა მიაღწია და დაფიქსირდა ფრე. ბოლო ორი შეხვედრა შედგა 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში. **ნოდარ ცხოვრებაძე – ბექა საჯაიას** დაპირისპირება დაძაბულად კი წარიმართა, მაგრამ ნაკლებად სანახაობრივი გამოდგა. ცოტა არ იყოს, ჩახუთულ დარბაზში მოკრივეებს სუნთქვა უჭირდათ და ბოლო რაუნდებში ორივეს ერთი სული ჰქონდა, მალე ჩამოსულიყო რინგიდან. საბოლოოდ, რვარაუნდიან ჯახში ოდნავი უპირატესობით გაიმარჯვა საჯაიამ.

რაც შეეხება **უშანგი რურუასა** და **ნუგზარ მარგველაშვილის** ჩხუბს, არც ეს შეხვედრა შეწყვეტილა ვადამდე - ექვს რაუნდში მარგველაშვილმა ქულებით მოიგო.

კობა ხატისაშვილი

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა

ჩორტიოზნაელიდან სუპერფინალამდე

დასრულდა საქართველოს მე-17 ჩემპიონატი. დასრულდა ისე, როგორსაც კარგა ხანია ველოდით. აღარც გვახსოვს, ბოლოს როდის გაუჭირდა ან უკვე ქვეყნის 17-გზის ჩემპიონს, წლეულს სტუ-"თელავად" გადანათლულ სტუ-"შევარდენს" ტიტულის დაცვა. ჩემპიონის ასეთ დრამატულ ვითარებაში გამოვლენა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჩვენმა ხელბურთმა წინ გადადგა ნაბიჯი, მოდით, ერთად გადავხედოთ განვლილ სეზონს.

ჩორტიოზნაელ...

წლევანდელი ჩემპიონატი ისე დაიწყო, ჩვენი ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობა ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც რომ ვერ ნახავდა. ერთმანეთის მიყოლებით იშლებოდა მატჩები, კლუბები ვერ იხდიდნენ ელემენტარულ სანევრო თანხას (640 ლარს) და ვერ აწესრიგებდნენ დოკუმენტაციას. მეორე წრეში კი ჩემპიონატი საერთოდ შეწყდა და გაურკვეველი ვადით გადაიდო. პესიმისტები იმასაც კი ეჭვობდნენ, რომ შეჯიბრება აღარ განახლდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ჩაშლილი მატჩის შემდეგ, მცირე კურიოზი შემემთხვა. მივედი რედაქციაში, ცხელ გულზე დავიწყე სტატიის წერა და სათაურის მოფიქრება გამიჭირდა. ავდექი და "ჩორტიოზნაეტ" მივაწერე - იმ იმედით, რომ მოგვიანებით მოვიფიქრებდი რამეს. თუმცა, ვერაფერიც ვერ მოვიფიქრე და ეს სათაური დარჩა, ვინაიდან ეს სიტყვა ყველაზე კარგად შეესატყვისებოდა მაშინდელ ვითარებას.

ნაარდადეგევს

გარკვეული აჟიოტაჟი მოჰყვა ჩემპიონატის განახლებასაც. რამდენიმე კლუბი ჩიოდა – ისე ანახლებენ პირველობას, რომ ამას გაზეთებიდან ვიგებთო. თუმცა, ხელბურთის ასოციაცია საპირისპიროს ამტკიცებდა. ისე გამოდიოდა, რომ ეროვნულ ჩემპიონატს კიდევ ერთხელ დაემუქრა ჩიხში შესვლა, მაგრამ, საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. სწორედ ამის შემდეგ დაემსგავსა ჩემპიონატი ჩემპიონატს.

კლუბები

სტუ-"შევარდენმა" ამ სახელით დაიწყო მე-17 ჩემპიონატი და სტუ-"თელავით" დაამთავრა. როგორც ყოველთვის, ქართული ხელბურთის ფლაგმანს ამჯერადაც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა და ჩემპიონობის გარდა, სხვა შედეგის გაგონებაც არ სურდა. დაძაბულ ბრძოლაში, "ტექნიკოსებმა" ამჯერადაც კი მიაღწიეს სანადელს, მაგრამ გუნდის თავკაცმა **ირაკლი კეკელიძემ** ფინალების შემდეგ მაინც დაიწუწუნა – ისე ვამთავრებთ ჩემპიონატს, ოპტიმალურ ფორმაში ვერ შევედითო.

წლეულს საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა "თბილისი". სწორედ ამ გუნდის დამსახურებაა, რომ ჩემპიონატში მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ გაჩნდა რეალური კონკურენცია. **მამუკა მჟავანაძემ** შეკრიბა ის შემადგენლობა, რომლითაც მთელი სეზონის განმავლობაში სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა სტუ-"შევარდენი-თელავს". ჩემპიონატის დასრულებამდე 23 წამით ადრე, "თბილისი" ოქროს მედლისთვის საკმარისი ანგარიშითაც უგებდა უშუალო კონკურენტს, მაგრამ ბოლო წამებზე გაუფრინდა ხელიდან სანუკვარი ტიტული. ისე, მჟავანაძის გუნდი გვარიანად დააღალატა ტრავმიანობამ, რის გამოც გუნდის რამდენიმე წამყვან ხელბურთელს დიდი ხანი გაუცდა და დასკვნით ეტაპს სათანადო ფორმაში ვერ შეხვდა.

შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ "ქარიშხალასგან" წლეულს აჩრდილიღა იყო დარჩენილი. მართალია, გლდანურ კლუბში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა თამაშობდა, მაგრამ სეზონის წინ 6 წამყვანი ხელბურთელისა და მთავარი მწვრთნელის სტუ-"თელავში" გადასვლამ "ქარიშხალა" მხოლოდ ბრინჯაომდე მიიყვანა. არადა, შარშანდელი შემადგენლობა რომ შეენარჩუნებინა, წლეულს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ქარიშხალაც" რეალურად ჩაერთვებოდა და ჩემპიონატი უფრო დაძაბულად წარიმართებოდა.

"იმედს" დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ჩემპიონატში. "თბილისის" ფარმკლუბი ძირითადად, "ქარიშხალასა" და "მამულს" ებრძოდა, რეგულარულ ჩემპიონატში მესამე ადგილიც დაიკავა, მაგრამ მესამე ადგილისთვის გასამართ ფლეი ოფებში "ქარიშხალას" ვერაფერი მოუხერხა და დამარცხდა.

წლევანდელი ჩემპიონატი ასლო წარსულში ჩემპიონობისთვის მებრძოლი "მამულისთვის" აგონია იყო. ამ გუნდმა არსებობის ისტორიაში პირველად, ჩემპიონატი ისე დაასრულა, რომ ერთი ქულაც ვერ აიღო. აკი, თქვა კიდეც დანანებით "მამულის" თავკაცმა **რეზო ჭანტურიამ** – ამ შემადგენლობით საერთოდ არ უნდა გამოვსულიყავით ჩემპიონატშიო და ბოლო ტურში თამაშზე უარი თქვა.

რაოდენობა და სისტემა

ხუთგუნდიანი ეროვნული ჩემპიონატი თავისთავად მეტყველებს შეჯიბრებისა და საერთოდ, ქართული ხელბურთის რეგრესზე. ორიოდე წლის წინათ, გვქონდა ათგუნდიანი ჩემპიონატი. ის გუნდები რომ შეგვენარჩუნებინა, ახლა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ იმ ათი გუნდიდან თითქმის ნახევარი ე.წ. ხელოვნურად შექმნილი, ანუ უფულო იყო, რომლებშიც ან ძალიან ახალგაზრდა ხელბურთელები თამაშობდნენ, ან ვეტერანები. ქვეყანაში, სადაც პანტა-პუნტით იშლებიან "სახელმწიფი პატრონაჟის ქვეშ მყოფი" ფეხბურთისა და კალათბურთის კლუბები, რა გასაკვირია, რომ ხელბურთშიც არ ჩანან ფულის დამხარჯავი ადამიანები...

რაც შეეხება წლევანდელი ჩემპიონატის სისტემას, აქამდეც ვთქვით და კვლავ იმ აზრზე ვართ, რომ საჩემპიონო ფლეი ოფის ორ მატჩად ჩატარება შეცდომა იყო. ჩემპიონი უნდა გამოვლენილიყო ან უფლეიოფოდ, ანდა ფლეი ოფში ჩემპიონის ბედი უნდა გადაეწყვიტა ორ მოგებას და არა ბურთების სხვაობას. ამას გარდა, ჩატარდებოდა კიდევ ერთი სუპერფინალური მატჩი, რომელსაც წინა ორზე გაცილებით დიდი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა. მე თქვენ გეტყვით და ყოველდღე ვნახულობთ ამ დონის შეხვედრებს...

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და განმეორებით ფინალურ მატჩში სკანდალსაც ვერ ავცდით.

მეკარეების ჩემპიონატი

ცალკეული ხელბურთელებიდან, მთლად სასწაულები არავის ჩაუდენია, მაგრამ ჩემპიონატს მაინც ჰყავდა გამორჩეული მოთამაშეები. ახლა ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ისეც არ გვინდა, ვინმე გამოგვრჩეს და უნებლიედ, ვაწყენინოთ. ამიტომ, მხოლოდ მეკარეებს გამოვყოფთ, რისი საფუძველიც ნამდვილად გვაქვს. წლევანდელ ჩემპიონატს პირობითად, შეგვიძლია "მეკარეების ჩემპიონატი" დავარქვათ. ხუთივე კლუბს ჰყავდა საკმაოდ საიმედო გოლკიპერი, რომლებიც, ფაქტობრივად, თამაშს არ აგდებდნენ. სტუ-"თელავში" **გაგა სამყურაშვილი** ბრწყინავდა, "თბილისში" ერთბაშად ორი გოლკიპერი – **კორნელი ანდრიაძე** და **გაგა სეთურიძე** წარმატებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს "იმედში" **ალექსანდრე გონჩაროვი** იდგა კედელივით, "ქარიშხალადან" **გიგა ტორონჯაძე** გვაოცებდა, ხოლო "მამულში" **ალექსანდრე ხონელიძე** იგერიებდა ბურთებს პანტა-პუნტით.

თითქმის ყველა მატჩში, ვადგენდი მეკარეთა თამაშის სტატისტიკას და საბოლოოდ, ასეთი სურათი მივიღე: თითოეული მეკარე მატჩში იგერიებდა საშუალოდ 15 დარტყმას და 1 პენალტს. ამას გარდა, არც მეკარეთა მიერ გატანილი გოლები იყო იშვიათობა.

ევროსარკე

რაც უნდა კარგად ითამაშონ მეკარეებმა და მოედნის მოთამაშეებმა, რაც უნდა დაძაბულ მატჩებში ვლინდებოდნენ ქვეყნის ჩემპიონები, კლუბების სიძლიერის რეალური საზომი მაინც ევროთასებია. სამწუხაროდ, წინა წლებში, ამ მხრივ დასაკვეხნი არაფერი გვაქვს. თითქმის ყველა სეზონში, ჩვენი გუნდები პირველსავე ეტაპზე ეთხოვებიან ევროთასებს. ამასთან, იმდენი საშუალებაც არ აქვთ, რომ საშინაო მატჩები საქართველოში ჩაატარონ და ფულის დაზოგვის მიზნით, ყველა შეხვედრას მეტოქის მოედანზე მართავენ. ამით ისედაც მცირე შანსს მთლად იუარესებენ და გამანადგურებელი ანგარიშებით აგებენ. წლეულს, ევროპაში ალბათ ითამაშებენ სტუ-"შევარდენი" და "თბილისი", ჩემპიონები კი ამ საკიხს მალე გადაწყვეტენ. "თბილისი" ნავსის გატეხვასაც აპირებს. როგორც მამუკა მჟავანაძემ გვითხრა, წლეულს ევროთასების საშინაო მატჩის ჩატარებას საქართველოში გეგმავენ. თბილისში ასეთი დონის შეხვედრისთვის მხოლოდ სპორტის სასახლე გამოდგება და ისიც რეკონსტრუქციის გამო, იმ დროისთვის ან მზად არ იქნება, ანდა "თბილისი" იჯარის თანხას ვერ შეწვდება. ამიტომაც, უფრი სავარაუდოა, რომ ევროთასების საშინაო მატჩი მჟავანაძის გუნდმა ქუთაისში ჩაატაროს, სადაც სტანდარტული ხელბურთის მოედნის მშენებლობა სრულდება.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

მაკა ჩახნაშვილი

მარცხი სავაისთან

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** დიდი სლემის ტურნირში პირველ გამარჯვებას სასტიკი მარცხი მიაყოლა. მაკამ კარიერაში პირველად მოიგო როლან გაროსის საკვალიფიკაციო წრეში, გუშინ კი მეორე წრეში შეხვდა 18 წლის უნგრელ **აგნეშ სავაის** (101), რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია, გასულ კვირაში უნგრელმა საფრანგეთში სენ გოდენის ტურნირი მოიგო ერთეულებსა და წყვილებში. მაკამ 0:6, 2:6 წააგო. პირველი სეტი 17 წუთში დასრულდა, მაკამ 14 უნებლიე შეცდომა დაუშვა. სავაი როლან გაროსზე საკვალიფიკაციო ბადეში მესამე ნომრად განთესეს.

სტამბოლს დაემშვიდობა

ანა ტატიშვილი WTA ტურნირ სტამბოლის თასს (200 ათასი დოლარი) საბოლოოდ დაემშვიდობა. ანამ საკვალიფიკაციოდან ძირითად ბადეში გასვლა მოახერხა, სადაც ბელარუს **ეკატერინა ჟეპალევიჩთან** დამარცხდა. ამის შემდეგ ტატიშვილმა წყვილთა თანრიგში გააგრძელა ასპარეზობა, რუს **აფინოგენოვასთან** ერთად. პირველ წრეში აფინოგენოვა და ტატიშვილი **კასტილიოსა** და **უბეროის** წყვილთან დამარცხდა - 7:5, 3:6, 4:10.

ლაზარე ტროფეოზე

იტალიაში ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირი, იტალიის ღია პირველობა ახალგაზრდებს შორის ანუ "ტროფეო ბონფილიო" დაიწყო. ეს შეჯიბრება ახალგაზრდულ ასპარეზზე უმაღლესი, A კატეგორიის, დიდი სლემის ახალგაზრდული ტურნირებისა და "ორანჯ ბოულის" დარად, წლეულს, "ტროფეო ბონფილიო" 48-ედ იმართება. გოგონათა შორის მე-11 ნომრად იყო განთესილი მსოფლიოს 25-ე ჩოგანი ახალგაზრდებში **ოქსანა კალაშნიკოვა**. სამწუხაროდ, ჩვენებურმა პირველ წრეში წაგო ჩეხ **ანდრეა ბერკოვასთან** (67) - 6:4, 5:7, 3:6. კალაშნიკოვა რუმინელ **ირინა ბეგუსთან** ერთად წყვილთა თანრიგში მესამე ნომრად განთესეს, ისინი პირველ წრეში ისვენებდნენ.

ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილი** (55) განთესილთა შორის ვერ მოხვდა, პირველივე წრეში მე-11 ნომრად განთესილ მოლდოველ **რადუ ალბოტს** (14) შეხვდა. ლაზარემ საკმაოდ იოლად მოუგო ფავორიტს - 6:4, 6:2. მეორე წრეში ლაზარეს მეტოქე "უაილდ ქარდის" მფლობელი იტალიელი **დანიელე პილუდუ** იყო, კუხალაშვილმა კვლავ ორ სეტში მოიგო, თანაც იმავე ანგარიშით, როგორც პირველ წრეში - 6:4, 6:2. მერვედფინალში ლაზარეს მეტოქე პორტუგალიელი **გასტაუ ელიაში** (39) იქნება. სხვათა შორის, "ტროფეო ბონფილიო" ერთხელ უკვე მოიგო ქართველმა ჩოგბურთელმა, 1993 წელს ეს **ნინო ლუარსაბიშვილმა** შეძლო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

იოკოძუნა ორი იქნება

ნაცუ ბაშო

მაისის სუპერტურნირი

13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

XII დღე: კოკაი-კაკიძოე 1:0, ჩიოტაიკაი-ასაშორიუ 1:0, ჰაკუჰო-კოტოოშუ 1:0, ამინიშიკი-კაიო 1:0, ამა-კისენოსატო 1:0, კოტომიცუკი-ტაკეკაძე 1:0, კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი 1:0, ტოიონოშიმა-ტამანოშიმა 1:0, ტოკიტენკუ-ჰომაშო 1:0, ტაკამისაკარი-კაკურიუ 1:0, ვაკანოსატო-სატოიამა 1:0, ასასეკირიუ-ფუტენო 1:0, მიაბიამა-ჰოკუტორიკი 1:0, როპო-ჰოჩიამა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 12-0: ჰაკუჰო (ოძეკი); 10-2: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ასასეკირიუ (მაეგაშირა 8), დეჯიმა (მ 10); 9-3: ფუტენო (მ 13); .. 3-9: კოკაი (მ 2).

XIII დღე: კოკაი-ტამანოშიმა, ასაშორიუკაიო, ჰაკუჰო-კოტომიცუკი, კოტოოშუ-ჩიოტაიკაი, ამა-ტოკიტენკუ, კისენოსატო-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე, ჰომაშო-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-ასასეკირიუ, ტამაკასუგა-კაკურიუ, დეჯიმა-ტაკამისაკარი, ვაკანოსატო-ტოჩინონადა, როპო-ჰოკუტორიკი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

NBA. სამწვრთნელო ამგები

ადელმანმა ჰიუსტონი ჩაიბარა

ამ დღეებში, საინტერესო სამწვრთნელო გადაადგილებებს ჰქონდა ადგილი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში.

დავიწყოთ იმით, რომ გაირკვა "ჰიუსტონ როკეტსის" ახალი მწვრთნელის ვინაობა. ამ პოსტიდან განთავისუფლებული **ჯეფ ვან განდის** ადგილი, არანაკლებ გამოცდილმა **რიკ ადელმანმა** დაიკავა.

კონტრაქტის დეტალებს უახლოეს დღეებში გაახმაურებენ. 60 წლის ადელმანი "საკრამენტოს", "პორტლენდისა" და "გოლდენ სტეიტის" ყოფილი დამრიგებელი გახლავთ. მას 14-ჯერ გაუყვანია თავისი გუნდები ფლეი ოფში, სულ კი, NBA-ში რიკის ანგარიშზე 752 მოგება და 481 მარცხია.

ადელმანმა "ჰიუსტონში" ჯეფ ვან განდის ოთხწლიანი მოღვაწეობისას ჩამოყალიბებულ უსიამოვნო ტრადიციას უნდა მოუღოს ბოლო. "როკეტსი" ზედიზედ ოთხი წელიწადი გადიოდა ფლეი ოფში, მაგრამ პირველი ეტაპის ბარიერს ვერა და ვერ სცილდებოდა. წლეულს, "ჰიუსტონმა" რეგულარული ჩემპიონატი ბოლო 10 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგით (52 მოგება - 30 წაგება) დაასრულა, მაგრამ ფლეი ოფის პირველ წრეში "იუტასთან" დამარცხდა.

ადელმანი საკმაოდ კარგად დაკომპლექტებულ გუნდში მივიდა. სპეციალისტთა შეფასებით, ჩინელი ცენტრი - **იაო მინი** თამაშის მანერით ლეგენდარულ სერბ **ვლადო დივაცს** ჰგავს, რომელსაც "როკეტსის" ახალი მწვრთნელი "საკმარენტოში" ავარჯიშებდა, გუნდის მეორე ლიდერი - **ტრეისი მაკგრეიდი** კი, **კლაიდ დრექსლერს** მოგვაგონებს. ამ კალათბურთელთან თანამშრომლობით ადელმანმა 90-იან წლებში, "პორტლენდი" ორჯერ გაიყვანა ფლეი ოფის ფინალში.

■ ■ ■

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ხელმძღვანელობამ "ჰიუსტონს" არ მიბაძა და მუშაობის გაგრძელების საშუალება მისცა **რენდი უიტმენს** - ამ სპეციალისტს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

უიტმენი ამა წლის იანვარში, სეზონის მსვლელობისას ჩაუდგა სათავეში "მგლებს". მან ამ პოსტზე **დუეინ კეისი** შეცვალა, რომელმაც რეგულარულის საწყის 40 მატჩში 20 წააგო და სწორედ ეს გახდა მისი დათხოვნის მიზეზი.

რენდიმ სასწაული ვერ მოახდინა და "მინესოტა" ფლეი ოფში ვერ გაიყვანა (სხვათა შორის, ეს ამ გუნდის ზედიზედ მესამე წარუმატებელი სეზონი იყო). მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელები უიტმენს ენდნენ და საგაისოდ გუნდის მომზადება დაავალეს.

უიტმენისთვის "მინესოტა" მეორე კლუბია NBA-ში. 1999-2001 წლებში, ის "კლივლენდ კავალიერზს" ავარჯიშებდა და ამ გუნდში მოღვაწეობა უარყოფითი ბალანსით დაასრულა - 62 მოგება და 102 წაგება.

■ ■ ■

მწვრთნელის გარეშე დარჩა "ორლანდო მეჯიქი". ჯერჯერობით გაურკვეველია - გაუშვეს თუ თავად გადადგა თანამდებობიდან **ბრაიან ჰილი**, მაგრამ ფაქტია, რომ გაისად ის გუნდს არ უხელმძღვანელებს.

"ძალიან ვაფასებთ ჰილის მიერ ჩატარებულ სამუშაოს და მზად ვართ, კლუბის სისტემაში რაიმე პოსტი შევთავაზოთ", - ასე, ბუნდოვანი სიტყვები წერია "ორლანდოს" მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ჰილმა "მეჯიქში" სამი წელიწადი იმუშავა, ორი სეზონი წააგო, მაგრამ წლეულს, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, გუნდი ფლეი ოფში გაიყვანა (40 მოგებითა და 42 წაგებით), სადაც "ორლანდომ" ოთხ მატჩში წააგო სერია "დეტროიტ პისტონზთან".

სხვათა შორის, სწორედ ჰილის სახელს უკავშირდება კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატება - 1995 წელს NBA-ის ფინალში თამაში.

"ორლანდოს" შემდეგ, ჰილი "მემფის გრიზლისის" მთავარი მწვრთნელიც იყო, მაგრამ იქ თითქმის სამწლიანი მოღვაწეობისას საშინელი შედეგი ჰქონდა - 31 მოგება და 123 წაგება.

■ ■ ■

კიდევ ერთი ახალი ამბავი ის არის, რომ თითქმის გადაწყდა "შარლოტ ბობკეტსში" **სემ ვინსენტის** დანიშვნა. მას შემდეგ, რაც **სემ მიტჩელმა** "ტორონტოსთან" გააგრძელა კონტრაქტი, ხოლო ადელმანი "ჰიუსტონში" დაინიშნა, კლუბის ხელმძღვანელებმა საბოლოო არჩევანი სწორედ ამ სპეციალისტზე შეაჩერეს.

გასულ სეზონში, ვინსენტი "დალას მავერიქსის" მთავარი მწვრთნელის - **ეიმერი ჯონსონის** ასისტენტად მუშაობდა, მანამდე კი ის უცნოეთში, კერძოდ სამხრეთ აფრიკაში, ჰოლანდიასა და საბერძნეთში მოღვაწეობდა. 2004 წელს კი, ნიგერიის ქალთა ნაკრებს ოლიმპიურ თამაშებზე ერთი მატჩი მოაგებინა.

ვინსენტი "შარლოტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ბერნი ბიკერსტაფს** შეცვლის. გამოუცდელი მწვრთნელი პირველივე სეზონში დიდი ზეწოლის ქვეშ იქნება. "შარლოტს" ლიგაში სამი სეზონი აქვს ნათამაშები. სადებიუტო წელს მან 18 თამაში მოიგო, მომდევნო სეზონში - 26, წლეულს კი, ამ რიცხვმა 33-ს მიაღწია. ასე რომ, ბიკერსტაფის ხელში, "ბობკეტსი" მაინც პროგრესს განიცდიდა და ახლა, ვინსენტმა წინამორბედის დაწყებული საქმე უნდა გააგრძელოს.

ცნობილია, რომ "ბობკეტსის" ერთ-ერთი მფლობელი, ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი** გახლავთ, რომელსაც ამბიციური გეგმები აქვს. ჯორდანს "ვაშინგტონში" არ გამოუვიდა დიდი გუნდის აშენება და ახლა იმ წარუმატებლობის გამოსწორება "შარლოტში" აქვს დაგეგმილი. ვნახოთ, გაამართლებს თუ არა მაიკლის იმედებს სემ ვინსენტი.



რიკ ადელმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიურანტი და ოდენი

ამერიკის ნაკრები

ოდენი და დიურანტი დრიმ თიმში

მაიკ კრუჟევსკის გუნდში იძულებითი ექსპერიმენტები იწყება

ამ ზაფხულს, ლას ვეგასში ამერიკის საკალათბურთო ჩემპიონატი გაიმართება, სადაც გუნდები პეკინის ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებენ.

წინა ნომრებში, რამდენიმე ინფორმაცია გაგაცანით იმ კალათბურთელების შესახებ, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, უარი განაცხადეს ამერიკის ნაკრებში თამაშზე. მორიგი ფორმაციის "დრიმ თიმის" მთავარი დანაკლისი, "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერის - **ლებრონ ჯეიმსის** არყოფნა იქნება. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ პირადი მიზეზების გამო, არ აპირებს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშს.

კალათბურთს სწავლა ამჯობინა "ფინიქს სანზის" ფორვარდმა **ამარე სტაუდმაიერმა** და მანაც შორს დაიჭირა თავი ნაკრებისგან, ხოლო კიდევ ერთმა მოთამაშემ - "დენვერ ნაგეტსის" ცენტრმა **მარკუს კემბიმ** ასე დაასაბუთა თავისი უარი - მინდა სეზონებს შორის დასვენების დროს, ოჯახთან მეტი დრო გავატაროო.

უფრო ადრე იყო ცნობილი, რომ ტრავმების გამო ნაკრებს ვერ დაეხმარებიან - **დუეინ უეიდი, პოლ პირსი** და **გილბერტ არენასი**.

ყველაფერი ამის გამო, ამერიკელთა დამრიგებელ **მაიკ კრუჟევსკის** შემადგენლობაში იძულებითი ცვლილებების განხორციელება უწევს.

გუშინ, ნაკრების ხელმძღვანელობამ მიწვევები გაუგზავნა შემდეგ მოთამაშეებს - **ჯეისონ კიდს, მაიკ მილერს, კარლოს ბუზერს, ტაისონ ჩენდლერს, ტაიშონ პრინსსა** და **დერონ უილიამსს**. ესენი NBA-ის მოთამაშეები არიან. მათ გარდა, ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება მიეცემა NCAA-ს ლიგის ორ ვარსკვლავს - 19 წლის ოჰაიოელ **გრეგ ოდენსა** და 18 წლის ტექსასელ - **კევინ დიურანტს**. ეს ის კალათბურთელები არიან, რომლებიც სავარაუდოდ, წლევანდელ დრაფტზე პირველი და მეორე ნომრები იქნებიან (ოღონდ რა მიმდევრობით, ჯერ უცნობია).

ნაკრების ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ გუნდში დაბრუნდებიან **კობი ბრაიანტი, მაიკლ რედი** და **ჩონსი ბილაპსი**, რომლებმაც შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში ვერ შეძლეს. შეგახსენებთ, რომ იაპონიაში "დრიმ თიმმა" ნახევარფინალი საბერძნეთთან წააგო და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა.

მოკლედ, მაიკ კრუჟევსკის დიდი თავსატეხი ელის საბოლოო, 12-კაციანი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად. ამერიკელები საწვრთნელ შეკრებას ივლისში დაიწყებენ, თავად საკვალიფიკაციო ტურნირი კი, 22 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გაგრძელდება.

მძლეოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

ოსაკაში კენიელებს ვარსკვლავები დააკლდებათ

მარათონულ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის ავტორი, კენიელი **პოლ ტერგატი** მონაწილეობას არ მიიღებს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც იაპონიის ქალაქი ოსაკა უმასპინძლებს. ტერგატის გარდა, ოსაკაში კიდევ რამდენიმე ძლიერი კენიელი მარათონელი არ წავა.

მათ შორის არიან ლონდონის მარათონის ჩემპიონი **მარტინ ლელი** და ბოსტონის მარათონის ჩემპიონი **რობერტ ჩერუიოტი**. სამივე მორბენალმა ამის შესახებ უკვე აუწყა კენიის მძლეოსნობის ფედერაციას და გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ აგვისტოში, როცა ოსაკა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, ისინი სხვა ტურნირებზე იასპარეზებენ.

"ჩვენ ყველა ძლიერ მორბენალს მივმართეთ, მაგრამ მათ გვითხრეს, რომ სხვა ტურნირების ორგანიზატორებთან აქვთ კონტრაქტები და ამიტომ, ოსაკაში ვერ წამოვლენ. ჩვენ გვესმის მათი. ამავდროულად, გარწმუნებთ, რომ მათ გარეშეც, მსოფლიო ჩემპიონატზე ძალიან ძლიერ გუნდს გამოვიყვანთ", - განაცხადა კენიის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დევიდ ოკეიომ**.

ზემოთ ნახსენები მორბენლების გარდა, კენიელთა გუნდი კიდევ რამდენიმე ძლიერ მარათონელს მოისაკლისებს. მათ შორისაა **ფელიქს ლიმო**, ვინც შარშან მოიგო ლონდონის მარათონი, წლეულს კი ამავე რბოლაში მესამე ადგილი დაიკავა. ოსაკაში არც როტერდამის მარათონის ჩემპიონი **ჯოშუა ჩელანგა** იქნება.

სამაგიეროდ, გუნდის წინასწარ განაცხადში შეყვანილნი არიან ტოკიოს მარათონის ჩემპიონი **დანიელ ნიენგა** და ვენის მარათონის ჩემპიონი **ლუკ კიბეტი**. გაცილებით უკეთესადაა საქმე ქალ მარათონელთა მხრივ. ნაკრებში ასპარეზობის სურვილი გამოთქვა ბოსტონის მარათონის ოთხგზის ჩემპიონმა **კატერინ ნდებერამ**. მის გარდა, ოსაკაში იასპარეზებენ ბოსტონის მარათონის შარშანდელი ჩემპიონი **რიტა ჯეპტოო** და ქროსის მოკლე დისტანციაზე მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ედიტ მასაი**.

მერაბ ლორთქიფანიძე

პოლ ტერგატი

ჩოგბურთი

ტურნირები

ATP

მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური

დიუსელდორფი (გერმანია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 1 500 000 ევრო

ლურჯი ჯგუფი

ესპანეთი-გერმანია 2:1

1:0 **დავიდ ფერერი**-ფილიპ კოლშრაიბერი 6:3, 7:5; 2:0 **ნიკოლას ალმაგრო**-ფლორიან მაიერი 6:4, 6:4; 2:1 ალმაგრო/სალვა ვიდალი-**კოლმანი/ვასკე** 6:7(3), 3:6.

ჩეხეთი-ბელგია 2:1

1:0 **ტომას ბერდიჩი**-ოლივიე რობუსი 6:3, 6:0; 2:0 **იან ჰიაეკი**-კრისტოფ ვლიეგენი 7:6(7), 6:4; 2:1 **ბერდიჩი/დამი**-დარცისი/ო. რობუსი 4:6, 6:3, 7:10.

სატურნირო მდგომარეობა: 1. **ჩეხეთი** - 2 მოგება/0 წაგება; 2. **ესპანეთი** - 1/1; 2. **გერმანია** - 1/1; 4. **ბელგია** - 0/2.

The Hypo Group Tennis 07

პორტშახი (ავსტრია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

1/8 ფინალი

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1)-ნიკოლას ლაპენტი 6:4, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 2)**-კრისტიან პლესი (დან) 6:4, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 4)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:4; **გაელ მონფილი (საფ)**-ჰიუნგ ტაიკ ლი (კორ, 7) 7:6 (5), 6:4; **ხუან მონაკო (არგ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:3, 6:1; **დიეგო ჰარტფილდი (არგ)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:4, 7:6 (5).

1/4 ფინალში ხვედებიან

დავიდენკო (1)-მონაკო; ორნა-მონტენეგროელი; ჰიუიტი (4)-ჰარტფილდი; როდიკი (2)-მონფილსი.

WTA

სტამბოლის თასი

სტამბოლი (თურქეთი). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი

ელენა დემენტიევა (რუს, 2)-ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ) 6:3, 6:3; **პატი შნიდერი (შვეიც, 3)**-ვანია კინგი (აშშ) 6:4, 6:1; **არავან რეზაი (საფ)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 4) 6:4, 6:4; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 5)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:4, 3:6, 7:6 (5); **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:1, 6:0; **კატალინა კასტანიო (კოლ)**-ეკატერინა ზეიბალევიჩი (ბლრ) 4:6, 7:5, 6:1; **მეგან შონესი (აშშ)**-ეკატერინა აფინოგენოვა (რუს) 6:1, 6:3.

1/4 ფინალში ხვედებიან

შარაპოვა (1)-რადვანსკა (7); რეზაი-შონესი; შნიდერი (3)-ბონდარენკო (5); დემენტიევა (2)-კასტანიო.

Internationaux de Strasbourg

სტრასბური (საფრანგეთი). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

1/8 ფინალი

ამელი მორესმო (საფ, 1)-ვარვარა ლეპჩენკო (უზბ) 6:4, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:3, 7:5; **ნა ლი (ჩინ, 4)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:2, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 5)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:3, 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 6)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 6:2, 6:4; **ემილი ლუა (საფ, 9)**-ლილია ოსტერლო (აშშ) 6:1, 6:0; **ელენა ვესნინა (რუს)**-კაროლინ მაესი (ბელ) 6:1, 6:4; **მარია ელენა კამერინი (იტა)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:3, 6:2.

1/4 ფინალში ხვედებიან

მორესმო (1)-ლუა (9); ბარტოლი (5)-ვესნინა; ლი (4)-მედინა გარიგესი (6); იანკოვიჩი (2)-კამერინი.

ჩოგბურთი

როლან გაროსი გოლოვინის გარეშე

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ფრანგმა ჩოგბურთელმა - **ტატიანა გოლოვინმა** სამი კვირის წინათ, ფედერაციის თასის გათამაშებაზე მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო და ამის გამო, შესაძლოა საფრანგეთის ღია პირველობაზე ვერ მიეღო მონაწილეობა.

გუშინ, საბოლოოდ გაირკვა, რომ ადგილობრივი გულშემატკივრების მთავარი იმედი "როლან გაროსის" კორტებზე ვერ ითამაშებს. მართალია, დაზიანების შემდეგ აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ 17 წლის გოლოვინი მაინც ვერ ასწრებს "დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირისთვის გამოჯანმრთელებას. "როლან გაროსი" 27 მაისს აიღებს სტარტს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთში არ ჩავა მსოფლიო კლასიფიკაციის 32-ე ნომერი - ჩინელი **შუან პენი**, რომელიც ფეხის ტრავმას მკურნალობს. არადა, წლეულს პენი თავის კარიერაში საუკეთესო სეზონს თამაშობს.

გოლოვინის ადგილს ძირითად ბადეში, კვალიფიკაციის ფინალში წაგებული რომელიმე ჩოგბურთელი დაიკავებს, რაც შეეხება შუან პენს, მის ნაცვლად გერმანელი **ანჟელიკ კერბერი** ითამაშებს.

ფედერერმა ცაცია სპარინგი აირჩია

მსოფლიოს პირველი ჩოგანი - როჯერ ფედერერი უკვე პარიზშია და აქტიურად ემზადება საფრანგეთის ღია პირველობისთვის. შვეიცარიელმა "როლან გაროსის" კორტებზე რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა.

ტურნირის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, ფედერერმა სპარინგ-პარტნიორად ახალგაზრდა ფრანგი ჩოგბურთელი - **ჯონათან იუსერიკი** აირჩია. ეს უკანასკნელი წლეულს, ავსტრალიის ღია პირველობის იუნიორთა ტურნირის ფინალში თამაშობდა.

როჯერს იუსერიკი სპარინგად შემთხვევით არ აურჩევია. საქმე ისაა, რომ ფრანგი ცაცია გახლავთ, ხოლო "როლან გაროსზე" ფედერერის ყველაზე სახიფათო კონკურენტი - ესპანელი **რაფაელ ნადალი** ასევე მარცხენა ხელით თამაშობს.

ფორმულა 1

ორი გრან-პრი იაპონიაში?

ჟურნალი "ავტომოტოსპორტი" საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს. მომავალ წელს, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში შესაძლოა სუძუკას გრან-პრი დაბრუნდეს. არადა, რამდენიმე თვის წინათ, ეს საკითხი თითქოს საბოლოოდ იყო დახურული - იაპონიის გრან-პრი სუძუკადან ფუძიზე გადავიდა, ხოლო ერთ სეზონში ორი იაპონური ეტაპის გამართვა, ფორმულა 1-ის ხელმძღვანელთა გეგმებში არ შედიოდა. მაგრამ ახლა, ცხადი ხდება, რომ კომპანია "ჰონდა" ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ თავის კუთვნილ არენაზე დააბრუნოს "დიდი ცირკი".

"ჰონდას" ხელმძღვანელობას სუძუკას ავტოდრომის რეკონსტრუქცია აქვს დაგეგმილი და ამისთვის 30 მილიონი დოლარიც კი გამოყო, მაგრამ სამუშაოები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ეს კომპანია მომავალ სეზონში ამ ავტოდრომზე გრან-პრის გამართვის გარანტიას მიიღებს.

თუ ყველაფერი "ჰონდას" სასიკეთოდ მოგვარდა, იაპონიის გრან-პრი ფუძიზე დარჩება, ხოლო სუძუკას ეტაპს - წყნარი ოკეანის გრან-პრი დაერქმევა. სხვათა შორის, ეს სახელწოდება 1995 წლის ჩემპიონატში გამოიყენეს, როცა ფორმულა 1-ის ეტაპს იაპონური აიდა მასპინძლობდა.

ბრილიანტის ჩაფხუტები

კვირას, მონაკოს გრან-პრიზე, "მაკლარენის" პილოტები - ესპანელი **ფერნანდო ალონსო** და ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** უცნაურად გაფორმებული ჩაფხუტებით იასპარეზებენ.

კერძოდ, ჩაფხუტებზე ბრილიანტნებით იქნება გამოსახული წარწერა - Monaco 07.

მონტე კარლოს ეტაპის შემდეგ, ჩაფხუტები აუქციონზე გაიყიდება და იქიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

ჩემპიონი

კალძაგეს გეგმები

ორი პრესტიჟული გაერთიანების – WBO-ისა (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) და IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაციის) ვერსიით ზესაშუალო წონის ჩემპიონი, უელსელი **ჯო კალძაგე** თავის მომავალ მეტოქეს ირჩევს და დიდი სურვილი აქვს, რომ ტიტულოვან მოკრივეს შეხვდეს.

ჯო კალძაგე

მემფისში ის დაესწრო საშუალო წონის სატიტულო ბრძოლას, რომელშიც WBC-სა (კრივის მსოფლიო საბჭო) და WBO-ის საშუალო წონის ჩემპიონმა **ჯერმეინ ტეილორმა** ქულებით მოუგო **კორი სპინქსს** და ტიტულები შეინარჩუნა. რა თქმა უნდა, რეპორტიორებმა ტრიბუნაზე მჯდარი კალძაგე შენიშნეს და ბრძოლების შემდეგ, სამომავლო გეგმებზე დაუსვეს კითხვები.

უელსელმა განაცხადა, რომ ტეილორთან შეხვედრის დიდი სურვილი აქვს. გარდა ამისა, დიდი სიამოვნებით შეხვდება **ბერნარდ ჰოპკინსისა** და **ვინკი რაიტის** ბრძოლის გამარჯვებულს. და საერთოდ, სანამ კარიერას დაასრულებდეს, მხოლოდ რჩეულებთან ბრძოლები სწყურია, რათა სკეპტიკოსებს ერთხელ და სამუდამოდ დაანახოს თავისი რეალური შესაძლებლობანი.

"ორი წლის წინათ ვამბობდი, რომ მხოლოდ სამ ბრძოლას ჩავატარებდი, მერე კი წავიდოდი. ახლაც იგივეს ვამბობ. სამი ბრძოლაც და მორჩა. ჰოდა, მინდა, მხოლოდ საუკეთესოებს შევხვდე. რაც უნდა მოხდეს, მწვერვალიდან წასვლას ვაპირებ. ყველაზე მეტად, ჰოპკინსთან ბრძოლა მსურს. ტარვერთან ბრძოლაში ის შესანიშნავად გამოიყურებოდა. ახლა ბერნარდი 42 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რინგზე დიდხანს აღარ დარჩება. ამიტომ, სანამ წავა, მასთან შეხვედრა მსურს. ვინკისთვის ის მეტისმეტად დიდი გაბარიტისაა და ვფიქრობ, ბრძოლასაც მოიგებს. ბევრი თვლის, რომ როი ჯონსთან ჩემი ბრძოლაც საინტერესო იქნებოდა, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია. როი თავის დროზე მაგარი იყო, მაგრამ მერე მეტისმეტად ბევრი ნოკაუტი იგემა. ამ ეტაპზე მას კრივი ნაკლებად აინტერესებს. მე კი საუკეთესო ფორმაში მყოფი ცნობილი მეტოქეები მჭირდება", - ამბობს უელსელი, ვინც ვარაუდობს, რომ თუ ჰოპკინსთან შეთანხმებას მიაღწევს, მასთან შეხვედრა იანვარში იქნება შესაძლებელი, მანამდე კი დიდი სიამოვნებით შეხვდებოდა ტეილორს.

არაა გამორიცხული, რომ კალძაგემ ტიტულების გასაერთიანებლად იბრძოლოს WBA-ისა (კრივის მსოფლიო ასოციაცია) და WBC-ს ჩემპიონ (ზესაშუალო წონაში) **მიკელ კესლერთან**, მაგრამ უელსელს ტეილორი ურჩევნია.

"კესლერი შესანიშნავი მოკრივეა. ფრენკ უორენი მის ბანაკთან მოლაპარაკებას აწარმოებს. მაგრამ ვფიქრობ, მასთან შეხვედრა უახლოეს ექვს თვეში ვერ შედგება. თანაც, კესლერს ამერიკაში ბევრი არავინ იცნობს. მე კი ისეთი მეტოქეები მჭირდება, რომლებსაც სახელი მთელს მსოფლიოში აქვთ გავარდნილი. ასეთი კი ტეილორია", - დასძენს კალძაგე, ვისაც პროფესიულ რინგზე ჯერ ბრძოლა არ წაუგია.

უელსელთან შეხვედრის პერსპექტივა ტეილორსაც ხიბლავს, ვისი პრომოუტერი **ლუ დიბელა** უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას უელსელის ბანაკთან, მაგრამ ამბობს, რომ გამორიცხულია მათი შეხვედრა ლონდონის განახლებულ უემბლიზე, ან კარდიფის მილენიუმ სტადიუმზე.

"როცა ლომთან მისსავე ბუნაგში შეხვედრას აპირებ, მით უმეტეს, თუ წონის მომტებაც გჭირდება, სიფრთხილეა საჭირო. ჯოს ძალიან სწრაფი და ძლიერი ხელები აქვს. ვფიქრობ, მასთან შეხვედრა ახლო მომავლის საქმე არაა. სანამ ჯოს შევხვდებოდეთ, მოთელვა გვჭირდება, ამისთვის საუკეთესო ვარიანტი პავლიკია. ისე კი, ჯერმეინისთვის წლეულს ორ ბრძოლას ვგეგმავ, რომელთაგან პირველში ალბათ პავლიკს შეხვდება, მერე კი ტეილორსაც", - ამბობს დიბელა და დასძენს, რომ ტეილორი კალძაგეს მხოლოდ ამერიკაში თუ შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ პავლიკმა იმავე შოუზე, რომლის გვირგვინიც ტეილორისა და სპინქსის ბრძოლა იყო, ნოკაუტით მოუგო კოლუმბიელ **ედისონ მორანდას**. ამ ბრძოლამდე მირანდა ტეილორზე ინევდა, მაგრამ ახლა მიჩუმდა. სამაგიეროდ, პროფესიულ რინგზე ჯერაც დაუმარცხებელ პავლიკს გაუწინდა ამბიციები. ტეილორი მასზე ამბობს, თუნდაც მომდევნო თვეშივე შეხვდებიო. ისე კი, ამერიკელი არც იმას მალავს, რომ საშუალო წონაში დიდხანს დარჩენა არ სურს...

მერაბ ლორთქიფანიძე

25 მაისი. პარასკევი

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.
14:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეფუტრნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
22:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.
00:30 საფეხბურთო კლუბი.
01:00 სასტვენი.
01:30 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:07 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-დეფენსორი (ურუგვაი).
08:50 სპორტინფორმი.
09:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:26 აფროსნობა. ამერიკის თასი.
09:51 სპორტინფორმი.
10:02 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. საბერძნეთი.
12:59 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
14:50 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
19:01 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი.
21:40 სპორტინფორმი.
21:53 სპორტული ისტორია.
22:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიბერტადი (პარაგვაი)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
23:47 მინი-მოედანი.
00:00 სპორტინფორმი.
00:15 კრივი. რინგ-საიდი.
01:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
01:45 სპორტინფორმი.
02:00 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
03:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-დეფენსორი (ურუგვაი).
05:30 აფროსნობა. ამერიკის თასი.
06:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. საბერძნეთი.

EUROSPORT

10:30 სპიდვეი. პოლონეთის გრან-პრი.
11:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XII ეტაპი.
12:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი.
12:45 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIII ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. როლან გაროსის ლეგენდები. ანდრე აგასი-ანდრეი მედვედევი.
20:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ზაგრები. ხორვატია.
21:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
00:00 პოკერი. ევროპის ტური. კოპენჰაგენი. დანია.
01:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. რუსეთის გრან-პრი.
17:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. მონცა. იტალია.
17:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. მონცა. იტალია.
18:30 მულტისპორტი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. ესპანეთი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 პლაჟის ფეხბურთი. ყველა ვარსკვლავის მატჩი. ესპანეთი.
23:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. მონცა. იტალია.
00:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. მონცა. იტალია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 მულტისპორტი.
01:45 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატს. ფლეი ოფი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი.
04:00 ახალი ამბები.

ხახელი ხაჭი

ფეხბურთი

პოლანდია

ფლეი ოფი

ვიგანი-უბრეხტი	2:2
ექსელსიორი-როსენდალი	1:0
ვაალვიკი-ვენლო	1:0

დანია

ბორსენი-ვეინლე	1:2
კოპენჰაგენი-ესბერგი	1:2
მიდბიელანდი-ოლბორგი	2:1
ნორდსელანდი-რანდერსი	4:2
ოდენსე-ვიბორგი	2:3
სილკებორგი-ბრონდბიუ	2:1

II დივიზიონი

ბრაბრანდი-აალბორგსი	0:0
ფრედერიცია-ორეუსი	3:0
ფრედერი-ფრეზი	1:3
ჰიერე-აბუ ორეუსი	2:3
ლინგბიუ-ეიკ	1:1
ნაესკეული-ოლსბიკე	1:2
სონდერბორგ-ეერფიოლგე	1:0
ბისგელი-ჰილლერიდი	1:5

შეიდეთი

II დივიზიონი

ოერგრიტე-ეაკენ	1:1

შვედეთის თასი

ლანდსკრონა-ბალმიო	2:1
ნორრკიპინგი-ეიკ	1:0
სანდსვალ-ბრეენბორგი	1:0

ფინეთი

ეაკა-ვიტეა	0:0
ინგარი-ვიტორიანი	0:1

შვეიცარია

არაუ-სბ. ბალენ	1:1
ბაზელი-ციბ ბიეზი	2:0
სიონი-ლუცერნი	2:0
ბენი-შაფჰაუზენი	2:0
ციურიხი-ბრასპო�ერსი	2:0

ჩესენბლიგა

ფინდლი-ეიაკ	4:1

ისლანდია

ეაკრანესი-ფრეზი	2:2
ბრეიდაბლიკი-ეეფლავიკი	2:2
ეაუნარი-ეკ	4:0
ვიკინგერი-ფილკირი	0:1
ვალური-რეიკიავიკი	2:1

ჩეხეთის თასი

ფინალი

იაბლონეცი-სპარტა	1:2

კალათბურთი

საბერძნეთი

ფლეი ოფი

ოლიმპიაკოსი-არისი	82:68
პანიონიოსი-პანათინაიკოსი	65:69

ესპანეთი

ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

რეალი-ვალენსია	100:79

იტალია

ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

ბილა-ვირტუსი	68:68 ო.ტ. 84:79

საფრანგეთი

ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

ნანი-ვილერბანი	87:75
რუანი-ბალონი	82:87

ჩოგბურთი

ATP. დიუსელდორფი

აკასუსო-მასუ	6:3, 6:4
ჩელა-გონსალესი	6:3, 7:5
სიოდერლინგი-ბლეიკი	6:3, 6:3

ATP. რომი

როდიკი-მონფილსი	5:7, 3:6
ორნა-მონტანიესი	7:6, 6:7, 6:1
ჰიუიტი-ჰარტფილდი	6:2, 6:2
დავიდენკო-მონაკო	2:6, 7:6, 4:6

WTA. სტამბული

რეზაი-შონესი	1:6, 6:1, 6:4
დემენტიევა-კასტანიო	1:6, 6:4, 6:4
შარაპოვა-რადვანსკა	6:2, 3:6, 6:0

WTA. სტრასბურგი

მედინა გარიგესი-ნა ლი	2:6, 6:3, 7:5
იანკოვიჩი-კამერინი	6:3, 6:4
მორესმო-ლუა	7:6, 6:4
ბარტოლი-ვესნინა	6:1, 4:6, 6:3

კალათბურთი

მილიტარისტი მილიჩიჩი

წელს, ესპანეთში კონტინენტის პირველობა გაიმართება და ამ ტურნირზე, სერბეთის ნაკრებს ბოლო წლებში შელახული პრესტიჟის აღდგენა აქვს დაგეგმილი. ყველაზე დიდი ოპტიმისტი "ორლანდო მეჯიქის" ცენტრალური თავდამსხმელი - **დარკო მილიჩიჩი** გახლავთ, რომელმაც სერბ ჟურნალისტებს მეტად თამამი ინტერვიუ მისცა.

"ყველა მეტოქეს მოვსპობთ - ესპანეთს, საბერძნეთს, ლიტვას, რუსეთს, საფრანგეთსა და იტალიას. ყველას! ძალიან მომწონს პერსონალურად პაუ გასოლის წინაალმდეგ თამაში, რადგან მისი ყველა მოქმედება წინასწარ იკითხება", - აცხადებს მილიჩიჩი.

"ზუსტად ვიცი, რომ თუ მიწვევას გაუგზავნიან, მილან გუროვიჩი ჩვენს გუნდს შეუერთდება. კარგ ფორმაში შედის ნიკოლა ვუიჩიჩი, ფანტასტიკურ თამაშს აჩვენებს "კლივლენდის" შემადგენლობაში საშა პავლოვიჩი... ასე რომ, მეტოქეები ჩვენთან თამაშისას ფრთხილად უნდა იყვნენ", - არ ცხრება NBA-ის ლეგიონერი.

ტორონტო გარბახოსას ევრობასკეტზე გაუშვებს

მიუხედავად მილიჩიჩის ოპტიმიზმისა, ესპანეთში მთავარი ფავორიტი მასპინძელთა ნაკრები იქნება, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გახლავთ.

ესპანელები საშინაო ევრობასკეტზე ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას აპირებენ. გუნდში იქნებიან **პაუ გასოლი** და NBA-ის სხვა ლეგიონერებიც. გაურკვეველია მხოლოდ "ტორონტო რეპტორზის" ფორვარდ **ხორხე გარბახოსას** ბედი. როგორც იცით, ამ კალათბურთელმა მარტის ბოლოს, რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და დაზიანებას დღემდე მკურნალობს.

გუშინ, გარბახოსა ესპანელ ჟურნალისტებს შეხვდა და განაცხადა, რომ "ტორონტოს" ხელმძღვანელობა მას ევროპის ჩემპიონატზე თამაშის ნებას დართავს.

"რეპტორზი" ეროვნულ ნაკრებში უპრობლემოდ გამიშვებს. მთავარია, ტრავმა მოვიშუშო და დროულად დავიბრუნო სპორტული ფორმა. კლუბში მხოლოდ იმას მთხოვენ, რომ მომავალი მატჩების დროს, ფრთხილად ვიყო და ტრავმის რეციდივი არ დავუშვა", - ამბობს ესპანელი კალათბურთელი.

ოლიმპიაკოსი ფოციუს უმიზნებს

საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი" მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს. ადრე ვწერდით იმის შესახებ, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელობას, მოსკოვის ცსკა-დან **ტეო პაპალუკასის** გადაბირება აქვს განზრახული. ახლა კი, გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ოლიმპიაკოსი" მოსკოვის "დინამოს" ბერძენი ლეგიონერით - **ანტონიოს ფოციასითაც** არის დაინტერესებული.

ბერძნებს ამ ტრანსფერის გაჩარხვა ძალიან გაუჭირდებათ. პირველ რიგში იმიტომ, რომ მხარეები ფინანსურ საკითხში ვერ რიგდებიან: "დინამო" 5 მილიონ ევროს ითხოვს, "ოლიმპიაკოსი" კი, მხოლოდ 3 მილიონს იხდის. გარდა ამისა, რუსეთის ჩემპიონატამდე, ფოციასი "ოლიმპიაკოსის" მოსისხლე მტრის - "პანათინაიკოსის" რიგებში თამაშობდა.

და კიდევ ერთი - მოსკოვური კლუბი ფოციასს საკმაოდ სარფიან ახალ ხელშეკრულებას ჰპირდება, რომლის მიხედვითაც, კალათბურთელი სეზონში 1.7 მილიონ ევროს მიიღებს.

პოლკი

კროსბი წლის მოთამაშეა

"პიტსბურგ პინგვინზის" ახალგაზრდა ვარსკვლავი - **სიდნი კროსბი** წლის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს. გასული რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ეს აღიარება გამოცემა Sporting News-ის ვერსიით მოიპოვა.

19 წლის ფორვარდმა 210 შესაძლებლიდან 110 ქულა დააგროვა და დიდი სხვაობით მოუგო მეორე ადგილზე გასულ **ვენსან ლეკავალიეს**. სეზონის საუკეთესო გოლეადორს, რომელიც "ტამპა ბეის" ღირსებას იცავს, მხოლოდ 24 ქულა ერგო.

წლის დებიუტანტიც ასევე "პიტსბურგიდანაა" - ეს გახლავთ რუსი **ევგენი მალკინი**, რაც შეეხება საუკეთესო მწვრთნელს, ეს ტიტული "ნეშვილის" დამრიგებელ **ბარი ტროტცს** ერგო.

ნეშვილი პატრონს იცვლის

რეგორეც საგენტო "როიტერი" იტყობინება, ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბი - "ნეშვილ პრედატორზი" მფლობელს შეიცვლის. **კრეიგ ლეოპოლდმა** უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას კანადელ მილიარდერ **ჯიმ ბელსილიესთან** და ეს უკანასკნელი გუნდის ახალი მეპატრონე გახდება.

ინფორმაცია ბიზნესმენების შეხვედრაზე მყოფმა კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გაავრცელა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, გარიგება არ შედგება, თუ მას მხარს NHL-ის ხელმძღვანელობა არ დაუჭერს.

ცნობილი არ არის, თუ რა თანხად ყიდის ლეოპოლდი "პრედატორზს".

კოლორადომ ოთხი მოთამაშე გაიფორმა

წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთმა იმედგაცრუებამ - "კოლორადო ეველანშმა" ახალი სეზონისთვის ზრუნვა აქედანვე დაიწყო.

გუშინ, კლუბის ხელმძღვანელობამ ერთბაშად ოთხ ჰოკეისტთან გაახანგრძლივა კონტრაქტები. ეს მოთამაშეები არიან: **ჯორდან ლეოპოლდი, კურტ ზაუერი, ჯეფ ფინგერი** (სამივე მცველი) და ფორვარდი **დეივი ჯონსონი**.

ჯერჯერობით უცნობია, კლუბის სატრანსფერო ინტერესები. შეგახსენებთ, რომ წელს, "კოლორადომ" ფლეი ოფის საგზური ვერ მოიპოვა.

ოლიმპიზმი

ავსტრიელები მილიონს გადაიხდიან

სააგენტო AP-ის ცნობით, ავსტრიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მილიონი დოლარით დაჯარიმდება. ამ სანქციას მას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი წაუყენებს იმ ცნობილი სკანდალის გამო, რომელსაც ტურინის ოლიმპიადის დროს ჰქონდა ადგილი.

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის ზამთრის თამაშებზე, ერთბაშად ექვსი ავსტრიელი მოთხილამურე და ბიატლონისტი გამოიჭირეს დოპინგის მიღებასა და შენახვაში და საბოლოოდ, მათ სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს.

მაგრამ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამით არ დაკმაყოფილდა და ახლა, სანქციები ავსტრიის ოლიმპიურ კომიტეტსაც დაუკისრა.

ცაბელი (მარცხნივ) და ალდაგი პრესკონფერენციაზე

დოპინგ-სკანდალი

ცაბელის მოულოდნელი აღიარება

სახელოვანმა გერმანელმა ველოსიპედისტმა **ერიკ ცაბელმა** და მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა (დოიჩე ტელეკომში) **როლფ ალდაგმა**, სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ 90-იან წლებში აკრძალულ პრეპარატებს იყენებდნენ.

მათი პრესკონფერენცია გერმანიის ეროვნული ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ორივე ველოსიპედისტმა აღიარა, რომ ადრე ერითროპოეტინის (EPO) მომხმარებელი იყო. ამ აღიარების დროს, ცაბელს, ვინც ამჟამად "მილრამის" წევრია, ცრემლიც კი წასცდა.

ალდაგი ახლა გერმანულ გუნდ "T-მობილის" სპორტული დირექტორია. შეგახსენებთ, რომ ადრე ამ გუნდს "დოიჩე ტელეკომი" ეწოდებოდა. სწორედ ამ გუნდის სახელით ასპარეზობისას მოიგეს ტურ დე ფრანსი დანიელმა **ბიარნე რიისმა** (ახლა დანიურ გუნდ CSC-ს შეფია) და გერმანელმა **იან ულრიხმა**. რიისი ტურის ჩემპიონი 1996 წელს გახდა, ულრიხი კი - 1997 წელს.

ალდაგი ამბობს, რომ პირველად EPO 1995 წლის ტურის წინ გამოიყენა, ცაბელმა კი იმავე პრეპარატის გამოყენება მომდევნო სეზონიდან დაიწყო. უნდა ითქვას, რომ ალდაგისა და ცაბელის განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, აკრძალული პრეპარატების გამოყენება აღიარა "ტელეკომის" კიდევ სამმა ყოფილმა ველოსიპედისტმა, რომლებიც სპორტიდან უკვე წასულები არიან. ალდაგისა და ცაბელის თქმით, მათ აკრძალული პრეპარატების გამოყენება იმის გამო დაიწყეს, რომ დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ ამაში ვერავინ გამოიჭერდა.

პრესკონფერენცია გერმანული გუნდის მთავარმა სპონსორმა, გერმანულმა საკომუნიკაციო გიგანტმა "T-მობილმა" ჩაატარა. ყოველივეს მიუხედავად კი, მისმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ გააგრძელებს გუნდის სპონსორობას. ცნობისთვის, გუნდსა და სპონსორს შორის არსებული მიმდინარე კონტრაქტი 2010 წელს მთავრდება.

ცაბელმა განაცხადა, რომ ამ პრესკონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე, "მილრამის" უფროსობას აცნობა თავისი გადაწყვეტილების შესახებ. *"ახლა არ ვიცი, რა მოხდება, როგორ გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობები",* - ამბობს ცაბელი.

სკანდალის აგორება ერთი თვის წინათ დაიწყო მას შემდეგ, რაც "დოიჩე ტელეკომის" ყოფილმა ექიმმა **ჯეფ დ'ჰონტმა** აღიარა, რომ თავის დროზე, ის და კიდევ ორი ექიმი (**ლოთარ ჰაინრიხი** და **ანდრეას შმიდი**), რომლებიც გუნდში ახლაც მოღვაწეობენ, ველოსიპედისტებს ერითროპოეტინის გამოყენებაში ეხმარებოდნენ. დ'ჰონტის თქმით, აკრძალულ პრეპარატებს ულრიხიცა და რიისიც იყენებდნენ. ამ განცხადებას შედეგად ორივე ექიმის "T-მობილიდან" დათხოვნა მოჰყვა. მოგვიანებით კი ორივემ აღიარა, რომ ერთ დროს ველოსიპედისტებს აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში ეხმარებოდნენ.

ამასთან, შმიდი ამბობს, რომ ის ველოსიპედისტების ნებართვის გარეშე მათ არასოდეს აძლევდა სტიმულატორებს (ერითროპოეტინსა და ზრდის ჰორმონებს). რა თქმა უნდა, ყველაფერი იცოდა ჰაინრიხმა, ვინც იმ დროს გუნდის მთავარი ექიმი იყო და მის გარეშე მედიცინასთან დაკავშირებული არანაირი საკითხი არ წყდებოდა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ლენდისს მოცდა მოუნევს

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის სადისციპლინო კომისიამ, დაასრულა ტურ დე ფრანსის შარშანდელი ჩემპიონის, ამერიკელი **ფლოიდ ლენდისის** საქმის მოსმენა. ლენდისს ბრალი ედება შარშანდელი ტურის დროს ტესტოსტერონის გამოყენებაში.

კომისიამ ბრალდებისა და ველოსიპედისტის დაცვის მხარეების ყველა არგუმენტი მოისმინა და ალბათ, გადაწყვეტილებას ერთი თვის განმავლობაში მიიღებს. მაგრამ საქმე ამით მაინც არ დასრულდება, რადგან ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მისი გასაჩივრება მოხდება.

აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს ადვოკატი ამბობს, რომ ლენდისი დოპინგზე ჩავარდა და ამიტომ, პასუხიც უნდა აგოს. მაგრამ ველოსიპედისტის დაცვის მხარე ირწმუნება, რომ პარიზის მახლობლად მდებარე, შატენე-მალაბრის ლაბორატორიამ ტესტები ყოველგვარი ნორმების დარღვევით ჩაატარა და ამიტომ, მათი შედეგები ბათილად უნდა ცნონ.

თუ ლენდისს დოპინგის გამოყენება დაუმტკიცდება, მაშინ ის ტურის ჩემპიონის წოდებასაც დაკარგავს და ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისჯება. რაც მთავარია, ის გახდება ტურის 104-წლოვან ისტორიაში რბოლის პირველი ჩემპიონი, ვინც ამ წოდებას დოპინგის გამო დაკარგავს.

ლენდისის ადვოკატ **მორის სუს** თქმით, ტესტების ყველა ფაზაში შეცდომებია დაშვებული, რაც საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ საქმე შეწყდეს. დაცვის ამ მოსაზრებას იზიარებს მას-სპექტრომეტრიის ბრიტანელი ექსპერტი **საიმონ დევისი**, რომელიც ირწმუნება, რომ შატენე-მალაბრის ლაბორატორიაში დარღვევებით ატარებენ ტესტებს. უფრო მეტიც, ლენდისის სინჯების განმეორებითი ტესტირების დროს, დაუშვებელი მანიპულაციები ტარდებოდა, რომელთა საშუალებითაც, სასურველი (იგულისხმება პირველი ტესტის შედეგის დამადასტურებელი) შედეგები მიიღწეოდა.

დევისი ამბობს, რომ განმეორებითი ტესტები თანამედროვე ლაბორატორიაში უნდა ჩატარებულიყო და არა იმავე ლაბორატორიაში, სადაც პირველი ტესტები ჩატარდა. ამ ლაბორატორიას ათი წლის წინანდელი ხელსაწყოები აქვს, რომელთა ნდობა ახლა აღარ შეიძლებაო, - ირწმუნება მეცნიერი.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ძარითული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გელიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაგ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სახარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა